

№2. 2020 წ.

იდეა





ნახანი - საყვანვილო შამასნაბით-ნიტაჩაბუჩაჩი ჟუჩნაჩი

დაარსებულია 1996 წელს

აფიკო - ჟონა-ჩიბუჩი ყვანაზუ პატაჩაბისთვიჩი

დაარსებულია 2010 წელს



„სააგენტოს“ დირექტორი **ლიპა კვარაცხელია**

რედაქტორი **ნანა ჭანტუჩია**

მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**

მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუხაძე**

დიზაინი, დაკაბადონება **პახტანა ზაქარაია**

რას წაიკითხავთ „იალქანში“?

erekle mefis 300 wlisTavTan dakavSirebiT
vagrZelebT publikaciebis gamoqveynebas.
mivlinebiT viyaviT mefis mSobliur qalaqSi,
vestumreT Telavis istoriul sasaxles. mkiTxveli
gaecnoba bevrivTvis ase ucnob `erekles
locvas~, dokumentur masalas `mefe erekles
Tanamecxedreni~...

გვ. 4; გვ. 32

Jurnalis me-14 gverdze dabeWdili
publikacia eqskluziuria: iaponelma haiate
sotomem, tokios universitetis doqtorantma
mogvimzada werili Cvens mSobliur qarTul
enaze. gaigeT, rogoria ucxoelis TvaliT
danaxuli Cveni qveyana.

cnobili mwerali da sazogado moRvawe
guram petriaSvili sajarod pirvelad
saubrobs mis mier Catarebul maTematikis
gakveTilebze, imazec, rodis da vin
daawyebina zRaprebis wera.

გვ. 20

saxelganTqmuli infeqcionisti vaxtang
boWoriSvili medicinaSi wasvlamde iyo
soxumis dramaturi Teatris rejisori; sasceno
kariereac iq daasrula. `SeuZlebelia, es ar
gaxsovdes~, _ ase gamoxatavs msaxiobi liana
miqaSaviZe Tavis damokidebulebas.

გვ. 39

საგამომცემლო ჯგუფი:

ბიგლა გოგუჩია, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კახანაძე, ლავით კოგახიძე, ნატო კორსანტია, ნუგზარ მგალოზლიშვილი, როლანდ ნიჭარაძე, გურამ პეტრიაშვილი, ოთარ შორღანი, ვინერა რურუა, პაატა ქურდოვანიძე, ბელა ჩხვენაძე, სოსო ჭუმბურიძე.





სოხუმის ბოტანიკური ბაღი 180 წლისაა ეს იყო ვლადისლავ გაბრიშვილის საკუთარი ბაღი

მებაღეობა უძველესი ხელოვნებაა. იგი წლობით დაგროვილი გამოცდილების შედეგია. საუკუნეების მანძილზე ბაღები მეფეებისა და მდიდრების საკუთრება იყო. ბაღებს, ხომელიც ადამაზებს ქადაქს, ქმნიდნენ და ქმნიან აჩიკეკტოხები, მხატვრები, მოქანდაკეები, მებაღეები.

მაგამ სოხუმის ბოტანიკური ბაღის შექმნის ისტორია განსხვავებულია.

დღეს წაიკვლით შედარებით ამ «მცენახეთა სახლის» თავგადასავალი უკავშირდება ერთი პიროვნების ერთი სუბიექტი, საკუთარი საკუთრებად ნაკვეთში სამუხრანლო მიზნით დაეგო სასახლებლო ხე-მცენახეები.

ქადაქის სავიზიტო ბაზათად და წაყონაღუ ლიხსშესანიშნაობად მიჩნეული სოხუმის ბოტანიკური ბაღი 180 წლისაა.*

თბილისიდან სოხუმამდე ზუსტად 444 კმ-ია. სოხუმი, ქართული სახელით «დიოსკურია», ხოგოხუ ყოტხეთის სამეფოს ცენტრი, იხსენიება ჯი ჯიდეუ ძვ.წ.აღ.-ის VI ს.-დან. გაეხითანებული საქათველოს პიხველი მეფე ბაგიატ III 999 წელს სოფელ ბედიამი აგებს სამონასტრო კომპლექსს, ხომელიც აფხაზეთში აღმართულ სხვა ქიხიტანულ ძეგლებთან ერთად დღესაც გვიმელება. თუმცა სხვადასხვა უპოქაში სოხუმი ხან ბუქძნების, ხან გენუელებისა და ხანაც თუქების ხელში იყო.

1810 წელს აფხაზეთს უკვე დიდი ხნით ეუფლებიან რუსები. ამდენად, XIX ს.-ში სოხუმში განხორციელებული ახალი მნიშვნელოვანი პიროქი იქ ახლადჩასულ ადამიანებს უკავშირდება.

დახგის სპეციალისტების გახდა დღეს ვლადისლავ ბაგინოვსკის ვინაობა თითქმის ახაინ იცის;

ახდა, ისტორიამ შემოინახა მისი სახელი და სამატილიანდაც: ის იყო აფხაზეთში გადასახლებული პოლონელი რეპორტიორი და სოხუმის გაჩინოვნის სამხედრო ექიმი. საკუთარი უბოში მან ჯი ხიღ-ბოსტნული დახგო, ხომ ჯახისჯაცები ამ პიროქებით მოემაჩაგებინა; ამასთან, შეაჩინა და მოამენა უამხავი ისეთი სამუხრანლო მცენახე, ზღვისპიხეთის კლიმატს ხომ ეგუებოდა, და, ხაც მთავაჩია, თითოეული საათითაქმ დანიშნულების იყო (გამოიყენებოდა დაქიღებისთვის და ახლადჩასულებისთვის, ხომღებოც სმიხად ციებ-ციხელებით ავადებოდნენ).

ამ ახუ თუ დიდი, მაგამ სათუთად მოვიღი ბაღით მოიხიბლა თუქმე შავი ზღვის ფოხტიფიკაციის გზის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი - ნიკოლოზ რავესკი და ამის შესახებ ამცნო ნიკოლოზ I-ს. შემდგომად რავესკიმ განსაკუთრებული წვიღი შეიტანა ბაღის განაშენიანებისთვის.

მღვე იმპერატორის განაჩეგებით ბაგინოვსკის ბღ-ბოსტანი შეისყიდა ჯი სახემწიფო ხაზინამ, ბოლო 1840 წლიდან ის, სახელწოდებით «სოხუმ-რადეს სამხედრო ბაღი», დაემქვემდება სამხედრო უწყებას. სოხუმის ბოტანიკური ბაღის დაახების თაილად სწოხედ ეს წელი ითვება.

XX ს.-ის 70-იან წლებში სოხუმის ბოტანიკური ბაღს მიენიქა საქათველოს მეცნიეებათა აკადემიის სამეცნიეო-კვლევიითი ინსტიტუტის სტატუსი. ბაღი იქცა ადგილობრივი ფლორის მეცნიეული შესწავლისა და უცხო ქვეყნების ნაჩავთა აკლიმატიზაციის ცენტრად.

დღეს, 50 ჰა მეტ ფაქთობზე გახაებულია 5000-მდე სხვადასხვა სახეობის ხე, ყვავიღი, ბუჩქი და ბაღახოვანი მცენახე. მათგან სადემონსტრაციო ტეხიკოხიას უქიხავს ერთმანეთისგან საფეხმავლო ბიღიებით გამოყოფიღი, 50 მონაკვეთად დანაწეხებული 5 ჰა-ზე მეტი ფაქთობი.

სოხუმის ბოტანიკური ბაღის უდამაზესი ბუნებრივი დეკორაცია მედამ საუკეთესო განწყობას ქმნის.

თემის გაგქილება:
იხიღეთ ნომიის ჩანაქი. «იკლქანი» #46.



* – შემდგომ საქართველოში დაარსდა კიდევ 5 ბოტანიკური ბაღი: თბილისის – 1845 წ., ზუგდიდის – 1882 წ., ბაკურიანის – 1910 წ., ბათუმის – 1912 წ., ქუთაისის – 1969 წ.



«ერეკლეს ლოცვა»*



მეფე ერეკლე

“მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის და თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუნიოს ქვეყანას?” - კითხვას სვამდა ქართული პრესა 1898 წლის 12 იანვარს.

იმ დღეს ერეკლე მეფის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით აურაცხელი მრევლით სავსე სიონის ტაძრის მღვდელმსახურები (სიონის ქუჩაც ერთიანად გადავსებული ყოფილა) სწორუბოვარი წინაპრის სულის მოსახსენებელ პარაკლის იხდინდნენ. მიმდინარე 2020 წელს სახელოვანი გვირგვინოსნის დაბადებიდან 300 წლისთავი აღინიშნება.

ერეკლე II-ეს უწოდებენ ყველაზე სახალხო მეფეს საქართველოში; მას მოიხსენიებენ ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დემეტრე თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, ვახტანგ VI-ისა და სხვა სახელოვანი ადამიანების გვერდით; იშვიათია ქართველი, ვისთვისაც მშობელ ხალხს ამდენი ლექსი, მოგონება და, მით უფრო, ლეგენდა მიეძღვნას.

ჩვენს სათაყვანო მეფეს, რომელმაც 500 ბრძოლაზე მეტი გადაიტანა, მისი ეპოქის უცხოელი მოღვაწენიც განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებენ. ფრანგი დიპლომატის – მ. პეისონელის აზრით, ესაა ხელმწიფე, რომლის „ბედსა და უბედობაზე ამჟამად არის მიქცეული ყურადღება ევროპისა; ესაა გმირი, რომელიც იშვა თავისი სამშობლო ქვეყნის, წინაპართა და მშობელთა გასაბრწყინებლად“.

ერეკლე მეფეზე ხალხში გაბნეული ლეგენდები ჩაუნერია თედო რაზიკაშვილს; მეფისადმი უზომო მონივნისა და სიყვარულის გამოხატულებათა მისი ეს სტრიქონები:

„მეფე ერეკლე და თამარ მეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მოეშველებიანო... მეფე ერეკლეს ძვლებს მირონი ჩამოსდისო... როცა ერეკლე ლოცვაზე დადგებოდა, ხმაღს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმე და ლოცვას რომ დაასრულებდა, სხივიდგან ისე აიღებდა ხმაღსაო“...

1889 წელს მეფე ერეკლეზე დაწერილ მონოგრაფიაში ისტორიკოსი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი ალექსანდრე გარსევანიშვილი წერს:

„საზოგადოდ გულკეთილი და მეტადრე საკუთარ ოჯახში ჩვილი ხასიათის მქონე კაცი – ერეკლე მეორე ბრძოლის ველზედ იყო ერთი რამ საკვირველება... – ყოველი ბრძოლის დაწყების წინ ერეკლე, როგორც ღვთის მოყვარული კაცი, ლოცვას შეუდგებოდა ხოლმე: „ჭეშმარიტო ღმერთო ძლიერო! შენ იხსენ საქართველოს ერი, მრავალჯერ წამებული მამულისთვის და იმედ-ჰყავ, რომ სამშობლო დანგრეული კვლავ აყვავდება!“

თვალსაჩინო მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ, შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, წიგნის „მეფე ერეკლე“ ავტორმა – მოსე ჯანაშვილმა აღწერა მეფის ოჯახის ამბები, მისი ხასიათი და ზრუნვა ერის საკეთილდღეოდ:**

„ერეკლე II მიმაჩნია იმ პირველხარისხოვან სარდალად, რომლის ბადაღს ყოველი ისტორიული ერი ორიოდ-სამიოდეს თუ წარმოგვიდგენს. ერეკლე II-ს, როგორც სამხედრო გენიოსს, იცნობდა თვით ჩინებული სარდალი გერმანიისა – მეფე ფრიდრიკოს დიდი, რომელიც თავის ჯარს ბრძოლის ველზე არა ერთხელ აგულიანებდა ერეკლეს მამაცობის მაგალითებით: „იბრძოლეთ იმ გვარად, როგორც გორგიანთ მეფე ერეკლეს ივერნი“.

სწორედ მოსე ჯანაშვილმა პირველმა მოიძია და გაზეთ „ივერიაში“ 1891 წელს გამოაქვეყნა „ერეკლეს ლოცვის“ ტექსტი.

დავით აღმაშენებლის შეუდარებელი „გალობანი სინანულისანი“ ზოგადსაკაცობრიო სევდას იტევს, მაგრამ არანაკლებ ამაღელვებელია უზენაესისადმი განდობილი და ტკივილიანი „ერეკლეს ლოცვაც“.

მადლიერებას ჩვენც გამოვხატავთ, რომ 130 წლის შემდეგ „იალქნის“ მკითხველებიც ეზიარებიან ამ საუფლო სტრიქონებს, „ერეკლესგან ნათქვამს“:

* – ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, დაბეჭდილი „იალქნის“ №46-ში, თელავის ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალებზეა აგებული. ** – მოსე ჯანაშვილმა წიგნი „მეფე ერეკლე“ გამოსცა 1898 წელს.



„ვამ ჩუწნდა, რომე შეგცოდეთ შენ, ღმერთო. ვამ ჩუწნდა, რომე განგარისხეთ შენ, უფალო. ვამ, რომე ურჩი გექმნენით და გარდახვედით ბრძანებათა შენთა. ვამ, რომე მოვჰკუედიტ ცოდვითა და ამით არღარა მოგიგეთ შენ ღმერთად ჩუწნ შორის მონოდებითა, ვინაიდგან არა ხარ ღმერთი მკვდართა, არამედ ცხოველთა. ვამ ჩუწნდა, დამბადებულო ღმერთო, რომე ყოველივე შენ მიერ მოცემული კეთილი უგულებელს ვჰყავით. ვამ ჩუწნდა, შემოქმედო, რომე გზისაგან კეთილისა გარდახვედით. ვამ ჩუწნდა, რამეთუ დავსდექით გზასა ზედა არა კეთილსა და ბოროტი არა მოვიწყინეთ ჩუწნ. ვჰსცოდეთ, ვჰცოდეთ ცად მიმართ და წინაშე შენსა, უფალო ღმერთო, არამედ გვლხინე, გვლხინე და მოგვიტევენ ყოველნივე შეცოდებანი ჩუწნნი – ნებთინი და უნებლიეთინი (ზ გზის). ღმერთო, გვლხინე ჩუწნ ცოდვილთა ამათ და შეგვიწყალენ ჩუწნ (ზ გზის). დიდება შენდა და მადლობა და თაყვანისცემა შენ, მარადის მონყალეო და მჰსნელო და დამფარველო ჩუწნო, რომელმან გვიხსენ ჩუწნ ზედამონევენულთა განსაცდელთაგან და ან ნებისამებრ შენისა იყოს ცხოვრება ჩუწნნი და დაგვიმტკიცენ ნებასა შენსა ზედა უკუნისამდე.“

ამბობენ, რომ ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკოსმა, ლოტბარმა და მომღერალმა – ნიკო სულხანიშვილმა* ნოტებზე გადაიტანა და მუსიკალურად ააჟღერაო „ერეკლე მეფის ლოცვა“... და პირველად კი იგი თელავის სასულიერო სასწავლებლის გუნდს შეასრულებინაო.** უკვე მერე და მერე ამ ოთხხმიან კომპოზიციას, თურმე, თელავის კახთმეფეთა ეკლესიებშიც ცალობდნენო. იმასაც ამბობენ, როცა მთანმინდაზე ილიას ნეშტს მიწას აბარებდნენო, თელავში, მგალობელთა გუნდს, ნიკო სულხანიშვილის ლოტბარობით, „სამარადისო ხსენება“ შეუსრულებიაო... ერის მამის წინაშე ტაძრის მრევლს რამდენიმე წუთით მუხლიც მოუყრია.



ნიკო სულხანიშვილი

სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად ცნობილი ნიკო სულხანიშვილი ძალზე პოპულარული იყო თავის თანამედროვე საქართველოში. თბილისში მოღვაწე ცნობილმა რუსმა კომპოზიტორმა – იპოლიტე ივანოვმა მას „საქართველოს ვაგნერი“ უწოდა. ნიკო სულხანიშვილის მიერ შექმნილი მრავალხმიანი კომპოზიციებიდან ცნობილია: „ჩემს საყვარელ სამშობლოს“, „გუთნური“, „ჩონგურს სიმები გავუბი“, „ტურფავ, მოლი“, „სამშობლო ხევსურისა“, „ღმერთო, ღმერთო“.

ნიკო სულხანიშვილი ბევრს მოგზაურობდა კახეთში და იწერდა ხალხურ შედევრებს. მან ზაქარია ფალიაშვილთან ერთად განავითარა და სრულყო კლასიკური საგუნდო ხელოვნება. ბოლოს კომპოზიტორი მუშაობდა ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი კომპოზიციის – „პატარა კახის“ საბოლოო ვერსიაზე (აკაკი წერეთლის ხუთმოქმედებიანი პიესის მიხედვით). აკაკის მოუწვევია კიდევ თავისთან ნიკო სულხანიშვილი, რომელსაც შეუსრულებია ნაწყვეტი ამ პიესიდან. მგოსანი აუცრემლებია მუსიკოსის ჰანგებს და გადაუკოცნია ავტორი; მადლიერება სიტყვიერადაც გამოუხატავს: – ჩვენი ხალხის გულიდან მომდინარე ჰანგები თქვენ ევროპულად გაგირანდავთ!

თბილისში, კომპოზიტორის გარდაცვალების დღეს (მაშინ იგი მხოლოდ 48 წლის იყო) მოუპარავთ ჩემოდანი, რომელიც სავსე ყოფილა მუსიკოსის თითქმის ყველა ნაწარმოებით. მათ შორის, ოპერა «პატარა კახის» პარტიტურაც. ცნობილი შედევრი «დაიგვიანეს» სწორედ ამ დაუსრულებელი ოპერიდანაა შემორჩენილი (ჩვენამდე კომპოზიტორის მხოლოდ 7 ნაწარმოებია მოღწეული). როგორც ჩანს, სხვა სანოტო რვეულებთან ერთად დაკარგულა «ერეკლეს ლოცვისთვის» შექმნილი მუსიკალური კომპოზიციაც.

ძნელია, წარმოიდგინო დღეს კომპოზიტორის უცნობი, მაგრამ, ალბათ, როგორი რუდუნებით აჟღერებული ჰანგები, მეფის დამძიმებული სულის სავედრებლად რომ გაისმა მაშინ. «რა იცოდა, რას იქმნოდა» ის ხელმწიფი და, უფრო ცოდვილი, გვირგვინოსნის აღსარება-საგალობელი სამუდამოდ რომ დაადუმა: «ერეკლეს ლოცვის» ტექსტთან ერთად ნიკო სულხანიშვილის საეკლესიო ზარი მეტად აღარავის უნდა გაეგონა.

* – 1871-1919 წ.წ.

** – დღეს თელავის სამუსიკო სასწავლებელი ნიკო სულხანიშვილის სახელობისაა.



ნიკოლო მიწვილი, "ცისფერყანაშვილი" დირექტორი წარმოადგენს, თითქმის ნაცნობი, მაგრამ მანაც უცნობი; უსაბარტლოდ მივიწყებული შემოქმედის; თითქმის დრომაც ვერ იმუშავა მის სასარგებლოდ. მაგრამ თუ დავინტერესდებით და ნიკოლო მიწვილის შემოქმედებას გულისხმობთ ნაკვეთისავე, აღმოვაჩინეთ ძალიან საინტერესო პოეტის, მწერალისა და პუბლიცისტის, უაღრესად გაბედულად და საღად მოაზროვნის. "მიწვილს აქვს თავისი საკუთარი სხე, რომელიც არასდროს არავისში აბეჩავს", - წერდა მასზე ტიტან ტაბიძე.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, დიდი გულშემატკივარი და, ამავე დროს, მიუპყრობელი; "მართლის თქმისთვის" საზოგადოებისგან განიცხადებული კი, მაგრამ ილიას არ იყო, მხოლოდ უფალმა იცის, "ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია". ნიკოლო მიწვილის პუბლიცისტური წერილი "შიქარები საქართველოზე" ამის დასტურია: "საქართველო და აბრეშუკოა დღეს ჩვენი შვიტა ყოველი კარგად შეყვარებული ქართველის ჯაბჯაბად, რომელსაც მიაჩნდალავს დონ კიხოტივით".

ისეთი მასშტაბის მოაზროვნე, რომელიც ნიკოლო მიწვილია, დღესაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას; თუმცა მის ნაწარმს, რომელიც დღევანდელ ყოფასაც საოცრად ესადაგება, დღესაც გვირის თქმა შეუძლია ჩვენთვის; ნაკვეთისთვის ნიკოლო მიწვილი, ასე საინტერესო და თანამედროვე.

ნიკოლო მიწვილი

მთის მღვინე

მიყვარს, მიყვარს შენი შეუწყვეტელი ხმაური, შენი მუდმივი ბრძოლა, შენი მქუხარე, უკმაყოფილებით სავსე ხმა.

მე ყურს ვუგდებ შენს ბრძოლის ჰიმნს, შენს იმედიან სიტყვებს. ვხედავ შენს უკმაყოფილებას ამ კალაპოტისადმი. ვხედავ, თუ როგორ ებრძვი შენ მას, როგორ გსურს, შეანძრო ქვები მის ფსკერზე, დაამხო ის და თავისუფლად სავლელი გზა გაიკაფო... ვხედავ ყველა ამას და გული მიმაგრდება, იმედით მეგვება – მე მაგალითს ვხედავ ბრძოლაში შეუდრეკელობისას...

მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა შენს ნაპირებს შემოვეჩვიე; შენ ეგეთი გიჟმაჟი, ეგეთი შეუდრეკელი იყავი მაშინაც. მაშინაც ეგეთივე სისასტიკითა და თავგამოდებით ებრძოდი ამ სულის შემხუთველ ნაპირებს, კლდეებს.


მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. ჩემი არსება ბრძოლით მოიღალა, შენ კი?.. შენ კი ისევ იბრძვი, ისევ ახალგაზრდულად ეხეთქები შეუპოვარ კლდეებს, ისევ ძველი გამამხნეველებელი ჰანგები ისმის შენს სიმღერაში. დიას, შენ მუდამ ახალგაზრდა ხარ, მოუსვენარი, დაულალავი, შეუდრეკელი... დაბადებიდან, იმ დროიდან, რაც ფეხი აიდგი ამ მთის კალთებზე, შენი ხმა არ შეწყვეტილა. შენ ისევ არ გაგიქანებია შენი ლურჯი ტალღა, რომ კლდე-ნაპირისათვის არ მიგეხეთქებინა.

მიყვარხარ!..

მიყვარხარ იმიტომ, რომ იბრძვი, რომ შენი სული ვერ შერიგებია მყუდროებას, რომ მოძრაობ, ცოცხლობ...

ცოცხლობ და კვდები, ჰკლავ და სიცოცხლეს ანიჭებ...

ამისათვის მიყვარს შენი იდუმალი ხმა, გაუგებარო, მიყვარს ისე, როგორც გაუგებარი, მაგრამ წარმტაცი სრბოლა ცხოვრების ტალღებისა...



1916 წ.



უდაბნოს საიდუმლო

არაბული ლეგენდა

ალბათ, თქვენც გაგიგონიათ ეს ზღაპარი.

ძველია ის, ვით ქვეყანა მზიურ მოთხრობათა, მაგრამ მაინც მოგიტხრობთ თქვენ მას...

ამბობენ, როცა ჰეჯასის გადამწვარ მიდამოებს გამოეთხოვება ცეცხლის მფრქვეველი მზე, გადახრუეული მალლობებიდან დაჰბერავს საღამოს ცივი ქარი და შორეული დასავლეთი წითელი ცეცხლის კოცონში გაეხვევა; ამ დროს გამოჩნდება თურმე ვიღაც მოხუცი მგზავრი და ნელის ნაბიჯით მიეშურება...

სად?..

რისთვის?..

არავინ იცის, სად ან რისთვის... და არც თვით ამბობს, თუ საით არის გზა მისი, რას ეძიებს იგი ამ ბნელ, ჯოჯოხეთურ ღამეში.

და დადის, თურმე – წელში მოხრილი და თითქოს ცის რისხვისა ეშინიაო – არ ამორებს თვალს უნაყოფო მიწას და არ იხედება ზევით.

სულ ასე მოხრილი დადის, თურმე, მოხუცი.

დადის ღამით... სქელი ღამის ბნელი ფრთის ქვეშ, დადის დღისითაც და მიყვება მწველი მზის სამარადისო სხივების გზას. და მიდის... მიდის...

ბევრჯერ უნახავთ ის, თურმე, მოგზაურებს და ბევრჯერ ჩაუვლია მას უხმოდ დასვენებული ქარავნის გვერდით...

ასე დადის ის მრავალ წელთა განმავლობაში, წელში მოხრილი, უტყვი და მდუმარე და ბევრჯერ უნახავთ იგი მოგზაურებს.

– ვინ ხარ, ან სად მიხვალ, ან რას ეძიებ? – ეკითხებიან, თურმე, მას, მაგრამ მდუმარებით არის მოცული ბაგენი მისი და არ იძლევა იგი რაიმე პასუხს.

ამბობენ, რომ ერთ ღამეს, როცა ძლევაამოსილი მეფის ამაღლა ნადირობის შემდეგ შეჭვარებოდა მყუდრო ოაზისს და ტკბილ ძილს მისცემოდა, ამ დროს დაიჭირა ის ერთმა დარაჯმა და დილით წარუდგინა მეფეს, ვით ავაზაკი ვინმე.

ხოლო არ წასცადა მოხუცს სიტყვა რაიმე. განრისხდა მეფე და სასტიკი სასჯელი მიუსაჯა მას.

წამების დროს სთქვა მან მხოლოდ ორიოდ სიტყვა:

– ვეძიებდი... ვეძიებდი... სიყმანვილეს... ახალგაზრდობას!..

მყისვე მიატოვეს დარაჯებმა ის და გაეშურნენ მეფესთან, რათა მოეხსენებინათ მისთვის ნათქვამი მოხუცისა.

და მოიხმო მეფემ ის უცნაური კაცი... მაგრამ გაქრა იგი, ვით წყარო უდაბნოს ცხელ ქვიშაში, ვით ნისლი ცხელი მზის მწველ სხივებზე... ბევრი ეძიეს იგი მეფის მსახურებმა და ვერ ჰპოვეს კვალი მისი.

და მას შემდეგაც დადის, თურმე, წელში მოხრილი მოხუცი. დადის დაუღალავად და ეძიებს უდაბნოში დაკარგულ სიყმანვილეს.

ეძიებს და დასჩერებია მიწას და არ იხედება ის ზეცისაკენ, თითქოს მისი რისხვის ეშინიაო...

და დადის... სულ დადის!..

ასე ათავებენ მოხუცნი არაბნი ამ ძველ თქმულებას და გაურკვეველი სევდა იპყრობს მაშინ ყველა იქ მყოფს... ვაჟკაცნი გასცქერიან შავ უდაბნოს, ხოლო მოხუცნი ეძლევიან მწარე ფიქრებს, რომ გაქრა სიყმანვილე, რომ შთანთქა იგი უდაბნოს უსაზღვრო სივრცემ, ამოაშრო და დაწვა ის მზის მწველმა სხივებმა და უდაბნოს ცხელი ქარი კვილ-ხარხარით ფანტავს მტვერს ოდესღაც ნორჩი სიჭაბუკისასაო...

ასეთი ლეგენდა დადის არაბეთის მზიურ შვილთა შორის.

უსათუოდ გაიგონებდით თქვენ ამ ძველებურ თქმულებას, მაგრამ მაინც გეტყვით მას...

ძველია ის, ვით ქვეყანა, მზიურ თქმულებათა შემქმნელი, მაგრამ მარადის ახალიცაა იგი, ვით ნორჩი თაიგული აყვავებული სიყმანვილისა.





აკვარელით ნახატები



მზე უკანასკნელად შეჩერდა ცის კაბადონზე, უკანასკნელად გადაავლო თვალი ქვეყანას და მოკვდა...

მთვლემარე ბინდმა ჩაიკრა გულში არემარე. შორს ქალაქის სანთლებმა დასჭრეს ღამის შავი ნიღაბი. აქ კი აყვავილებული ზღვის ტალღათა ჩქერს თეთრი ნისლი გადაეხვია.

ზღვაში მდგარი პატარა გემი მთვრალი ქანაობით გაჰყვა ტალღათა ნანინას. ცოტა ხანს კიდევ ისხდა ზღვის ნაპირას ახალგაზრდათა ჯგუფი. ამეტყველდა ნისლიანი ქარი და ისინიც ნელის ნაბიჯით, წყვილ-წყვილად გაეშურნენ ქალაქისაკენ.

ბნელი ღამე თითქოს აქრობდა ხმათა ბგერას – ისმოდა მხოლოდ ნელი, ჩუმი საუბარი...

ყველაზე წინ მიმავალი ქალ-ვაჟი სიყვარულზე ბაასობდა.

ქალის მკლავზე გადახლართული ყმაწვილის ნელი თრთოლა, ვით სიცილი ნამებულისა, მისი მთვრალი, აბნეული ლაპარაკი ღამეში გზას გადამცდარი კაცის ბორძიკს ჰგავდა.

– იცი, ჩემო... მე მიყვარს ის უბანი, სადაც შენ ცხოვრობ, შემყვარდა ის გზა, სადაც შენ დადიხარ... ვერ წარმომიდგენია თავი უშენოდ, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო...

და ის ჰკოცნიდა ქალის ხელის თითებს, მის ათრთოლებულ ხელში რომ ფრთხილდებდნენ...

მათ გადაუხვიეს ხეებში, ჩამოსხდნენ გრძელ სკამზე.

ღამემ გადააფარა მათ თავისი მღუმარე კალთა და ვით ფოთოლთ წკრიალი, ისმოდა ხის ძირას:

- მიყვარხარ!..
- შენ, მხოლოდ შენ!..
- მუდამ, მარადის!..

და წკრიალა კოცნა ადასტურებდა გრძნობათა სიტყვიერ გამოთქმას...

მეორე დღეს განშორდნენ ისინი ზღვისპირას გაბნეულ ქალაქს.

მატარებელი მიჰქროდა. აღფრთოვანებით ჰკვეთდა სივრცეს და შორს მიაქანებდა მათ.

იმ ვაგონში თითქმის არავინ იჯდა.

თითქოს შველას ეძებდა ვაჟის ძლიერ მკერდზე – ქალი ვნებით ეკვროდა ვაჟს. ის კი სიყვარულის მარგალიტებს კრებდა ცირას თვალთა მღელვარე ზღვაში.

მატარებელი გაჩერდა. აქ დიდი სადგური იყო და მატარებლის შენაცვლება უნდა მომხდარიყო.

ისინი ბაქანზე გადმოვიდნენ, გაიარეს.

ვაჟის ხელზე მიყრდნობილი ქალი უცბად შეკრთა, შეჩერდა – თითქოს თვალეზზე ბინდი გადაეკრა და გაოცებით წამოიძახა:

– ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია!..

და თვალი გააყოლა ახლო მიმავალ კოხტა ოფიცერს.

დაჰკრეს ზარი.

ვაჟი მარტოდ გაჰყვა იმავე მატარებელს, ზღვის ნაპირას გაბნეული ქალაქისაკენ.

1918 წ.



მრავალძალის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია

"გაბრატ აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი... დანიყრა ყოველი კავკასია თვითმავრობელოვითა ზიქეთითგან ვიღრა გურგანამღუ",* - წერს ქართველი მამათიანე ბაერთიანეშული ფოთალური საქართველოს პირველ მეფეზე, გაბრატ III-ზე, ვისაც კავკასიის ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ამგინციაც ჰქონდა. თითქმის გაშუღმეზულ საომარ ვითარებაში ერთიანი ქვეყნის მონარქი მნიშვნელოვან კულტურულ-ალგმენეზლოვით მოღვაწეობასაც ეწეოდა.

მისი მეფობისას (975-1014 წ.წ.) საქართველოს კუთხეები მოიფინა ახლადგამეზული ეკლესია-მონასტრებით. აღსანიშნავია ცნობილი არქიტექტურული ძეგლები: ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ მიჩნეული გაბრატის ტაძარი** კუთხისში, ნიკორწმინდა რაჭაში, გაღია აფხაზეთში (სადაც გაბრატ III დანიკრძალა კიდეც). მის სახელს უკავშირდება სხვა მნიშვნელოვანი ტაძრებიც: ხცისის (შიდა ქართლი), მრავალძალის, ზემო კრისის, ხიშვის (სამივე რაჭაში) ეკლესიები...

არაერთი ისტორიული ფაქტის, ამგინა თუ ლეგენდის შესახებ გვინამოგზს წმინდა გიორგის სახელოვის მრავალძალის დარბაზული ეკლესია, ფოთალური საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი. საუკუნეების განმავლობაში ტაძარში დაცული იყო (სხვა საგნებთან ერთად) ისტორიული თვალსაზრისით ისეთი საინტერესო ნივთები, როგორცაა ჯალაღდინის შუბარაღი და შაჰ-აბას I-ის ხმალი (რაზეც ვისაუბრებთ).

ეს ეკლესია შეისწავლეს და აღწერეს ვახუშტი ბატონიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, გიორგი ბოჭორიძემ, გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ბიულდენშტადტმა.

რაჭის მაღალი სოფლის თავზე

მრავალძალი ყველაზე მაღალი სოფელია რაჭაში. აქაა აგებული XI ს.-ის ხუროთმოძღვრების ძეგლი - მრავალძალის დარბაზული ეკლესია. აქედან იშლება ულამაზესი ხედები.

სოფელ მრავალძალიდან, დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით, ჭიქის ტბის ზევით უძველესი დროიდან ყოფილა მონასტერი; აქ ახლაცაა ნანგრევები, რომელსაც ადგილობრივები „ნაეკლესიეს“ უწოდებენ. როგორც ვარაუდობენ, ბერები აქედან აყრილან და სამონასტრო მოღვაწეობა დაუნყიათ სხვა მთის უბე-კალთაზე; იქ, სადაც ახლა მრავალძალის წმინდა გიორგის ტაძარია აღმართული.

მის აგებას ბაგრატ III-ის მიერ 1010 წელს რაჭის საერისთავოს დაარსებას უკავშირებენ.



მრავალძალის დარბაზული ეკლესია

მრავალძალი ერთნავიანი დარბაზული ეკლესია ყოფილა; გამოირჩეოდა დახვეწილი სკულპტურული გამოსახულებებით, ჩუქურთმებით, ლაპიდარული*** წარწერებით, საეკლესიო ხელნაწერი წიგნებითა და ტაძრისთვის შეწირული იშვიათი საერო ნივთებით.

წმინდა გიორგის რელიეფური გამოსახულება საკურთხევის ცენტრალურ სარკმელთან, ღიობის მარჯვნივაა; მის ფეხქვეშ კი არის ფიგურა რომის იმპერატორის, დიოკლეთიანესი, ვინც დიდმონაქმე გიორგი სიკვდილით დასაჯა.

XIX ს.-ში რუსმა ეგზარქოსმა მრავალძალის მონასტერი გააუქმა და ის სამრევლო კერად აქცია. 1894 წელს ქართველმა დეკანოზმა მიხეილ სხირტლადემ ტაძარი განაახლა და გააღიდა (ეს თარიღი ბარელიეფად დღესაცაა ამოტვიფრული კედლის გარე ფასადზე). ახალი ეკლესია იყო უჩვეულოდ დიდი, ათნახნაგოვანი გუმბათით (ძველი ეკლესიიდან დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი).

1991 წელს მიწისძვრისგან დაზიანებული შენობის სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდა 2009 წლის შემოდგომაზე. ეკლესიამ თავდაპირველი სახე დაიბრუნა.

* - ანუ, კასპიის ზღვამდე. ** - იუნესკომ მას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. *** - აზრის მოკლედ, სხარტად გამოსახტვა.



რატომ ეწოდა „მრავალქალი“

მრავალქალის ეკლესია ფრიად პოპულარული სალოცავი ყოფილა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე მთელ დასავლეთ საქართველოში ამ სალოცავის ცხოველმყოფელ ძალას ვერც შეადარებდი სხვა რომელიმე საკულტო ნაგებობას.

ტაძარი თავიდან მარტო წმინდა გიორგის სახელობის ყოფილა; ხოლო თუ რატომ ეწოდა მას „მრავალქალი“, ამის შესახებ გვიამბობს 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია.

„ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ თამარის მეფობის შემდეგ, როდესაც ოსმალეთის ჯარმა საქართველოზე გაილაშქრა, სოფელ მრავალქალთან მისვლა და მისი შემუსრვა გადანწყობა“.

როდესაც ოსმალები სოფელს მიუახლოვდნენ, თურმე უეცრად ჩამოხენლებულა, ნისლ-ბურუსში გახვეულა ხეობა და ჯარს გზა-კვალი არევიან. უმისამართო ხეტილის შემდეგ აღმოჩენილან ჭოლევის კლდესთან, რომელიც სოფელ მრავალქალს სარტყელივით აკრავს.

სტატიის ავტორი აგრძელებს:

„ჭოლევის კლდიდან რამდენიმე ჯარისკაცი გადავარდა და რადგანაც თვალთ ველარას ხედავდნენ, ბევრი გადაჰყვნენ ერთმანეთს... შედგნენ და დაუწყეს გზას ფრთხილად სინჯვა... აღარ იცოდნენ, საით გაბრუნებულიყვნენ. სწორედ ღვთის განგებააო, იფიქრეს, აქ სწორედ წმინდა გიორგის სალოცავი უნდა იყოსო“.



წმინდა გიორგის ბარელიეფი გარე ფასადზე

შეშინებულან ოსმალო ჯარისკაცები; უფიქრიათ, თავს უთუოდ ღვთის წყრომა დაგვატყდაო და დაუწყიათ ლოცვა:

– ვევედრებით შენს დიდებას, გვიხსნას ამ განსაცდელისაგან. ვდებთ ალთქმას, „სადამდინაც შენი ზარის ხმა მიაღწევს, იქ ჩიტსაც არ ავაფრენთ“.

ცოტა ხანში გადაყრილა ჯანლი და მრავალქალის ხეობა დღის სინათლეს გაუნათებია. ცოტა მოშორებით ჯარისკაცებს საყდარი დაუნახავთ; ის ღამე ამ ეკლესიის გალავანში გაუთენებიათ და ამჯერად ლოცვით წმინდა გიორგისთვის მიუმართავეთ:

– წმინდაო გიორგი ძლიერო! რადგანაც გადაგვარჩინე ამ განსაცდელს, ჰქმენ სხვა სასწაულიც და ამ შენს გალავანში მოიყვანე ის ძროხა და ხარი, რომელნიც ჩვენის ზღვის პირზედ არიან და უფრო მეტად დაგვიმტკიცე შენი ძლიერება!

ლეგენდის თანახმად, ხეობაში ბინადრობდა ხარი და ძროხა, რომლებიც ისეთი უზარმაზარები ყოფილან, მათი დაკვლა ვერავინ ვერასოდეს შეძლო. არადა, ოსმალებს სურდათ, გამოეცადათ ხატის ძლიერება. მართლაც, მალევე ეკლესიის გალავანს მიუახლოვდა ორივე ოთხფეხა საქონელი და ჯარმა ადვილად შეძლო მათი დამორჩილება. ახდენილი სასწაულის ნიშნად ოსმალებმა დაკლული ცხოველების მარჯვენა რქები თურმე ვერცხლით მოჭედეს და მრავალქალის ეკლესიას შესწირეს.

„ამდენი სასწაულის მნახველმა ოსმალეთის ჯარმა უწოდა ამ ეკლესიას „მრავალქალი“, ანუ „მრავალძლიერი“, – წერს „ივერია“, – სოფელსაც ეს სახელი ეწოდა“.

პუბლიკაციის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ყანწებს დღეობებისა და ქორწილების დროს ხმარობენო; ბოლოს კი დასძენს: „ხალხი იმ აზრისაა, რომ როდესაც იმ ყანწებით ღვინოს სვამს ვინმე, უსათუოდ ფეხზედ უნდა წამოდგეს, ქუდი მოიხადოს, პირჯვარი დაინეროს, სამჯერ ემთხვიოს ყანწს და ისე დალიოს; თუ ასე არ მოიქცა, ვერ გამოცლის“.

აღსანიშნავია, რომ XIX ს.-ში ტაძრის გადიდებისას, დასავლეთის კედელზე გამოუსახავთ ხარისა და ძროხის თავები, რომელთა ნახვა დღესაც შეიძლება.



ჯალალედინის მუზარადი

უკვე აღვნიშნეთ, რომ მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიაში უამრავი ისტორიული ნივთი ინახებოდა. 1934 წელს სალოცავი გაუძარცვავთ. ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის ცნობით, ყაჩაღებს ვერცხლულობისგან დაუცლიათ ტაძარი; გადარჩენილა ხვარაზმთა იმპერიის უკანასკნელი – 35-ე მმართველის, ჯალალედინის მუზარადი, შაჰ-აბასის ხმალი და ქარასხები*



ჯალალედინის მუზარადი

როგორც ისტორია გვამცნობს, 1225 წელს გარნისთან ქართველებმა ომი წააგეს (ამ დროს საქართველოში მეფობს თამარის ქალიშვილი – რუსუდანი) და დაუნდობელმა ჯალალედინმა თბილისიც ააოხრა. სწორედ მისი ბრძანებით მოანგრის მაშინ სიონის ტაძრის გუმბათი, მის ნაცვლად კი დადგეს ტახტი, სადაც თავადვე დაჯდა. ერთ დღეში მტკვრის ხიდთან 100.000 მოწამის სიკვდილიც ჯალალედინს უკავშირდება.

რაც შეეხება სულთნის მუზარადს, ამის შესახებ ცნობას გვანდის XIV-XV სს.-ის ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი – ქუცნა ამირეჯიბი თავის ნაშრომში „ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელი“. ნაწერიდან ირკვევა, რომ ხვარაზმელი ჯალალედინი იმერეთის საზღვართან სასტიკად დაუმარცხებია რუსუდან მეფესა და მის ჯარს. სიგელში ვკითხულობთ: „შევსწირეთ ოდეს წარგუიჩინა თვით და ამისად რუსუდან მეფემან ლაშქარსა სპარსისა და გაგუემარჯვია; მინდორს შევიბენით... მოვართვით დროშა და თავი თვითვან სულთნისა...“.

ეს თავჯი, ანუ რკინის საომარი ქუდი (იგივე, სამეფო გვირგვინიც), ნიშნად მტერზე გამარჯვებისა, შეუწირავთ მთელ იმერეთში გამორჩეული მრავალძალის მონასტრისთვის. სიგელი იუნყება: „და შევსწირეთ... თავი მრავალძალსა“.

შაჰ-აბასის ხმალი

ვახუშტი ბატონიშვილის კაპიტალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (XVIII ს.), როცა ავტორი საუბრობს მრავალძალის ეკლესიაზე, განცვიფრებას იწვევს ერთი ფაქტი: რომ ამ სალოცავისთვის საკუთარი ხმალი შეუწირავს ქართველთა დაუძინებელ მტერს, ირანელ მხედართმთავარს – შაჰ-აბას I-ს (მან რამდენჯერმე დაარბია საქართველო): „არს მთაში მრავალძალის ეკლესია წმიდის გიორგისა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი. ამას შესწირა შაბას ხრმალი ოქროთ მოოჭვილი...“



შაჰ-აბასის ხმალი

ამბობენ, გორში ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს შაჰ-აბას I-ს შეუმჩნევია, რომ ლუარსაბ II-ის (ქართლის მეფე 1606-1615 წ.წ.) ბედით დაინტერესებული იმერელი ელჩები ხშირად აფიცებდნენ გიორგი სააკაძეს მრავალძალის წმინდა გიორგის.

XIX ს.-ის ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც თავის გამოკვლევაში ეხება სწორედ ამ შეხვედრას (შაჰისა და იმერელი წარჩინებულების) და შაჰისეული ხმლის ისტორიას. ირანელ მმართველს როდესაც შეუტყვია მრავალძალის სალოცავის შესახებ, ქართველი დიდებულებისთვის გადაუცია თავისი ხმალი და ქარასხები და უთხოვია, „ეს საჩუქარი ტაძრის კედელზე დაეკიდათ“.

აღნიშნული იარაღი XX ს.-ის 20-იან წლებში მოინახულა და აღწერა გიორგი ბოჭორიძემაც: „სპარსული ხმალი ტარმოტეხილი; ტარი შეჭედილია ოქროთი და შემკული 1 დიდი, 31 სამუალო და 14 წვრილი თვლით“. გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტიც აღნიშნავს: „ეკლესიას აქვს ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი...“



მრავალძალის დარბაზული ეკლესია გარემოსაც გუნებრივად ერწყმის. მზიან ამინდში საგლოცველოს სამრეკლოდან იწვება რაჭა-ლეჩხუმის მომხიზლავი ხაღი, ჩრდილოეთით კი – კავკასიონის ულაგაზისი პანორამა. ბაიხადავ დასავლეთით და თვალწინ მზის სხივების ნარიწვისფრად შეღებილი სიონის ფართო ხეობა დაინახება, ფარდობა შეფენილი სოფლებით. ჭოღავის კლდეები კი სამხრეთიდან გიშვარან.

თითქოს მისტიკაა: თავისი იღვამალებით ტაძარი გარემოსაც იმორჩილებს.

* – ყანნები.



შალვა დადიანი და სოხუმის «მოძრავი დასი»

„დიდი ილიას დაღუპვის შემდეგ ასეთი მრავალფეროვანი ბუნების მოღვაწე ჩვენ არა გვყოლია... უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჭეშმარიტი მიჯნური საქართველოს ტრაგიკული ისტორიისა... ეს ადამიანი რომ არ ყოფილიყო ამ ქვეყანაზე, შემზარდებოდა ეს ქვეყანა“, – ასე აფასებს დიდი კონსტანტინე გამსახურდია ცნობილ ქართველ მწერალს, საზოგადო და თეატრალურ მოღვაწეს, ინტელიგენტობითაც და გარეგნობითაც გამორჩეულ შალვა დადიანს.

ვასო აბაშიძესთან, გიორგი შარვაშიძესთან, კოტე მარჯანიშვილთან, ლადო მესხიშვილთან, დუტუ მგერელთან, ზაქარია ფალიაშვილთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან ერთად შალვა დადიანმა ფეხზე დააყენა, აღადგინა ძველი ქართული თეატრი.

„ჩემს ძარღვებში სჩქევს მეფეთა და მთავართა სისხლი (მე ხომ მამის პაპის მხრივ ირაკლი მეფის შთამომავალი ვარ)“, – წერს შალვა დადიანი.



1899 წლის 9 აპრილით დათარიღებულ გაზეთ „ახალ ამბებში“ დაიბეჭდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქუთაისის თეატრის 25 წლის მსახიობმა შალვა დადიანმა სოხუმში გამართა საქველმოქმედო წარმოდგენა; და რომ შემოსული თანხა გადაირიცხა „ტფილისის ქალთა მომავალი სკოლის სასარგებლოდ“.

შალვა დადიანი მერეც ხშირად სტუმრობდა ზღვისპირეთს, სადაც იყო გათხოვილი მისი და – მარიამი, ღირსეული ქალბატონი, რომელიც „მფარველ ანგელოზად მოველინა საქართველოს ამ განაპირა კუთხეს“. მან აქ პირველმა დააარსა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება“ 4-კლასიან სასწავლებელთან ერთად.

„აფხაზეთი ლამაზია, ლამაზია თავისი მდიდრული ბუნებით, კავკასიის თეთრმუზარადიანი თხემითა და შავი ზღვის საუცხოო ნაპირებით... ან ვინ ყოფილა ისეთი, ერთხელ მაინც ენახოს აფხაზეთი და არ აღტაცებულიყოს მისი ბუნების ახოვანებით, მისი ჰაერის სინაზით... მთავარი კი ის არის, რომ ლამაზია თვით ხალხი აფხაზეთისა, ლამაზი თავისი ნიჭიერებით, გულისხმბიერებით... აფხაზეთი ლამაზია თავისი მშფოთვარე წარსულით, თავისუფლებისმოყვარეობით“, – წერდა შალვა დადიანი.

ეს ფრაგმენტიც დრამატურგის მოგონებიდანაა:

„თამამად შეიძლება ითქვას, ქართულმა თეატრმა გამიწია უნივერსიტეტის მაგივრობა. როგორც კი გამოგაზაფხულდებოდა, მე და ჩემი ამხანაგები მოვედებოდით მთელ საქართველოს. ხან ქართლის რომელიმე სოფელში ამოვყოფდით თავს, ხან გურიაში, ხან აფხაზეთში“.

შალვა დადიანს შეუსრულებია 280 როლი, დაუდგამს 100-ზე მეტი სპექტაკლი, უთარგმნია და დაუწერია 20-მდე პიესა.



ელო ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი



1911 წლის ზაფხულში შალვა დადიანი ჩამოდის სოხუმში და მსახიობ ელო ანდრონიკაშვილთან ერთად (მომავალში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე) იღწვის აფხაზეთში ქართული თეატრის ასაღორძინებლად, აქტიურად იწყებს წარმოდგენების დადგმას.

„თეატრი ხომ ტაძარი, სკოლა და სარკეა“, – მიაჩნდა მას.

სწორედ სოხუმში დაიდგა პირველად შალვა დადიანის პიესა „როს ნადირობდნენ“. ამას მოჰყვა სპექტაკლები – ილიას „გლახის ნაამბობი“, დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ლევ ტოლსტოის „აღდგომა“...

სცენაზე ერთი სიახლეც დაამკვიდრა შალვა დადიანმა: ყოველი წარმოდგენის წინ გადიოდა მაცურებელთა წინაშე და მათ პიესის შინაარსსა და იდეურ არსზე ესაუბრებოდა.

1912 წლის ზაფხულში შალვა დადიანმა სოხუმში დააარსა ე.წ. „მოგზაურთა დასი“, რომელიც მიზნად ისახავდა წარმოდგენების გამართვას არა მარტო ზღვისპირეთის, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში.

„კოლექტივისთვის შევიძენ ერთ დიდ ავტობუსს და ვიქნები ამ თეატრის ხელმძღვანელი. მე ვიქნები პირველი „მოდრავდასელი“. ვითამაშებ კიდევ კიდევ მოვივლი საქართველოს“, – ჩაწერს დღიურში შალვა დადიანი.

„ქვეყნის მოსიყვარულე ტრუბადურივით შალვა დადიანი თავისი „მოდრავი დასით“ დაბიდან დაბაში, ქალაქიდან ქალაქში დადის“, – ესაა ფრაგმენტი მიხეილ მრეველიშვილის წიგნიდან „ორი საუკუნის რაინდი“.



შალვა დადიანს, რა თქმა უნდა, ჰყავდა თანამოაზრენიც. ერთ-ერთი ყოფილა სოხუმელი ანტონ ქარცივაძე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ჩოხოსანი, ერთი შეხედვით, თითქოს მარტოოდენ კარტის მოთამაშე, დარდიმანდი, თუმცა თეატრის ქომაგი.

„თვითოეულ ქალაქში გამოგვიჩნდებოდა თითო გულშემატკივარი. და ის დარბოდა ოჯახებში, ხალხს აგულიანებდა წარმოდგენაზე წასასვლელად და ბილეთებსაც არიგებდა. ასეთი იყო სოხუმელი, ვინმე ანტონ ქარცივაძე“, – წერს შალვა დადიანი.

ამ ახალგაზრდამ ქალაქის ადგილობრივ ბანკში კრედიტიც კი გახსნა „დასელების“ დასახმარებლად; საბანკო ვექსილზე შალვა დადიანისა და ალექსანდრე შარვაშიძის ხელმოწერებიცაა.

და როგორც მაშინ ერთ-ერთმა „დასელმა“, მსახიობმა ვასო ბალანჩივაძემ (მომავალში საქართველოს სახალხო არტისტი) გამოხატა, „ვალებიდანაც ამოვტყაპუნდით“-ო.

შალვა დადიანი იყო სოხუმში მუდმივი პროფესიული ქართული დასის ფუძემდებელი, ბათუმის თეატრის დამაარსებელი, ბაქოს ქართული დასის მესვეური, ქუთაისის თეატრის თვალსაჩინო მოღვაწე, ქართველ მსახიობთა კავშირის პირველი თავმჯდომარე, წლების მანძილზე განაგებდა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას.

შალვა დადიანმა სოხუმში დაჰყო 1911-დან 1914 წლამდე.



მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა





პუბლიკაცია, რომელსაც გააცნობა ჩვენი მკითხველი, ექსპლუზიური თუნდაც იმიტომ, რომ უცხოელმა ავტორმა იგი ჩვენს გვარობურ ენაზე დაგვიწერა. "იალქანი" ეს პირველი შემთხვევაა.

წინა ნომერში დავაანონსეთ, რომ ქართველოლოგი, ტოკიოს უნივერსიტეტის დოქტორანტი ჰაიატა სოტომე გამოგვიგზავნიდა სტატიას საქართველოზე, გვიამბობდა ჩვენს ქვეყანაში გატარებულ წლებსა და აქ მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ვფიქრობთ, ჩვენი ჟურნალის მკითხველს მართლაც დაინტერესებს საქართველოზე შეყვარებული ნიჭიერი ახალგაზრდის მონათხრობი; შეიტყოს, როგორია უცხოელის თვალთქვეშა ჩვენი ქვეყანა. წერილი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ჩვენს საკუთარ იდენტობაზე, ლიტერატურასა და ტრადიციებზე.

"იალქანი" რადაცთა მაღლიერია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ ირმა რატიანის, რომელმაც დაგვაპავშირა იაპონელ ჰაიატა სოტომესთან.

「ヨ-ジ」アカ女子「七」す 夢やん საქართველო*

ჰაიატა სოტომე

ადრე საქართველოზე არაფერი ვიცოდი, თვით ინტერნეტშიც კი არ იყო მასზე რაიმე ინფორმაცია. ტოკიოს უცხო ენათა უნივერსიტეტის რუსული კათედრის პირველ კურსზე ვიყავი (რუსულს ცნობილი რუსოლოგები გვასწავლიდნენ), როცა ერთმა პროფესორმა სტუდენტებს გვიჩვენა თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. ამ სურათმა პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; დამაინტერესა საქართველომ და გადავწყვიტე, შემესწავლა ქართული ენა, გავცნობოდი ამ უძველეს ქვეყანას.

როგორც კი მეორე კურსზე გადავედი, დავიწყე გზების ძიება, როგორ შემესწავლა ქართული ენა. **საბედნიეროდ, ჩვენს უნივერსიტეტში მუშაობდა ქართულის სპეციალისტი – ჰიასუჰირო კოჯიმა, რომელსაც კვირაში ერთხელ მიჰყავდა ქართული ენის გაკვეთილების კურსი.**

მე დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით შევუდექი ენის შესწავლას და ერთ წელიწადში საკმაოდ კარგად დავეუფლე ქართული ენის გრამატიკას. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საკმარისი, მჭირდებოდა ცოცხალი ურთიერთობა, საუბრის გამოცდილება, რაც იაპონიაში, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ამიტომ გადავწყვიტე, ენის შესასწავლად საქართველოში ჩამოვსულიყავი.

გავიგე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო ქართველოლოგიის ცენტრი, სადაც, თავის დროზე, თვითონ ჰიასუჰიროც სწავლობდა. საჭირო დოკუმენტაცია მოვანერსიე და მალე უკვე თბილისში ვიყავი.

ჩვენში, იაპონიაში, ტექსტებს თარგმნიან პროფესორები, რომლებიც ამა თუ იმ ენას ფლობენ. იშვიათია პირი, რომელიც პროფესიით მთარგმნელია; სამწუხაროდ, იაპონიაშიც კი, მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობით ლუკმა-პურს ვერ იშოვი. ალბათ, მომავალში მეც წავიკითხავ რომელიმე უნივერსიტეტში ლექციებს; მაგალითად, ლიტერატურათმცოდნეობაში, მაგრამ უშუალოდ და მხოლოდ ქართულ ენას, ვფიქრობ, ვერ გავყვები. საქმე ისაა, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არაა ქართული ენის კათედრა ან კაბინეტი.

იაპონურ ენაზე თარგმნილია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“; ამიტომ გარკვეული წარმოდგენა მქონდა ქართულ ლიტერატურაზე. საქართველოში ყოფნისას სიამოვნებით წავიკითხე, რა თქმა უნდა, ქართულად, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“. მომავალშიც ვაპირებ, უფრო კარგად გავცნო ქართულ ლიტერატურას, ვიმუშაო თარგმანზეც.



ვაჟა-ფშაველას კრებული იაპონურ ენაზე, გამოცემული ტოკიოში



იაპონიის მსგავსად, საქართველოც ტრადიციების ქვეყანაა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ქართველებისთვის ტრადიცია უცვლელია, იაპონელებისთვის კი – ცვალებადი.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ცნობილი ისტორიკოსის აზრით, თავიდან თვითონ ტრადიცია არ არსებობდა; იგი დროთა განმავლობაში თანდათან იქმნებოდა ნაციონალიზმის განვითარებასთან ერთად. ამიტომ, რასაკვირველია, არა მარტო იაპონიასა და საქართველოს, არამედ თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი, ადგილობრივი (ეროვნული) ტრადიცია.

ჩემთვის, ამ შემთხვევაში, უფრო საინტერესოა, თუ როგორ განვითარდა ნაციონალური იდენტობა და ნარატივი საქართველოში. ამ თვალსაზრისით ძალიან მომხიბლა ილიას შემოქმედებამ და მოღვაწეობამ; **ამიტომ, თავდაპირველად ჩემი სამაგისტრო ნაშრომის თემად ავირჩიე ილია. მაგრამ მხოლოდ ილია საკმარისად არ მივიჩნიე და ვაჟას შემოქმედების კვლევაც დავიწყე. რასაკვირველია, ვაჟა გენიალურია, მაგრამ თავიდან ჩემთვის რთულად გასაგები შეიქნა ვაჟასეული ენა. ამიტომ ისევ ილიაზე გადავეწყვე; თუმცა უნდა ვაღიარო, ილიას კახური დიალექტიც არანაკლებ რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ გადავწყვიტე, ორივე მწერალზე მომემზადებინა სადოქტორო, რასაც, ვფიქრობ, არც თუ ცუდად გავართვი თავი.**

მოკლედ ჩემი სადოქტოროს შესახებ: ნამუშევრის ზოგადი თემაა – კოლონიური და პოსტკოლონიური ლიტერატურა. **ამ კუთხით ძალიან პროგრესულად აზროვნებს ილია, რომელიც საქართველოს ახალ გზას უჩვენებს. ამ გზას ჰქვია განათლება, მეცნიერება, კულტურა, განვითარება, წინსვლა, მოდერნიზაცია...**



ჰაიატე სოტომე და პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, სათაფლია

ილიას „მგზავრის წერილებს“ თუ გავიაზრებთ, პირველივე თავებში გამოჩენილ პერსონაჟებს – ავტორს (მთხრობელს), რუს მეეტლესა და ფრანგ მგზავრს გარკვეული დატვირთვა აქვთ. როდესაც „მე“ (ავტორი) ვლადიკავკაზს ტოვებს, რუსი მეეტლე ცხენებს უბრაზდება იმის გამო, რომ ეტლს ვერ ძრავს ადგილიდან, ამ სცენის შემხედვარე ფრანგს კი ეცინება. **მოცემული სქემით გამოკვეთილია ილიას მრწამსი, რომ იმდროინდელი საქართველოს მისაბაძი ქვეყანა არა რუსეთია, არამედ საფრანგეთი და, ზოგადად, დასავლეთ ევროპა.**



ჰაიატე სოტომე და დუტა სხირტლაძე

პოსტკოლონიალიზმის ცნობილი თეორიტიკოსის ფრანც ფანონის* შეხედულებით, ჩვენ გვჭირდება „ნამდვილი ჰუმანიზმი“. **ამ კუთხით ძალიან საინტერესოა ვაჟას ის ნაწარმოებები, სადაც დახატულია მოლაპარაკე ბუნება. ამიტომაც სადოქტორო ნაშრომის თემად შევარჩიე ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი“.**

პოემაში ვკითხულობთ, რომ პროტაგონისტმა** მინდამ შეჭამა გველი და იმის შემდეგ ესმის ბუნების ბგერები. მინდია, რომელიც ხის მოჭრასა თუ ნადირის კვლას აპროტესტებს, ბუნების ნამდვილი შვილია. მინდიას ესმის ყვავილებისა და პურის თავთავების ხმები; ისინი საზრდოდ თუ ნამლად სთავაზობენ თავიანთ თავს. თავთავების ეპიზოდი, შეიძლება, გავიაზროთ ალეგორიულად და დავუკავშიროთ ისააკის მსხვერპლშენიერვის ძველ, აღთქმისეულ ეპიზოდს.

* – XX ს.-ის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი შავკანიანი მოაზროვნე.
** – ძველ ბერძნულ ტრაგედიაში: მთავარი როლის შემსრულებელი.



ჰაიატე სოტომე ფშაველ გოგონასთან ერთად

ბუნება თავისი გადამწყვეტილებით ნებაყოფლობით სწირავს თავის სიცოცხლეს; ვაჟა მას სუბიექტურობას ანიჭებს. ამ სუბიექტურობის წყალობით ბუნება მინდისა ტოლფასია; ისინი, შესაძლოა, თანაბარ სუბიექტებად ჩავთვალოთ.

სწორედ მინდისა და ბუნებას შორის არსებული თანაბარი ურთიერთობა მიმაჩნია „ნამდვილი ჰუმანიზმის“ მეტაფორად, ისეთი „ჰუმანიზმისა“, სადაც არავინ არავის ჩაგრავს, ყველა თანასწორია. და რადგან ჰუმანიზმი მხოლოდ ადამიანთა შორის შეიძლება, არსებობდეს, ვაჟა გაადამიანებული ბუნების სახით გვეუბნება, რომ ვიყოთ კაცთმოყვარენი, შევიგნოთ, რომ ბუნება-ეს ჩვენ ვართ. პოეტის ცნობილი ფრაზაც ხომ ასე უღერს: „ჩვენ ბუნებაში ვართ, ბუნება ჩვენშია.“

ჩემთვის დაუფინყარია საქართველოში გატარებული წლები. ბევრს ვმოგზაურობდი, სწავლასთან ერთად ვკითხულობდი მხატვრულ ლიტერატურას, მათ შორის, ბიბლიას. გავეცანი „დაბადებას“, ადამისა და ევას ეპიზოდებს. კურსზე ძალიან საინტერესო ადამიანები სწავლობდნენ, სასიამოვნო იყო მათთან ურთიერთობა. სოციალური ქსელის მეშვეობით დღემდე ვუკავშირდებით ერთმანეთს; განსაკუთრებით, ვმეგობრობ ერთ გოგონასთან, რომელიც სასცენო ხელოვნებითაა გატაცებული.

სტუდენტობის წლებში შეძენილ მეგობრებთან ერთად ვიმოგზაურე ქვემო ფშავში, დავესწარი დღეობებს (ლაშარობას, ხოშარობას, თამარღელობას). ყველაფერი მაინტერესებდა; მით უმეტეს, რომ ვმუშაობდი ვაჟას შემოქმედებაზე და მის ნაწარმოებებში აღწერილი იყო მსგავსი დღეობები და ხატობები. მსურდა, საკუთარი თვალით მეხაზა, როგორი იყო სინამდვილეში ყველაფერი.

„გველის-მჭამელშიც“ ხომ არის აღწერილი დღეობა, სადაც მინდისა უნარზე ეჭვი ეპარებათ თანასოფლელებს და საკმაოდ ნასვამები კამათობენ მასზე. თუმცა, როგორც ხშირად ხდება, წარმოდგენა ყოველთვის არ ემთხვევა სინამდვილეს.

დღეობებზე გადაჭარბებული მომეჩვენა მოლხენა, ღრეობაში გადასული. თუმცა ჩემი იქ ყოფნის 2 დღის განმავლობაში სულ სვამდნენ და, მათთან ერთად, ჩემი შესაძლებლობით, მეც მიწევდა დალევა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სმა (სიმთვრალეზე არაფერს ვამბობ), დღეობებისა და, ზოგადად, ქართული ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.



ჰაიატე სოტომე, ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) და ანზორ ერქომაიშვილი

ფშავში გავიცანი ცნობილი მწერლის ოტია იოსელიანის შვილიშვილის მეუღლე(ახლახან გავიგე, თურმე ოტიას „დაჩის ზღაპრები“ იაპონურადაც ყოფილა თარგმნილი), რომელმაც წყალტუბოში, მწერლის სახლ-მუზეუმში დამპატიჟა.

მეც დიდი სიხარულით მივიღე მონაწილეობა. კოვიდის გადავლის შემდეგ აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვესტუმრები იმერეთსაც.

და ბოლოს:

ქართული ხელოვნება იმერეთში
ნამდვილია იქვე.

ქათივან დოლიძე

ვიდრე ოფლი არ შეშრობია ულაყის ფერდებს

ვიდრე ოფლი არ შეშრობია ულაყის ფერდებს,
უნდა იცხოვრო მინაზე და ზეცაში ფრენდე.

ვიდრე უფსკრულებს არ შეგარევს ქარიშხლის თქორი,
ვიდრე სიკვდილი დაგაცხრება – კლანჭება ქორი.

უნდა მოასწრო ყვავილების ნაზი ამბორი
და წუთისოფელს მოეფერო, ღვარძლით გაბოლილს.

ისიც გაყიდეს... შეეშველე შენი ფარფლებით,
თუ გინდა, თავად არ დაგემსხვრეს თეთრი აფრები.

თუ გინდა, შენმა ნაშიერმა იშემოდგომოს
და გაზაფხული ხელმეორედ გადაეფოთლოს...

...და თუ ცხოვრება ხერხემალში მაინც გაგტეხავს,
გამოადგები საქართველოს სარკის ნატეხად!

მომწყურდი

ხალხურ მოტივებზე

მომწყურდი, ლექსო, მომწყურდი,
შენ დამოიკე წყურვილი,
შენ დამოიკე წყურვილი –
ნისლების ჩამონურვილი.

ავექარიშხლე ხეობებს,
ვკოცნე და ვკოცნე მთის კიდე
და გულნასული ქარაფებს
ჩანჩქერად ჩამოვეკიდე.

ვეშემოდგომე ქვეყანას,
ვიფოთოლცვენე, გამთელეს
და სტრიქონ-სტრიქონ ავკინძე,
რაც გვაბადია ქართველებს.

ყველა წყაროს და მდინარეს
ჩავემუხლე და ვემთხვიე,
გულო, ქარიშხლად ქცეულო,
სიკვდილსამც ჩამოეხვიე.

დამშვიდდებოდი ერთხელაც,
ზეცაში აღარ იფრენდი
და ლოდქვეშ მიმქრალ სიჩუმეს
მანდილად გადაიფრენდი!





ძვირფასო ყმაწვილებო, რუბრიკამ „ო, ენაჲ ჩემო“ ჩვენ ისევ ვეგვანვედრა ერთმანეთს. ამჯერადაც ხალისით გადავხალეთ არნოლდ ჩიქოვაძეს ასე ღირებული „ქართული ენის ბანარტებითი ლექსიკონი, რომ ერთად გადაგვპიეთსა ასო „ბან“-ის მწკრივში მოძიებული საინტერესო სიტყვები. არ დაიზაროთ, ცოტა ხნით „დაივიწყეთ“ სოციალური ქსელიც და დროის პატარა ნაწილი დაუთმეთ შურნალის ამ ორ გვერდს. გახსოვდეთ, რომ ვმოგლიწური ენა თქვენი, მოგავალი თაოგების გასაფრთხილებელია.

- ბ -

- ბაბანი – თრთოლა, კანკალი
- ბაბაჭუა – იგივეა, რაც ობობა
- ბაბლი – (ძვ.) საბანზე მიკერებული სამკუთხა ნაჭრები
- ბაბრი – იგივეა, რაც ჯიქი (1); დიდი დათვი (2)
- ბაღია – ქუსლიანი დიდი ჯამი
- ბაზი – (სპარ.) მონადირე ფრინველი (შევარდენი, ქორი, მიმინო)
- ბაზიერი – (სპარ.) ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშებული
- ბაზმა – (ძვ.) ზეთის პატარა ლამპარი (ხატებთან ასანთები)
- ბაია – თვალის გუგა
- ბაიყუში – (თურქ.) დიდი ბუ (1); (გადატ.) – უყმური ადამიანი (2)



ბაღია – ქუსლიანი დიდი ჯამი



ბალდადი – აბრეშუმის მანდილი

- ბაკმი – მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ
- ბარბითი – (ძვ.) სიმებიანი საკრავი
- ბარცაკალი – (ძვ.) ხის სანოლის თავთან დაყენებული ფიცარი ბალიშისთვის
- ბასტიბუბუ – დიდი ხმაურობა, ყრიამული
- ბატატურა – უკანა ფეხებით გაფარჩხული ცხენი
- ბატკი – ჩვილი თიკანი
- ბალდადი – აბრეშუმის მანდილი (1); (ძვ.) მამაკაცის აბრეშუმის ხელსახოცი (2)
- ბალდადური – ძველებური ცეკვა ბალდადით ხელში

- ბედუინი – (არაბ.) მომთაბარე არაბი
- ბეითალი – (ძვ.) იგივეა, რაც ვეტერინარი
- ბელზებელი – (ებრ.) ავი სული, ეშმაკთმთავარი
- ბენუარი – (ფრანგ.) თეატრში პირველი იარუსის ლოყები
- პარტერისა ან სცენის გასწვრივ
- ბექთარი – (სპარ.) მეომრის ჯაჭვის პერანგი
- ბზაკალი – (ძვ.) ხის მშვილდი
- ბზენვია – ყვითელგულა პატარა ჩიტი
- ბივრილი – ძვირფასი ქვა
- ბილილა – მინდვრის ყვავილი
- ბინული – წყაროს წყალი



ბატკი – ჩვილი თიკანი



- ბირდაბირი** – ხერხი, რომლითაც ორი ადამიანი ხერხავს
- ბისონი** – მეფეთა და მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი
- ბილი** – განზე გაბზეკილი მსხვილი ულვაში
- ბლიკვი** – მუშტი, რომელშიც ცერი სხვა თითების ქვეშაა მოქცეული
- ბობლანი** – (ძვ.) დაფი, დოლი
- ბოლობეჭედა** – მტაცებელი ფრინველი
- ბოლოცეცხლა** – პატარა მაგალობელი ჩიტი, წითელი ბოლოთი
- ბონდი** – ბაგირებზე დაკიდებული მდინარის ხიდი
- ბონცვერი** – ხის შტო, ახალამოყრილი



**ბექთარი –
მეომრის ჯაჭვის პერანგი**



**ბობლანი –
დაფი, დოლი**

- ბორდა** – უნაგირზე გადასაფარებელი ქსოვილი ან ტყავი
- ბორჯი** – იგივეა, რაც ფესვი
- ბორჯული** – ხის გაშლილი ტოტები; ითქმის ირმის რქებზეც
- ბოლაზი** – (ძვ.) ნავსადგური
- ბოლვერა** – ფარის, ჯოგის დიდი ძალღი
- ბოლინო** – ღვინოში ჩამბალი პური
- ბოძალი** – ორწვერა ისარი (1); ორკაპა ხე (2)
- ბოძკინტი** – პატარა ბოძი



**ბონცვერი –
ხის შტო, ახალამოყრილი**

- ბოხოხი** – ცხვრის ტყავის ქუდი
- ბჟიტი** – იგივეა, რაც ჭუჭული (ბატის, იხვის... ნაშიერი)
- ბრკე** – ღვინის ობი, თავზე მოდებული
- ბრჯგუ** – (ძვ.) ჩლუნგი ადამიანი
- ბუბლიკი** – (რუს.) ანუ, ბლითი
- ბუდრუგანა** – მოუსვენარი, უთავბოლოდ მოძრავი
- ბუერა** – ბალახი დიდი, გრძელყუნწიანი მომრგვალო ფოთლებით



**ბოლოცეცხლა –
მაგალობელი ჩიტი**

- ბუკიოტი** – პატარა ბუ
- ბუკნატო** – ბუკიოტზე მომცრო ბუ
- ბულული** – თივის პატარა ზვინი
- ბუნი** – დროშის ან შუბის ტარი;
- ბურნა** – ქინქლა მწერი, რომელიც ეხვევა ღვინოსა და ძმარს
- ბურძგალი** – აშლილი ბენვი
- ბუტუსურა** – მოუხერხებელი ადამიანი
- ბუძგი** – ზღარბის ეკლიანი საფარი



**ბოლვერა –
ფარის, ჯოგის დიდი ძალღი**



“მე ვნერ ზღაპრებს პატარებისთვის და იმ დიდებისთვის, რომლებმაც ბავშვობა შეინარჩუნეს”, – ამბობს გურამ პეტრიაშვილი.

ესაა ფორმულა, ის მოცემულობა, რის გარეშეც მწერლის ერთმანეთზე საინტერესო პერსონაჟებს ვერასოდეს გავიცნობდით, ვერ შევიტყვობდით ზღაპრული პატარა ქალაქის უცნაურზე უცნაურ ამბავს.

დღევანდელი პუბლიკაციითაც გურამ პეტრიაშვილი გვითხვებს ცოტათი გააოცებს. ცნობილი მწერალი, მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი, პოლიტიკური მოღვაწე, როგორც ვაითხულობთ სოციალურ ქსელში მისი გვარის გასწვრივ, “იალქანს” ფურცლებზეა დღეს საჯაროდ პირველად ისაუბრებს თავისი ცხოვრების პირად და ბავშვებისთვის უცნობ დღეებზე; იმაზეც, რომ მის მიერ ჩატარებული გათვითმუხტვის გაკვეთილები განყვანებულ სამყაროში აღმოჩენილი საქუთარი თავიც იყო; ის დრო და სივრცეც, რომელიც წლებსა და წლების შემდეგ ჩვენს “მთავარ მიზანსადაც” (როგორც უნდადაც ბატონ გურამს) ათმევიწინებს, როდის და ვინ დანახვინა ზღაპრების წარა.

“ვერავინ ვერც კარბის თქმას დამახწრებს ვინმესთვის და ვერც იმას, რასაც ვფიქრობ მაგანზე, თუნდაც, ეს ყველაზე არასასიამოვნო მოსახმენი იყო”, – ბრძანა ბატონმა გურამმა “იალქანში” მორიგი სტუმრობისას.

გურამ პეტრიაშვილივით ცოტა დიდი ბავშვი და ბავრზე ბავრად მართალი უნდა იყო, შენი ოცნებები ასეთ ზღაპრებად აქციო, ასე გიყვარდეს შენი ქვეყანა და მასაც ასევე ახსოვდ.

„გკითხეთ, რაც გინდათ“...

გურამ პეტრიაშვილი

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი ვიმუშავე რამდენიმე ადგილას, მაგრამ გული ვერც ერთ საქმეს ვერ დაუდე.

თითქოს სულ რაღაცის მოლოდინში ვიყავი.

რა იყო ის რაღაცა?

თან ჩემს გაუგებარ მდგომარეობას ის ართულებდა, რომ უნივერსიტეტში მიღებული წოდება მათემატიკოსისა უგემური და დამლელი მეჩვენებოდა.

როგორც ცხოვრებაში ხშირად ხდება, გამოსავალი მაპოვნინა შემთხვევამ.

მაშინ „ვმუშაობდი“, მტკვრის სანაპიროზე გრიბოდოვის ქეგლი რომ დგას, მის უკანა შენობაში განთავსებულ ინსტიტუტში, რომელსაც თან საკმაოდ შთამბეჭდავი და თანაც გაუგებარი სახელი ერქვა.

„ტნიისა“ – აი, რა ერქვა ინსტიტუტს.

იქ ჩემი საქმიანობაც გაუგებარი იყო. რაღაცა წიგნს ვკითხულობდი გაუგებარი მიზნით და მერე რაღაცა შედეგებს გადმოვიწერდი ხოლმე რვეულში.

რატომ? რისთვის? – აღარ მახსოვს.

როდემდე გაგრძელდებოდა ეს მდგომარეობა?

ამაზე რომ ვფიქრობდი, ჩემს თავს ვხედავდი, თუ მე, მოხუცი, როგორ ვკითხულობდი იმავე წიგნს და როგორ ვინერდი რვეულში ისეთივე უგემურ შედეგებს...

და აი, გამოინკრიალა ხალისიანმა ფრინველმა, შემთხვევა რომ ჰქვია.

„ტნიისაში“ შემცირებები დაიწყო!

ჩვენს განყოფილებაში ორი კაცი უნდა შემცირებინათ.

მე არაფერი მემუქრებოდა, რადგანაც, თურმე, რატომღაც პერსპექტიულ მუშაკად მიმიჩნევდნენ (ალბათ, ჩემი ასაკის გამო). მაგრამ, როგორც შევიტყვე, საფრთხე დაემუქრა ჩემს კოლეგას (როგორც მახსოვს, ნინა სერგეევანა ერქვა).

ის იყო ჩემზე ათი წლით უფროსი, სამი შვილის დედა, სიმპათიური ქალბატონი, რომლისგანაც მომისმენია კოლეგა ქალებთან სიყვარულით ნათქვამი: „როგორც სერიოჟა ამბობდა“-ო (დიდ რუს პოეტს – სერგეი ესენინს გულისხმობდა).

კარგად რომ დაფიქრდი, მივხვდი (თუმცა ამას არც სჭირდებოდა დაფიქრება): „ტნიისადაც“ ჩემი წასვლით მეცნიერება არაფერს ჰკარგავდა, ნინა სერგეევანას სამ შვილს კი დედის ჯამაგირი სჭირდებოდა.

ჩვენი განყოფილების უფროსს ვთხოვე, მე გამათავისუფლეთ ნინა სერგეევანას მაგიერ-მეთქი. სიხარულით დამთანხმდა.

წამოვედი „ტნიისადაც“ და ესენინის მოყვარული ნინა სერგეევანას მაღლიერი ლიმილი გამომყვა უკან.





სწორ და ადამიანებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებას რომ მიიღებ, სულიერი ძალები გემატება და ამან, შეიძლება, უფრო უკეთესი რამეც გაპოვინოს.

მართლაც, „ტნიისადან“ ჩემმა წამოსვლამ სულიერად გამაძლიერა და უცებ გამახსენდა, რომ ახალ, მიმზიდველ ასპარეზზე მოღვაწეობის უფლებას მაძლევდა უნივერსიტეტის დიპლომი.

და ეს ასპარეზი მართლაც მოღვაწეობას გულისხმობდა და არა ყალბ და გაუგებარ ჩხირკედელაობას, როგორც იყო „ტნიისაში“ რაღაც წიგნის „კითხვა“ და იქიდან რვეულში რაღაცების გადმოწერა.

რა ასპარეზი იყო ეს?

რა და, საშუალო სკოლაში ბავშვებისათვის მათემატიკის სწავლება.

მას მერე ჩემმა გრძელმა ცხოვრებამ ჩაიარა და ახლაც, როგორც მაშინ, ბავშვებთან ურთიერთობა ჩემთვის ერთი დაუსრულებელი დღესასწაულია.

ამ აღმოჩენას ცოტა მოგვიანებით მივაკვლიე, როცა პირველ გაკვეთილზე შევედი, როგორც მასწავლებელი.

დიახ! უცებ აღმოვაჩინე, თუ რა მიმზიდველი სამყაროა ის სამყარო, რომელსაც ასეთი უბრალო სახელი ჰქვია – ბავშვები.

იმ სამყაროშიც ძალიან უბრალოდ აღმოვჩნდი: მივედი თბილისის რომელიღაც დაწესებულებაში და ვიკითხე, თუ რომელ სკოლაში იყო საჭირო მათემატიკის მასწავლებელი.

იმათ გასინჯეს ჩემი დიპლომი და დარწმუნდნენ, რომ მქონდა უფლება, მესწავლებინა ბავშვებისათვის.

მერე დაიწყეს იმის ძიება, თუ რომელ სკოლას სჭირდებოდა მათემატიკის მასწავლებელი.

ეტყობა, ბედ-იღბალი უკვე კეთილი თვალით მიყურებდა; აღმოჩნდა, რომ ჩემთვის ადგილი იყო იქ, სადაც სკოლა მქონდა დამთავრებული – სოფელ დიდი ლილოს საშუალო სკოლაში.

ჰოდა, მივედი ჩემს სკოლაში.



არასოდეს დამავინწყდება ჩემი მასწავლებლობის პირველი დღე, პირველი გაკვეთილი.

კლასში შემყვანა დირექტორმა და ბავშვებს უთხრა:

– ეს გურამ პეტრიაშვილია, მან ოქროს მედალზე დაამთავრა ჩვენი სკოლა, ასევე, წარჩინებულად უნივერსიტეტი და მჯერა, რომ თქვენი საყვარელი მასწავლებელი გახდება.

რადგან, ჩემი რწმენით, ტყუილი სათავეა ყველა უბედურებისა, რაც ხდება დედამინაზე; ამიტომ, დირექტორი წავიდა თუ არა, ბავშვებს ალაღად ვუთხარი, რომ ამ საყვარელ ქალბატონს ვილაცხამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდო, სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი სამოსან-ოთხოსანი სტუდენტი ვიყავი და ერთ კურსზე დავრჩი კიდევ-მეთქი.

შევატყვე, რომ ბავშვებს მოეწონათ ჩემი გულახდილობა და ნდობით დამინყეს ცქერა.

არც ამის შემდეგ მითქვამს ტყუილი მათთვის.

იქნებ, მათემატიკური სიბრძნეებით დიდად ვერ დაგხუნძლოთ, მაგრამ ღირსეულ ადამიანებად თქვენი აღზრდისათვის მთელს ჩემს სულიერ და გონებრივ ძალებს არ დავზოგავ-მეთქი, დავპირდი.

ვერ ვიტყვი, რომ მთლად მოუმზადებელი შევხვდი ბავშვებს. წაკითხული მქონდა იაკობ გოგებაშვილის წიგნები ბავშვის აღზრდის თაობაზე და ზოგი უცხოელი პედაგოგის ნაშრომებიც.

განსაკუთრებით მოხიბლული ვიყავი ძველი ჩინური, ჩემი აზრით, ყოველად გენიალური პედაგოგიური შეგონებით:

– ბავშვი ჭურჭელი კი არაა, რომელიც უნდა აავსო, არამედ სანთელია, რომელიც უნდა აანთო!

მერე სხვა სკოლაშიც ვიმუშავე (სოფელ საცხენისის საშუალო სკოლაში) და, შემიძლია, დავიფიცო, რომ ერთი წამითაც არ დამვიწყებია ძველი ჩინური შეგონება.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, და, მართალი გითხრათ, აღარც კი მახსოვს, თუ რომელ სკოლაში და რომელ კლასში მოხდა, რაც ახლა უნდა გაიმბოთ.



მათემატიკა, ცოცხალი არ იყოს, განყენებული საგანია და სულის მოძრაობა ნაკლებად ჩანს მასში. ჰოდა, ერთხელ, გაკვეთილს რომ ვუხსნიდი ბავშვებს, მივხვდი, რომ მათთვის მათემატიკა მოხუცი პროფესორების გამოგონილი რაღაცაა და ნორჩი გონებისათვის დიდად მიმზიდველი ვერც იქნება.

და უცებ გამახსენდა სრულიად ახალგაზრდა ფრანგი მათემატიკოსი – ევარისტ გალუა.*

ევარისტ გალუა 21 წლის გარდაიცვალა. მან დატოვა უამრავი თეორემა, რომელსაც ახლაც უძებნიან დამტკიცებას თანამედროვე მათემატიკოსები.

გალუას უზომოდ უყვარდა თავისი ხალხი და იღვწოდა ერის უკეთესი მომავლისათვის. ამასთანავე, ისე უყვარდა სატრფო, რომ მის გამო დუელშიც გავიდა.

ევარისტ გალუა დუელში მოკლეს.

მაგრამ ის არის მარად ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს ხალხი, მეცნიერება თუ ქალი; ანუ მთელი ქვეყნიერება და, საერთოდ, სიცოცხლე.

მე მგონი, ევარისტ გალუაზე ჩემმა ნაამბობმა იმოქმედა ბავშვებზე და, თუ ყველა მათგანში ვერა, ზოგიერთში მაინც ანთო ჩინურ შეგონებაში ნაგულისხმევი ის სანთელი.

ერთხელ, მე მგონი, კარგი რამე ვთქვი ამ საყვარელ არსებებზე, ჩვენს გვერდით რომ არიან, მაგრამ თავისი ლალი კანონებითაც რომ ცხოვრობენ.

ბავშვებზე მოგახსენებთ.

აი, რა ვთქვი:

– ბავშვები – ეს არის ღმერთის უდავოდ ყველაზე დიდებული გამოგონება-მეთქი!!!

მართლაც, წარმოდგინეთ, თუ როგორი უფერული და მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, მას რომ ბავშვები არ აფერადონებდნენ და არ ახალისებდნენ თავიანთი ხმებით.

ახლა ჩემს ცხოვრებას რომ ვიხსენებ, შემიძლია, ამაყადა ვთქვა, რომ ყოველთვის, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ვისწრაფოდი, ბავშვთა სამყაროსთან ახლოს ვყოფილიყავი.



ალბათ, ამ ლტოლვამ მიმაგნებინა ერთი ამბისათვის, რასაც, ხან ირონიით, ხანაც ირონიის გარეშე, ვუწოდებ პედაგოგიკაში ჩემს მიერ შეტანილ წვლილს.

ერთი სიტყვით, იმ დღეებში, როდესაც ბავშვებმა კარგად იცოდნენ დავალება მათემატიკაში, ყოველი გაკვეთილის ბოლო 15-20 წუთი ეთმობოდა სახალისო თამაშს – „მკითხეთ, რაც გინდათ!“ ანუ, ბავშვები მისვამდნენ ნებისმიერ კითხვას (უნამაწურობის გარდა) და მე ამ კითხვებს გულწრფელად ვპასუხობდი.

და ბოლოს.

თუმცა სკოლაში ბავშვებთან ზღაპრებზე არასოდეს მილაპარაკებია, მაგრამ მათთან ყოფნამაც, მათი ალალი ნდობით სავსე თვალელებში ცქერამაც მაპოვნინა ჩემი სიცოცხლის მთავარი საქმე – ზღაპრების წერა.

დავწერე „მათთან ყოფნამაც“, „მათ თვალელებში ცქერამაც“-მეთქი.

იკითხავთ, აბა, კიდევ რამ?

გეტყვით... სკოლაში მუშაობის შემდეგ მოხდა კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი: დაიბადა ჩემი უფროსი შვილი – ოლიკო. ეს კი სულ სხვა რამაა.

გადავიკითხე, რაც აქ დავწერე და მივხვდი:

„ჩინური სანთლის“ თემა მოითხოვს ბოლო წერტილს...

ცხოვრებაში ისე ხდება, რომ ხან სხვისი აღმზრდელები ვართ, ხან კი აღსაზრდელები.

მე ბედნიერი კაცი ვარ, რადგანაც მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ვიპოვე კაცი, რომელსაც ჩემს დიდ მასწავლებელს ვუწოდებ.

მიხეილ კვესელავა** – ასე ერქვა იმ კაცს.

ბატონი მიხეილი იყო „ჩინური სანთლის“ დანთების დიდოსტატი.

ეს ჩემს თავზე გამოვცადე.

და განა მხოლოდ მე?

საქართველოში მრავლად იყვნენ, კიდევაც არიან და იქნებიან მისგან „დანთებული სანთლები“.

* – თანამედროვე „უმალესი ალგებრის“ ფუძემდებელი (1811-1832 წ.წ.).

** – ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფოსი, ავტორი გახმაურებული ტრილოგიისა „ას ერგასის დღე“.



„ღმერთო, დაიფარე საქართველო და მზე-აფხაზეთი!“

ნანა ჭანტურიანი

„იალქანი“ განკუთვნილია ყვანვილთათვის.

ფურთხილოვანით, სიტყვა „ყვანვილი“, ასე ვითქვამთ, „არ გაითანაგებდროვებინათ“ და ჟურნალისტის „თინეიჯერული“ არ ენოღებინათ. ჩავიხადეთ ბრძენი სულხან-საბას ლეძსიკოში და იმ ამოვიკითხეთ თინეიჯერული ასაკის შესაბამისი სიტყვა; მისი ზუსტი ლეძსიკური ერთეული აღმოჩნდა „ნიწველი“. დიან, „იალქანს“ ჩვენ ნიწველურ ჟურნალსაც ვეძახით.

თითქმის 25 წელიწადია, „იალქანი“ ეძებს, იკვლევს, დაუსრულებლად ბრუნდება წარსულში, ქართულ-აფხაზურ და საერთოანეთო-საქიძიშვილო დროში; სამომავლო გზა, მგონია, სხვაგან არსად მოჩანს ასე. ამიტომაც შეიძენა „იალქანი“ აფხაზეთის დაცემიდან 4 წელიწადში – ყვანვილუბისთვის, გასხენებისთვის, არღანიწყებისთვის, მოგავლისათვის. „აგულრას“ გამოც, აფხაზურად „იმაღს“ რომ ნიწნავს. და ასე ივსება ის ახალი სათქმელით, თამაზით, რუბრიკებით...

„იალქანში“ ამჯერად ისევ რუბრიკის პრემიერაა, საწელწოდებით „ამ ერთი შეკითხვით“.

დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა უახლესი წარსულის უმძიმესი რეალოგაა. სხვა უფრო დიდი სატივიარი უაფხაზეთო, უსამაჩაბლო საქართველოს არა აქვს. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ეს უმძიმესი განსაცდელია; ჩემთვის ის ჩართული დროცაა, რომელიც, მნამს, სვალ ან ზებ, ან ოღესე მანინც შეგვაფხიზლებს უკვე ჩვენს ყველაზე ზღვისფერს სანაპიროსთან.

ახალი რუბრიკა „ამ ერთი შეკითხვით“, ან იგივე „ამ ერთი სატივირით“ მივიჩნიოთ ერთმანეთთან შეხვედრის სიმგოლურ სივრცეად, რომელიც, რომორც დღეს, სხვა დროსაც ხშირად უმასპინძლებს სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის, საზოგადოებისათვის მისაღებ და გამორჩეულ ადამიანებს (და არა პოპულარულებს).



მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო!

მიმდინარე 2020 წლის 27 სექტემბერს 27 წელი სრულდება, რაც დავტოვეთ აფხაზეთი და დეწნილობის ტკივილიანი შეკითხვა – «როდის» თითქოს ვადგასულიცაა უკვე და მაინც... ისევ ვოცნებობთ, ზღვის ფსკერზე ჩაეშვას იმ „ჩვენი“ ნიწბიანი ნავის, თუნდაც, ყველაზე პატარა ლუზა, დრეკი რომ ჰქვია...

შეხვედრისას გამარჯობა-გამარჯვებას რომ უსურვებენ ერთმანეთს, ჩვენ ის პატარა ერი ვართ; მუდმივად რომ გვებრძოდნენ, ისინიც ჩვენ ვართ; აფხაზეთი და სამაჩაბლო დღეს მხოლოდ დე-იურე ფურცლებით რომაა ჩვენი და მაინც, უფლის მაღლიერნი რომ ვართ, ის ხალხიც ვართ...

ამ ორიოდ წლის წინათ «იალქანმა» ქართულ და აფხაზურ ენებზე გამოსცა პროექტი «ცა აფხაზური», წლების მანძილზე ჟურნალში ერთ სათქმელად შეკრული ქართულ-აფხაზური ამბებით. სოხუმიდან ჩამოსულ მამიდას, რომელიც დღესაც იქ ცხოვრობს, გავატანე აფხაზური გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარი. ზარი სოხუმიდან მალე გაისმა. მირეკავდა აფხაზი ცუბა, მამიდაჩემის მეზობელი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), მანამდე ჩემთვის უცნობი ადამიანი. ყურმილში ჩამესმოდა კეთილი სიტყვები, ასე მშობლიური სოხუმური აქცენტით გამოთქმული. ბოლოს ასე მითხრა: «Наначка, я обязательно приеду к тебе»...

აი, მივედით, იმ ერთ შეკითხვამდეც, რომელზეც ერთმანეთისაგან განსხვავებულ პასუხს ჩვენი ყმანვილები თითოეული თქვენგანისგან ელიან:

რატომ არის აფხაზეთი ქართველებისა და აფხაზების «საერთო სამოთხე» და რატომ ომამდე ვერ ვიგრძენით ერთმანეთის მონატრების ფასი?



სალომე კაკბანაძე
ფილოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი,
კრიტიკოსი, ჟურნალ
„იალქანის“ დამაარსებელი

აფხაზეთი არა მარტო ჩვენი საერთო „მინიერი სამოთხეა“, არამედ საერთო წარსული და მომავალიც. შეუძლებელია ადამიანების გამოდევნა წარსულიდან. ამ წარსულში ინახება აფხაზების და ქართველების განუყოფლობის შეუცვლელი არგუმენტი – დრო-ჟამით გამოცდილი სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ჰაკი აძბასა და ბათუს მორალურ-ზნეობრივი ფასეულობებით ახსნილი. ჩვენ ხომ უფრო მეტი გვაერთიანებს, ვიდრე გვეოფს. და თუ არ დავუბრუნდებით ჩვენს საწყისს, მტერი ამ სამოთხიდან ორთავეს გამოგვადევნებს.

მე ვიცი, რომ ამ ჭეშმარიტების მნიშვნელობას ენგურსგალმა დარჩენილი აფხაზებიც მალე გაიგებენ, ომის სისასტიკით მტვერმიყრილ ეტრატზე დანერილ ამ მცნებას დაიბრუნებენ და ერთმანეთის მონატრების ფასსაც ჩვენთან ერთად შეიგრძნობენ. ჩვენ ხომ ეს ძვირფასი განცდა 90-იან წლებში თავისუფლების ეიფორიაში შემოგვეკარგა... ის წყეული ომი კი ქართველებისა და აფხაზების მესხიერებაში უნდა დარჩეს, როგორც დიდი სულიერი ტრაგედია, რომელიც არასოდეს არ უნდა განმეორდეს.



ნიკა ნულუკიძე
თეატრმცოდნე,
საქართველოს თეატრის
კრიტიკოსთა კავშირის
თავმჯდომარე,
ტელე-რადიო წამყვანი

რა არაჩვეულებრივი სიტყვებია – „...ერთმანეთის მონატრების ფასი“. მე იმ თაობას ვეკუთნი, რომელიც აფხაზეთში არ ყოფილა. ამიტომ ძალიან მტკივა – მაგრამ არ მენატრება (ვერ მომენატრება ის, რაც არ მინახავს). ჩემნაირი ბევრია, დრო კი ძალიან ცოტა. თაობამ, რომელიც იქ ცხოვრობდა, ჩვენს თაობას არ უნდა მოგვცეთ ამ არმონატრებასთან შეგუების უფლება. მთავარია, ეს მონატრება ორმხრივი იყოს და როდესაც მამიდათქვენის მეზობელთან რუსულად ლაპარაკი აღარ დაგვჭირდება, მერე ყველაფერი კარგად იქნება... მე, როგორც „ნითელი ჯვრის“ კეთილი ნების ელჩს, შემიძლია აფხაზეთში ჩასვლა, მაგრამ ვერ ვბედავ, მაშინებს უსაშველო ტკივილი, რასაც უსაქართველო აფხაზეთი ქვია.

აფხაზეთი რომ საქართველოა, ვფიქრობ, ამაზე სულ მცირე ახსნა-განმარტებაც კი ზედმეტია...



ნუგზარ მგალობლიშვილი
მხატვარი, აფხაზეთის
არ უმაღლესი საბჭოს
საერთაშორისო
კავშირების, განათლებისა
და კულტურის კომიტეტის
თავმჯდომარე

აფხაზეთი ქართველთა და ისტორიულ აფხაზთა საერთო სამშობლოა; ამიტომაც არის სამოთხე ის ორივესთვის. რუსეთი არაფერს ერიდებოდა, რათა აფხაზებს უარი ეთქვათ მათ კოლხურ წარმომავლობაზე და იდენტობაზე.

იმპერიული ცნობიერების მატარებელი რუსეთი განსაკუთრებულად გააქტიურდა მაშინ, როცა საქართველოში გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა ქართული მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა ეროვნულ ხელისუფლებას.

ახლადარჩეულმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არა მარტო მოახერხა უკიდურესად დაძაბული მდგომარეობის განმუხტვა, არამედ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის ჩატარებაც. ამან უკიდურესად გააღიზიანა რუსეთი და ამის შემდეგ მიზნად დაისახა ეროვნული ხელისუფლების ჩანაცვლება მისი ინტერესების გამტარებელი ხელისუფლებით. რუსეთის მიერ დაგეგმულ ხაფანგში ე.წ. სამხედრო საბჭომ, რომელმაც ჩანაცვლა დამხობილი კანონიერი ხელისუფლება, გააბა მთელი საქართველო. შედეგად კი, აფხაზებსაც და ქართველებსაც ჯვართამაღლება ექცათ ჯვარცმად.



ოდესმე მაინც თუ შეგხვდები... ოცდარვა არაფრის მომცემი და ნისლით მოცული წელი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გატარებული. მოლოდინით დაღლილი ჩემი ხალხის სახე და არაფრის მომცემი დრო... მცირე ჩამონათვალი, რომელიც ჩემმა გონებამ შემოინახა და დღემდე ელის პასუხს!

აფხაზეთი ოცდარვა წელია, ჩემშია, ჩვენშია, ყველა ქართველშია, მაგრამ ილუზია ჩვენი მხოლოდ ილუზიაა და სხვა არაფერი... სწორედ ესაა ჩვენივე ფიქრი და დარდი, მაგრამ ამ ყოველივეს დღეს მხოლოდ ფურცელზე თუ გადმოვიტან. აქვე ახლოსაა იმედი, აფხაზურად „აგულრას“ რომ ეძახიან და არც ნიჩბიანი ნავის ყველაზე პატარა ლუზა არ აპირებს ფსკერზე დაშვებას – დღეს ასე ვფიქრობ, ასე გადმოვცემ სათქმელს, ასე მჯერა ჩემი სიტყვების... მაგრამ მჯერა, რომ მინა თავისას იბრუნებს, რომ ოცდარვანწლიანი ილუზია რეალობად უნდა მექცეს და არასდროს ვიხმარო სიტყვა „ოდესმე“.

დეიდა ცუბასაც დიდი სიამოვნებით გავიცნობდი. მონატრებულ სანაპიროზე ახალგაზრდობილთან საუბარს რა შეედრება...



ირმა ხეცურიანი
მსოფლიო ჩემპიონი
პარაფარეკაობაში,
17-გზის მსოფლიო თასის
გამარჯვებული


27 სექტემბერი – აფხაზეთის გამარჯვების დღეა, ჩვენთვის – დაცემის; ჩვენ სხვადასხვა დღეები არ უნდა გვქონდეს. ჩვენ საერთო გამარჯვების დღეს აღვნიშნავდით ოდიტგან და რუსულმა იმპერიულმა იდეოლოგიამ ასე ცალ-ცალკე დღესასწაულები დაგვიდგინა.

27 სექტემბერი არის აფხაზეთში დამპყრობელი მეზობლის გამარჯვებისა და აფხაზი ხალხის დამარცხების, ამასთან, საქართველოში მცხოვრები ყველა კუთხის წარმომადგენლის – აჭარელის, სვანის, კახელის, მეგრელისა და სხვათა დამარცხების დღე.

საქართველო კრებითი სახელია, რომელსაც ძველთაგან „გეორგია“ ერქვა. თუ ყველას გვერქმევა გეორგიანელი – აფხაზებიც და დანარჩენი ქართველებიც გეორგიანელები იქნებიან.

27 სექტემბერი ეს არაა დაცემის, ესაა გაუგებრობის, შეუცნობლობის, უმეცრების დღე, რომელმაც გამოიწვია ქართველთა და აფხაზთა დაშორიშორება.

კარგი იქნება, დამკვიდრდეს გამოთქმა – „მე აფხაზი ვარ“.



ზურაბ ცინცილაძე
თეატრისა და
კინოს მსახიობი

იმ დროს, როცა ჩვენ ძალიან სუსტები ვიყავით, მოიძებნა ჩვენ შორის გამცემი, ქართველი, რომელიც აფხაზზე ასწევდა ხელს და აფხაზი, რომელიც ქართველზე ასწევდა ხელს. თითქმის 200 წელი მართავდა საქართველოს რუსული იმპერია, 200 წელი ამზადებდა ნიადაგს რუსული აზროვნება ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების გასახლეჩად; და როდესაც საქართველომ თავისუფლებისთვის დაიწყო ბრძოლა, მტერმა გამოიყენა იარაღი, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჭედავდა. არც ქართველი და არც აფხაზი იმ დროს მზად არ იყო, გამოეცნო მტრის ჩანაფიქრი. ამიტომ დავმარცხდით. ეს მარცხი დროებითია...

მოვა დრო და ქართველთა და აფხაზთა დღევანდელი განსაცდელიც გადაივლის, დამთავრდება რუსული ოკუპაცია. აფხაზეთი ისევ იქნება ქართველ-აფხაზთა საერთო მიწა. ამ მიზნის აღსასრულებლად კი ერთი პატარა აფხაზი გოგოს ლოცვაც იკმარებს, რომელიც ძმათამკვლელ ომს შეეწინა, მაგრამ დღიურში დატოვა ქართულად დაწერილი ღვთის წინაშე აღვლენილი ვედრება: „ღმერთო, დაიფარე საქართველო და მზე-აფხაზეთი!“



ნური მჭედლიშვილი
ქართული საბრძოლო
ხელოვნების ეროვნული
ფედერაცია „ხრიდოლის“
პრეზიდენტი



ირმა კეკელიძე აფხაზეთის ბანათელებისა და კულტურის მინისტრის მოადგილეა. წლებია, მისი ლიტერატურული ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში.

„იალქანი“ ამჟამად ბეჭდავს ირმა კეკელიძის მოთხრობას „ცისარტყლას ქვეშ“.

მტკრთა შემოსევებით, უთანასწორო ბრძოლებითა და ათასგვარი ჭირით სავსე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი მტკივნეული თემაა ფერადიანი, ქართველი ხალხის მშობლიური ადგილებიდან აყრა და უცხო მხარეში იძულებით გადასახლება.

მთავარი პერსონაჟის, ფერადიანი ისტორიულ საგმობლოში დაბრუნებული ვახტანგის ნაამბობი გულბრძანებს ვერ დატოვებს მკითხველს. სულისშემძვრელია ჯერ კიდევ ყმაწვილი ბიჭუნას ბანდები და შთაბეჭდილებები; მართალია, ოთხსაუკუნოვანი მოლოდინისა და მონატრების ბადმომცემა შეუძლებელია ერთი მოთხრობით, მაგრამ შეხსენება ამ ტკივილის ყველას გვჭირდება.

ფიქრობთ, ავტორმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი ამ სენსიტიურ თემას, სევიანი თავგადასავალს შორეული წარსულისა, სადაც იმიტომ დაბრუნდა, რომ ეთქვა: საპართველოს ბარდა არსადაა ქართველის საგმობლო.

ცისარტყლას ქვეშ

ირმა კეკელიძე

ფანჯარასთან იდგა ნანა და დაფიქრებული გაჰყურებდა გვიანი შემოდგომის წვიმიან დღეს. მოსწავლეები გარინდულნი უყურებდნენ მას.

„ღმერთო ჩემო, დაიწყება ახლა წვიმები და, ვინ იცის, როდემდე გასტანს! ცაც ისეთი მოლუშულია, ისე მოხსნა პირი, გეგონება, არასოდეს გამოიდარებს“, – გაიფიქრა და მოსწავლეებს გადაავლო თვალი.

„როგორ მიყურებენ, რა წყნარად არიან. ასე იციან, როცა საკონტროლოს ვწერო. მანამდე კი, ლამისაა, თავზე გადაგიარონ. ახლა ერთი სული აქვთ, გაიგონ, რას დავანერინებ. არადა, დღეს თავისუფალი თემა მინდა, დავანერინო. განწყობაც ისეთი მაქვს, ამ წვიმიან ამინდში თავისუფალ თემას უფრო ხალისით გავასწორებდი“.

ნანა ხან წვიმიან დღეს გასცქეროდა ფანჯრიდან, ხანაც მოსწავლეებს გადაავლებდა ხოლმე თვალს.

„რა თემა მივცე, რა დავანერინო“, – გაიფიქრა და მაგიდას მიუახლოვდა.

– მზად ხართ, წერა რომ დავინყოთ? – ჰკითხა მოსწავლეებს.

– დიახ! – თითქმის ერთხმად უპასუხა წინა მერხებიდან რამდენიმე მოსწავლემ.

„კარგია, რომ მეათე კლასი მომცეს, ამათთან უფრო საინტერესოა მუშაობა“, – გაიფიქრა და მზერა უკანა მერხებისაკენ გადაიტანა.

– აი, თქვენ, უკან რომ იმალებით, მზად ხართ?

– დიახ! – წარმოთქვეს იმათაც ერთხმად.

მხოლოდ ვახო იყო ჩუმად, ფანჯრის მხარეს, განაპირა მერხზე რომ იჯდა და ისეთი სახით იყურებოდა, თითქოს მას სულაც არ ეხებოდა ის, რაც გაკვეთილზე ხდებოდა.

– ვახტანგ, გამოფხიზლდი, ხომ იცი, დღეს საკონტროლოს რომ ვწერო? – ჩაეკითხა ნანა.

მასწავლებლის ხმამ ვახო თითქოს შეაკრთო და სწრაფადვე უპასუხა:

– დიახ, მასწ!..

ნანას გონებაში მალევე გამოიკვეთა საკონტროლოს თემა. მოსწავლეებს შეხედა და თქვა:

– გადაშალეთ რვეულები! დღეს თავისუფალ თემას დავწერო!

საკლასო ოთახში რვეულის ფურცლების შირილის ხმა გაისმა.

– მზად ხართ? – გაიმეორა მასწავლებელმა.

– დიახ! – თითქმის ერთხმად უპასუხეს მოსწავლეებმა.

– დანერეთ სათაური: „ჩემი სამშობლო“... ვახტანგ, გაიგე, რაც ვთქვი? „ჩემი სამშობლო“ – გაიმეორა მასწავლებელმა ვახოს გასაგონად.

– დიახ, გავიგე! – ხმადაბლა თქვა ვახომ, სანერ-კალამი აიღო და გადაშლილ რვეულს დააცქერდა...

...ნანამ ერთმანეთზე დაწყობილ რვეულებს გადახედა. „დღეს დაღლილი ვარ, ხვალ გავასწორებ... თუმცა, საინტერესოა, ვახტანგმა რა დანერა“, – გაიფიქრა და ნანერებიდან ვახოს რვეული ამოირჩია...



ჩემი სამოქლო

თავისუფალი თემა



გალიმებული სახით

„მე დავიბადე ირანში. ჩემი დედ-მამა, და-ძმაც ირანში დაიბადნენ. ჩვენი სოფელი, ქართველებით დასახლებული, სპარსეთის პატარა კუთხის, ფერეიდნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რვა წლამდე იქ ვიზრდებოდი. სკოლაში ცოტა ხანი ვიარე. სპარსულ ენაზე ვსწავლობდი. მასწავლებელი სპარსი ქალი გვყავდა.

ერთ დღეს სკოლაში მასწავლებელმა ქართული წიგნი მიპოვა.

მე მაშინ არ ვიცოდი, რა ერქვა იმ წიგნს; ის კი ვიცოდი, რომ ქართული იყო. მამაჩემს შენახული ჰქონდა. მე ჩუმად ავიღე, ნაჭრისგან შეკერილ ჩანთაში ჩავიდე და სკოლაში წავიღე.

მასწავლებელი რაღაცას გვიყვებოდა; მე ჩუმად ამოვიღე წიგნი და დათვალიერება დავიწყე. ლამაზი სურათები იყო და მომეწონა.

უცებ მასწავლებელმა შემამჩნია, წიგნი გამომართვა და დიდხანს ხელში ატრიალა; ვერაფერი გაიგო და მკითხა, რა წიგნი იყო. მე

ვუპასუხე, ქართული წიგნია-მეთქი; მაგრამ, ნეტა, სულ არ მეპასუხა; რომ მაგონდება, რა დღე დამადგა, ახლაც მეშინია. მასწავლებელმა წიგნი ჯერ ნაკუნებად აქცია, მერე ზედ ფეხებით შედგა და გათელა.

წიგნზე რომ გული იჯერა, მერე მე მომიბრუნდა, ორივე ხელი წკეპლით ამიჭრელა. ბოლოს მთელი ძალით წამომარტყა თავში და გარეთ გამომაგლო.

იმ დღის შემდეგ სკოლაში აღარ წავსულვარ. აღარც მამას დაუძალეობია. საღამოობით მე და ჩემს და-ძმებს თვითონ გვიტარებდა სახლში გაკვეთილებს. მეცადინეობა ზუსტად ისეთივე წიგნით დავიწყეთ, მასწავლებელმა რომ დამიხია. შემდეგ კი გავიგე და ახლა კარგად ვიცი, რომ ამ წიგნს „დედა ენა“ ჰქვია.

მამა დიდი მონდომებით გვასწავლიდა ქართულ ანბანს. მთელ ჩვენს სოფელში მან ყველაზე კარგად იცოდა ქართული. „დედა ენის“ გარდა სხვა ქართული წიგნებიც ჰქონდა. ახლა კი ვიცი, რაც ჰქვია ამ წიგნებს; მე თვითონაც ბევრს ვკითხულობ. მაშინ კი მამა გვიკითხავდა „ხევისბერ გოჩას“, „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „ოთარანთ ქვრივს“, „გლახის ნამბობს“, „ბაში-არუკს“... კითხვას ისე არ დაამთავრებდა, რომელიმე ჩვენგანისთვის თავზე ხელი არ გადაესვა და ეთქვა: „ასეა, ჩემო შვილებო, არ უნდა დაგავინყდეთ, ვისი გორისა ხართ!“.

მაშინ იმდენი არ მესმოდა და არც ვფიქრობდი, თუ როგორ და სად შოულობდა მამა ქართულ წიგნებს, ან რა უჯდებოდა მათი შეძენა; ახლა კი ვიცი, ყველაფერი ვიცი.

რვა წლის როცა გავხდი და ქართული ანბანის სწავლა დავიწყე, ისიც გავიგე, რომ მე, ირანის გარდა, სხვა, ნამდვილი სამშობლო – საქართველო მაქვს.

ერთ დღეს სოფელში ხმა დაირხა, ფერეიდანში საქართველოდან ქართველები ჩამოვიდნენ და შეიძლება, ჩვენს სოფელშიც შემოიარონო. ცხრა წლის წინათ იყო ეს ამბავი, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს, რა სიხარულმა მოიცვა მთელი სოფელი, როცა ქართველები მართლა გვესტუმრნენ. თურმე მათაც გაუგიათ, ყველაზე კარგად მამაჩემმა რომ იცოდა ქართული და ჩვენთან დაიდეს ბინა. მაგრამ იმ დღეებში ჩვენი სახლი მთელი სოფლის მასპინძლადაც იქცა. ყველანი ჩვენთან მოდიოდნენ, ყველას უნდოდა „ნამდვილი“ ქართველების ნახვა.

სტუმრები სამნი იყვნენ – ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო, ნაბლისფერი, სწორი თმა ჰქონდა, თეთრი სახე, ლამაზი, დიდი ლურჯი თვალები. ყველაზე ძალიან ის დამამახსოვრდა; როცა ეცინებოდა, ლოყა ერუტებოდა ხოლმე და მაშინ უფრო ლამაზი ხდებოდა. მერე ის ქალი დედამ და მეზობლის სხვა ქალებმა ცალკე ოთახში გაიყვანეს, მეც ჩუმად შევყევი მათ. ყველა ცდილობდა, სტუმართან ახლოს დამჯდარიყო. ათასნაირ შეკითხვას უსვამდნენ.

საოცარი იყო, ყველა შეკითხვაში სიტყვა „საქართველო“ ერია. ჩემმა უფროსმა დამ ჰკითხა ქალს, მართალია, საქართველოში რომ სულ მზე არის? სტუმარმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ თავისი დიდი, ლურჯი თვალები შეანათა ჩემ დას, ერთხანს უყურა, მერე ცრემლი მოერია, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა.





მე გაოცებული ვუყურებდი მას და მიკვირდა, რომ არაფერი უპასუხა, ვერც მისი ცრემლის მიზეზი ავხსენი, ვერც იმას მივხვდი, რატომ აკოცა ჩემ დას. მაშინ ყველაფერი მიკვირდა, მაგრამ ახლა, ახლა უკვე ყველაფერი ნათელია.

დღევანდელივით მახსოვს, როგორ გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, სტუმრებს რაღაც ქართული ფილმი ჩამოუტანიათო. გვაჩვენეს კიდეც; ეს ფილმი „გიორგი სააკაძე“ იყო.

ამის მერე, საღამოობით, ბავშვები მინდვრად რომ გავიჭრებოდით ხოლმე, ჩვენი ყველაზე საყვარელი თამაში „სააკაძეობანა“ იყო. შევეთანხმდით კიდეც, ყოველი თამაშის დროს თითოეული ჩვენგანი რიგრიგობით უნდა ვყოფილიყავით გიორგი სააკაძე. შემოვავჯდებოდით ჯოხის ცხენებს და გავაჭენებდით...

„გიორგი სააკაძეს“ აუცილებლად ჩვენზე წინ უნდა გაექროლებინა თავისი რაში, დანარჩენები კი ყიჟინით უკან მივდევდით.

როცა ჩვენი სტუმრები საქართველოში ბრუნდებოდნენ, უფროსები ათას რამეს აბარებდნენ მათ, თან მალულად ცრემლებს ინმენდნენ.

ნასვლის წინ, ერთ-ერთმა სტუმარმა კაცმა ხმამაღლა თქვა:

„მე დღეს თქვენთან ნამდვილი საქართველო ვნახე. მართალია, თქვენ დღეს ქართულად ისე ვერ ლაპარაკობთ, როგორც ჩვენ საქართველოში, მაგრამ ეს ხომ ის ენაა, რომლითაც ჩვენი წინაპრები საუკუნეების წინ

ლაპარაკობდნენ. მას შემდეგ უკვე რამდენი საუკუნე გავიდა და თქვენ ძველი

ქართული დღემდე სათუთად შემოინახეთ. სწორედ ამიტომ, ქართველთა შორის თქვენ ყველაზე დიდი ქართველები ხართ. თქვენ უნდა ნახოთ საქართველო. დიახ, უნდა ნახოთ! თქვენ საქართველოში უნდა იყოთ! დიახ, დღეს საქართველოს სწორედ თქვენნაირი ქართველები სჭირდება, ქართველთა შორის ყველაზე დიდი ქართველები“.

სტუმრების ნასვლის შემდეგ თითოეულ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, ერთი სურვილი

გვიღრღნიდა გულს, როგორმე საქართველო გვენახა. ნანვიმარზე, მზის ჩასვლისას, თუ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდებოდა, მე და ჩემი ტოლები თავკუდმოგლეჯილნი გავრბოდით; გვინდოდა, ერთმანეთისთვის გაგვესწრო, რადგან ჩათქმული გვქონდა, ვინც ცისარტყელას ქვეშ გაძვრებოდა, ის საქართველოს ნახავდა. ჰოდა, ჩვენც გავრბოდით...

„მეტი ველარ მოუსწრია; ეტყობა, კიდეც აპირებდა გაგრძელებას, წინადადება დაუმთავრებელია. ზარი დაირეკა თუ არა, მაშინვე ჩამოვართვი რვეული; აბა, რა ვიცოდი? არა, ხვალ ნანერს აუცილებლად უკან დავუბრუნებ, ძალიან მინდა, რომ დაასრულოს“...

... ვეცემოდით, ვიღლებოდით, მაგრამ მაინც გავრბოდით; გვინდოდა, როგორმე გავმძვრაღიყავით ცისარტყელას ქვეშ. თითოეულ ჩვენგანს გვინდოდა, გაგვესწრო ერთმანეთისთვის, პირველს გვენახა საქართველო...

ენით აუნერელი სიხარული დამეუფლა, როდესაც გავიგე, რომ საქართველოში უნდა წავსულიყავით საცხოვრებლად. უფროსები, რაღაც აფორიაქებულნი, ხან ტიროდნენ, ხანაც იცინოდნენ; ყველანი

საოცრად დაბნეულები იყვნენ. მე კი მიხაროდა, ძალიან მიხაროდა; ახლაც არ ვიცი, რა სიხარული იყო ეს, სამშობლოს ნახვის, თუ, უბრალოდ, ის სიხარული, ბავშვებს რომ რაღაც ახლის მოლოდინში ეუფლებათ ხოლმე და არც იციან, რა არის ის ახალი. მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა და ახლაც ძალიან კარგად მახსოვს, ის სიხარული რაღაც სხვანაირი რომ იყო.

ჩამოვედით საქართველოში. რა ლამაზი და ბედნიერი დღეები იყო. ყველანი გვეფერებოდნენ, გულში გვიხუტებდნენ, გვკოცნიდნენ, ჩვენს დანახვაზე თან იცინოდნენ, თანაც ცრემლებს ვერ მალავდნენ. მოდიოდნენ, გვეკითხებოდნენ, რაღაცებს ინერდნენ, სურათებს გვიღებდნენ. მერე ჩვენი სურათებით ჟურნალ-გაზეთებშიც ააჭრელეს; ერთი ჟურნალის გარეკანზე ჩემი სურათიც კი მოხვდა. მერე სკოლაში მიმიყვანეს. მასწავლებლები განსაკუთრებით მეფერებოდნენ,





გაკვეთილების შემდეგ მტოვებდნენ და ცალკე მამეცადინებდნენ. თავდაპირველად ამხანაგებს ეცინებოდათ ჩემს საუბარზე, მერე და მერე უკვე აღარ. არ ვიცი, ისინი შეეჩვივნენ ჩემს ლაპარაკს, თუ მეც მათსავით დავინყე საუბარი. ეს კია, ახლა ძალიანაც რომ მოვინდომო, ძველებურად ველარ დავილაპარაკებ.

ახლა უკვე ჩემს სამშობლოში ვარ, საქართველოში. ხშირად მესმის, „პატარა საქართველო“; რომ იცოდეთ, როგორ მწყინს... როგორ არის პატარა? თურმე რამდენი რამისთვის გაუძლია, რამდენ მტერს შებრძოლებია, ვის არ მოუწოდებია ქართველი ერის განადგურება, მაგრამ ვერავის ვერაფერი დაუკლია. დადგებიან მერე და მაინც იძახიან „პატარაო“. პატარა კი არაა, დიდია, ძალიან დიდი. ამას წინათ სიმონ ჩიქოვანის ლექსს ვკითხულობდი. როგორ გამიხარდა, როცა წავიკითხე:

„ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.“

ჯერ მარტო თბილისი რამხელა ქალაქია, თანაც, რა ლამაზი. როცა ერთი ქალაქი ამხელაა, როგორ შეიძლება, მთელი საქართველო პატარა იყოს. არა, საქართველო დიდია, ძალიან დიდი.

ჩემი ბავშვობის სახელი ბახტიარი იყო. საქართველოში რომ ჩამოვედი, აღარ მოეწონათ, ქართულად აღარ ჟღერსო და ხელახლა მომნათლეს, ვახტანგი დამარქვეს. თავდაპირველად ვერ ვეგუებოდი ჩემს ახალ სახელს; ახლა კი, თუ ვინმემ გასაბრაზებლად „ბახტიარი“ დამიძახა, ძალიან ვბრაზობ. მე ხომ ვახტანგი მქვია, თანაც იმ მეფის სახელი, რომელმაც თურმე თბილისი დააარსა. ამის მერე როგორი ასატანია, ვინმემ „ბახტიარი“ დაგიძახოს.

ამას წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა: „ეჰ, ვახო, თქვენზე ხმები დადის, ისწავლიან, უმაღლესებს დაამთავრებენ, მოიგვარებენ თავიანთ საქმეებს და მერე ისევ უკან, სამშობლოში ბრუნდებიან“.

ეს რომ მითხრა, სიმწრის ოფლმა დამასხა, სიბრაზით გული ყელში მომეზჯინა, თავი ველარ შევიკავე და ჩემდაუნებურად ისე გავარტყი, რეტდასხმული მიწას დაენარცხა. მერე ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა, შუბლშეკრულმა თვალი თვალში გამიყარა და კბილებში გამოსცრა: „უჰ, შე მართლა სპარსო!..“

ამის გაგონებაზე უარესი დამემართა, აღარ მასხოვს, როგორ გაგვაშველეს, ორთავეს ცხვირ-პირი ერთიანად დასისხლიანებული და დაკანრული გვქონდა. მერე ბევრი ვინანე, რატომ გავარტყი-მეთქი, მაგრამ რა მექნა, ძალიან მენწყინა.

გამოდის, რომ საქართველო მარტო მისი სამშობლო ყოფილა, მე კი ვყოფილვარ აქ დროებით ჩამოსული სტუმარი, რომელიც თურმე ისევ „სამშობლოში“ უნდა დაბრუნდეს. გამოდის, რომ სპარსეთია ჩემი სამშობლო?! არა, მე იქ არასოდეს დავბრუნდები, მე იქ არაფერი დამრჩენია, იქაურობა ბავშვობაში ნანახი სიზმარივით მაგონდება; ჩემი ცხადი და სინამდვილე კი აქ არის, ჩემს დიდ საქართველოში.

განა არ იყო საკმარისი, ჩემმა წინაპრებმა საუკუნეების მანძილზე რა ტანჯვა-წამებაც გადაიტანეს სპარსელების უღელქვემ! რა მინდა მე იქ, რა დამრჩენია? – არაფერი!.. ვინ ვარ მე დღეს საქართველოსთვის? – ყველაფერი!.. რა არის ჩემთვის საქართველო? – ყველაფერი! დიახ, საქართველო ჩემთვის ყველაფერია, ჩემი დიდი სამშობლოა, ის სამშობლოა, რომლის ნახვაც მე ცისარტყელას გარეშეც შეუძელი“.

* * *

ფანჯარასთან იდგა ნანა და დაფიქრებული გაჰყურებდა შემოდგომის წვიმიან დღეს. ვახოს დანახვაზე გაელიმა. „ვერც ვიფიქრებდი, ამდენი თუ ტკიოდა. არა, არა, როგორ წერს?.. „რა არის ჩემთვის საქართველო? – ყველაფერი!“

ნანამ ისევ ფანჯარაში გაიხედა. „ღმერთო ჩემო, დაიწყება ახლა სულ წვიმა, წვიმა და, ვინ იცის, როდემდე გასტანს. ცა ისეთი მოლუშულია და ისე მოხსნა პირი, გეგონება, არასოდეს გამოიდარებს“, – გაიფიქრა და მოსწავლეებს გადახედა.





მარია პოლივანოვა, პედაგოგისა და მწერლის ლევ პოლივანოვის მეუღლე, ფეოდორ დოსტოევსკიმ გაიცნო 1880 წელს, უშუალოდ დღევანდელ.

მარია პოლივანოვა ალაფრთოვანა კლასიკოსის ჯერაც დაუსრულებელმა "მწერლის დღიურმა", რომელიც მას დოსტოევსკიმ გაუგზავნა. ძალიან მწერალს წერს, რომ როცა კარგავს სიკეთისა და ჭეშმარიტებისადმი რწმენას, მიმართავს მის სტრიქონებს: "დღიურის" კითხვისას ბევრჯერ შემძრა თქვენს მიერ გამოთქმულმა სიბრძნეებმა. თქვენი მდიდარი შემოქმედება მაძლიერებს და ვგრძნობ, ჩემს ძველთა ისევე როგორ მყარდება მინა".


ცნობილია ფეოდორ დოსტოევსკის ორი წერილი, გაბზავნილი მარია პოლივანოვასადმი. ამ ბარათებში კარგად იკითხება მწერლის შინაგანი განწყობა, სულიერი მდგომარეობა; ვიგავთ, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება მწერლობას, რომ დატვირთული დღის რეჟიმისა და შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, აკეთებს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს და სხვებისთვისაც არანაკლებ იხარჯება.

დოსტოევსკის ორივე ბარათის შემოკლებულ ვარიანტს, სადაც იხატება მწერლის საბუღალტრო ფსიქოლოგიური პორტრეტი, მიიღებენ ერთ წერილად ვთავაზობთ.

ფეოდორ დოსტოევსკის წერილი მარია პოლივანოვასადმი

„მარტო თავმოყვარეობა როდი მალაპარაკებს...“

თარგმნა ნუნუ ჯანელიძემ



ფეოდორ დოსტოევსკი

ღრმად პატივცემულო მარია ალექსანდრეს ასულო! დღეს, ჩემს პასუხთან ერთად, მივიღე თქვენი მესამე წერილი* და პასუხისთვის მხოლოდ ამჯერად მოვიხელთე წამით დრო.

თქვენ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებთ, მაგრამ რაც მოსკოვიდან სტარაია რუსსიში დავბრუნდი, სულ ვწერდი, დღე და ღამე. იცით, ამ დროში დავწერე 15 ნაბეჭდ ფურცელზე მეტი. არადა, როგორი მომქანცველი სამუშაო იყო – ნაწერი ხუთჯერ გადავაკეთე და გადავასწორე! ჩემს რომანს უხეიროდ, ჰაი-ჰარად ხომ არ დავასრულებდი, იდეასა და ჩანაფიქრს ხომ არ გაგწირავდი.**

2 სექტემბერს, როგორც კი ნაწერი დასაბეჭდად გავაგზავნე „რუსკი ვესტნიკში“, ვფიქრობდი, მომეწერა თქვენთვის, მაგრამ თავბრუ მეხვეოდა, ნერვები დაწყვეტილი მქონდა. გამტეხა და გამანადგურა ეპილეფსიის მორიგმა, სასტიკმა შეტევამ.

რა წერილებზე, შეიძლება, ვისაუბრო? ჩემთვის წერილის წერაზე საშინელი და დამღლევი არაფერია! თუ რამეს ვაკეთებ და ვწერ, ერთიანად ვიხარჯები, წერილის დაწერის შემდეგ კი, იმავე დღეს, უკვე მიძნელდება რომანის გაგრძელება. თანაც, მე ყველაზე უფერულ, არაფრით გამორჩეულ წერილებს ვწერ; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი რაღაცის თქმა მსურს.

7 ოქტომბრიდან პეტერბურგში ვარ და დამიჯერეთ: ზარი ზარზეა, ყავის დალევის საშუალებასაც არ მაძლევენ; ხან სტუდენტები და ხანაც გიმნაზიელები მოდიან თავიანთი ხელნაწერებით და მთხოვენ, რომ ნაწიკითხო – გადახედეთ და დაბეჭდეთ რომელიმე ჟურნალში, თქვენ ხომ ყველა რედაქციასთან გაქვთ ნაცნობობაო. თუ დამიჯერებთ, დამიგროვდა 30-მდე ასეთი წერილი – ყველა ელოდება პასუხს; მე კი არ შემიძლია, ვუპასუხო. მსურს, დავისვენო, გავერთო, წიგნი ნაწიკითხო – თქვენც არ მომიკვდეთ! აი, ხვალ, მხატვრული კითხვით უნდა წავრსდგე ლიტერატურულ ფონდში, ზეგ კი აუცილებლად „რუსკი ვესტნიკისთვის“ რომანის დასკვნითი თავის დაწერას უნდა შევუდგე. ამ დროს ნერვები დაწეწილი და სინდისის ქენჯნით მაქვს დამძიმებული: „რას იფიქრებენ, რას იტყვიან ჩემზე ისინი, რომელთაც ვერ ვპასუხობ“.

* – ფეოდორ დოსტოევსკის მარია პოლივანოვამ გაუგზავნა 6 წერილი.

** – მწერალი ამ დროს მუშაობს რომანზე „ძმები კარამაზოვები“.



თქვენ წარმოიდგინეთ, შვილებთანაც კი შევწყვიტე ლაპარაკი; მუდამ დაკავებული და გალიზიანებული თავიდან ვიშორებ მათ. შენ მანამდე ასეთი არ იყავი, მამა! – მეუბნებიან ისინი. ასე გავაბრაზე ყველა, ჩემი დანახვაც არ უნდათ.

ჩემი პოზიციის გამო არამარტო ძალღებვიით მიღრენენ, ჩემი მისამართით თითხნიან და ავრცელებენ ათასგვარ ცილისმწამებლურ, უღირს ჭორს. იყავით შემწყნარე და გული არ დაგწყდეთ ჩემზე!

ცხოვრებაში ოდესმე თუ ვყოფილვარ საქმით ასე დაკავებული და ხელფეხშებორკილი, სწორედ ამ ზაფხულში. იმის გარდა, რომ რომანი მაქვს დასასრულებელი, ახლახან პეტერბურგში გამოვეცი დიდტანიანი „მწერლის დღიური“, რომელსაც ბოლო პერიოდში სწორედ ამ სიცხეში ვწერდი. სამუშაოს ასე უზომოდ დახვავება, ვფიქრობ, აისახება კიდევ ჩემს ჯანმრთელობაზე. „დღიურის“ ამ გამოცემას ხვალვე გამოგიგზავნით. წაიკითხეთ და მომწერეთ მასზე რამე. სულიერი მხარდაჭერისთვის ვსაჭიროებ იმ ადამიანთა მოსაზრებებს, რომელთაც ვაფასებ და რომელთა გულისა და გონების მჯერა. თქვენ ხომ იმდენი კარგი და კეთილი რამ მომწერეთ შთაბეჭდილებათა შესახებ, „დღიურმა“ თქვენზე მანამდეც რომ მოახდინა. ამბობთ, რომ კიდევ ერთხელ გსურთ, მომწეროთ; აუცილებლად შემეხმიანეთ. გიმეორებთ, მხოლოდ თქვენნაირი წრფელი, გამჭრიახი გულის ადამიანს შეუძლია სხვისი მხარდაჭერა.

მთხოვთ, წერილში გამოეთქვა ჩემი აზრი და გადავჭრა ძალიან რთული საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, მეტად ზოგადია. ჩვენს დროში დარჩა კი ვინმე სულიერი, სევდას რომ არ ჰგვრიდეს ეს კითხვა? ადამიანი მარად გაორებაშია და, რასაკვირველია, ამას განიცდის. თუ არ ეიმედება, რომ იპოვის ყველასთვის მისაღებ, დამაკმაყოფილებელ გამოსავალს, გული რომ არ გაუტყდეს, აუცილებელია, მოიძიოს თავის საქმიანობაზე მორგებული სხვა, ახალი გზა, რომელიც მისცემს სულიერ საზრდოს და დაუცხრობს წყურვილს. ვფიქრობ, ესაა საუკეთესო გამოსავალი.

მე მაქვს განსაზღვრული მწერლური სამუშაო, რომელსაც ვეძლევი მთელი გატაცებით, ვაქსოვ მასში მთელ ჩემს მონდომებას, სიხარულსა და იმედს და ამით ვპოულობ გამოსავალს. ასე რომ, თუ პირადად შემეხება კითხვა, ყოველთვის მაქვს სულიერი სამუშაო, რომელიც ერთბაშად მათავისუფლებს დანარჩენი სამყაროს მიძიმე გავლენისგან.

მაგრამ რა ქნან მათ, რომელთაც არ აქვთ ისეთი საზრუნავი, რომელიც მათ გამოიყვანს მდგომარეობიდან, თავს დააღწევენებს გონებისა და გულის გამალიზიანებული, სულის ამომხდელი და უკიდურესად მტანჯველი იმ კითხვებისგან, დაჟინებით გადანყვეტას რომ ითხოვენ?

მინდა, გითხრათ ბევრი თბილი და წრფელი სიტყვა, მაგრამ ყველაფერი როგორ ჩავტოვო წერილში? შეხვედრამდე. მიპასუხეთ, თუ სურვილი გექნებათ. ღამეა, ახლა უნდა დავიძინო, რომ ხვალ ახალი ძალ-ღონით სავსე ავდგე. თუ მსმენელი ცუდად მიმიღებს, წარმომიდგენია, გაზეთებიდან ჩემი მოძულენი როგორ იზვიებენ: „ესე იგი, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებამ ის უარყო“.

მარტო თავმოყვარეობა როდი მალაპარაკებს; იდეის გამო არ მსურს, მივანიჭო მათ ასეთი სიამოვნება. და არ მრცხვენია, თქვენ ამაში გამოგიტყდეთ.



ჟურნალი „რუსკი ვესტნიკი“. ფრაგმენტი „მწერლის დღიურიდან“. 1880 წ.

მხურვალე და ღრმა პატივისცემით, თქვენი ერთგული ფეოლორ დოსტოევსკი. 1880 წ.



ერეკლე მეფეზე უამრავ წერილს, ამბავს მოიძიებ ისტორიულ წიგნებსა და, მით უფრო, სოციალური ქსელის გვერდებზე; მაგრამ, როცა ამ სახელოვანი პიროვნების დაბადების 300 წელთან დაკავშირებით შედარებით საინტერესო მასალების მოპოვება გადაწყვიტეთ, მივლინებით გავემგზავრეთ მეფის მშობლიურ ქალაქში.

პუნებრივია, ვესტუმრეთ ერეკლე მეფის ყოფილ სამეფო რეზიდენციას, დღეს უკვე თელავის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს... ჩვენი ღირსეული წინაარსის დიდებულ შემოგარენს, ოთახს, სადაც დაცულია და გარდაიცვალა მეფე, თვალი შევაპლეთ პირად ნივთებს, რომელსაც შეხებია ერეკლე მეფე... ამ მგზავნიერ საუფლოში მისი მისეპური ყოველივეს სათუთად უფრთხილდებთან.

თუმცა სამივლინებო დღეები იგადაც ღირდა, რომ გაგვეცნო ღირსეული თელაველი ქალბატონი, სხვადასხვა დროს მუზეუმის ყოფილი სწავლული მდივანი, არქივარქუსი, მცენიარ-მუშაკი, 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი - ლიანა თანდილაშვილი; ამგზადარი და დაუფალავი ადამიანი, ვინც 40 წლის მანძილზე ივრიათი სივარძივით იკვლევდა საარქივო დოკუმენტაციას; ის დღესაც სწავლუბს, იძიებს, უღრმავდება არა მარტო ერეკლე მეფის, არამედ თელავის ღვაწლმოსილ ადამიანთა ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს.

ქალბატონი ლიანას დღევანდელი პუბლიკაციაც იმითაა საინტერესო, რომ საარქივო პირად წერილებსა და ნაკლებად ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით ავტორი თანემიღვერობით, გამოჩინილ ისტორიკოსთა ნაშრომების გაანალიზებით გვიყვება მეფე ერეკლეს ოჯახური ურთიერთობების ამსახველი ფაქტების შესახებ. და ყველაზე მთავარი: სურს, პასუხი გასცეს დღესაც ასე საკამათო კითხვას - ვინ იყო მეფე ერეკლეს პირველი თანამეცხედარი?

მეფე ერეკლე თანამეცხედარი

ლიანა თანდილაშვილი

თითქმის 3 საუკუნეა, ქართველი მემკვიდრეები დაუსრულებლად ყვებიან მეფე ერეკლე მეორის გმირობისა და თავდადების ამბებს. მაგრამ ეროვნული საისტორიო წყაროები მეტად მცირე და ძუნ ცნობებს გვანვდიან მისი პირადი ცხოვრების შესახებ. ამასთან, ზოგიერთი ეს მოსაზრება ერთმანეთს არ ემთხვევა და საკამათოდ მიიჩნევა.

ვინ იყვნენ მეფე ერეკლეს თანამეცხედრები?

ერეკლე მეფემ რომ სამჯერ იქორწინა, ამაზე ისტორიკოსები თანხმდებიან; თუმცა დღემდე საკამათოა, ვინ იყო ერეკლე II-ის პირველი მეუღლე: ქეთევან ყაფლანიშვილი-ორბელიანი თუ ქეთევან მხეიძე (ან ფხეიძე); მის მეუღლეთაგან რომელს ეკუთვნის ალავერდის ქვის ეპიტაფია ან რომელი მეუღლისაგან შეეძინა მეფეს პირველი შვილი, რომელიც მათიანეში იხსენიება „ვახტანგ კარგის“ სახელით (როგორც ამბობენ, მისი სათნო თვისებების გამო).

ქეთევან ყაფლანიშვილი თუ ქეთევან მხეიძე?

ერეკლეს თანამედროვე ზოგიერთი ისტორიკოსი მეფის პირველ თანამეცხედრედ უფრო ქეთევან ვახტანგის ასულ ყაფლანიშვილს ასახელებს; მიუთითებენ წყაროსაც:

კერძოდ, ესაა თეიმურაზ II-ის მიერ (ერეკლეს მამა) ვახტანგ ყაფლანიშვილისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც მეფე სთხოვს თავადს, ერთმანეთს დაუმოყვრდნენ:



ერეკლე მეფის სასახლის გალავანი. ძველი თელავი

„თქვენი ოჯახი ხელმწიფედ მემძახლენნი ყოფილან და ჩვენც თქვენი მოყვრობა მოვინდომეთ. ერეკლესთვის თქვენი ქალი მოგვეცით და მოყვრობა და ერთობა კიდევ უფრო გავაახლოთ“.

თეიმურაზ II-ის ეს უსტარი, 1909 წლის „საქართველოს სიძველენში“ გამოქვეყნებული, დათარიღებულია 1738 წლით. აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ ერეკლემ ქეთევანზე, ვახტანგ ყაფლანიშვილის ასულზე მართლაც იქორწინა იმავე 1738 წელსო.

ამ ვერსიას უპირისპირდება ისტორიკოსი მამისა ბერძენიშვილი. მისი განსხვავებული შეხედულება კი არცთუ უსაფუძვლოა.



ისტორია მუდამ ფაქტების შეჯერებით გაანალიზებულ ამბებს მიჰყვება. XVIII ს.-ის 30-იან წლებში ქართლ-კახეთი სპარსელების სახელისუფლოა; 1737-39 წ.წ. ერეკლე ბატონიშვილი (17 წლის) ირანელი ნადირ-შაჰის კარზე იმყოფება. მეფისწული სამშობლოში ბრუნდება 1739 წლის 13 დეკემბერს.¹
აი, ამ რეალობიდან გამომდინარე, ასკვნის მამისა ბერძენიშვილი: თეიმურაზ II-ის უსტარი დაწერილია არა 1738 წელს, არამედ ბატონიშვილ ერეკლეს ირანიდან დაბრუნების, ანუ 1740 წლის შემდეგ.

შეიძლება, ისიც დავუშვათ, რომ მშობლებმა ყაფლანიშვილის ასული მართლაც მოიყვანეს სასახლეში ინდოეთიდან ერეკლეს დაბრუნებამდე. მით უფრო, რომ ქართული მატთანე ერთ ასეთ საინტერესო ფაქტსაც იცნობს: სპარსეთში ერეკლე ბატონიშვილის ყოფნის დროს მის მშობლებს ვაჟიშვილისთვის მართლაც უთხოვიათ თავად გივი ამილახვრის ასულის ხელი, თუმცა საცოლუ ნიშნობამდე გარდაცვლილა.

თანამედროვე ისტორიკოსთა უმრავლესობა ქეთევან ყაფლანიშვილს მაინც ერეკლეს პირველ თანამეცხედრედ მოიხსენიებს; თუმცა მამისა ბერძენიშვილი, სხვადასხვა ისტორიული მასალის გაანალიზებით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის მონათხრობი, გვამცნობს:

მშობლების მიერ შერჩეული ქეთევან ყაფლანიშვილი ირანიდან დაბრუნებულ ბატონიშვილს არ შეურთავს², მაგრამ მან „მოიყვანა იმერეთიდან ასული ... ფხეიძისა და იქორწინა მის თანა“³.

თავის ნაშრომში ბერძენიშვილი⁴ პირდაპირ მიუთითებს, რომ „ვახტანგ კარგი, ერეკლე მეფის უფროსი ვაჟი, იყო ერეკლეს პირველი მეუღლის – ქეთევან ... ფხეიძის ასულისაგან“.

ერეკლე II-ის შვილიშვილიც, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი – ალექსანდრე ორბელიანი – პაპის პირველი შვილის, ანუ ვახტანგ კარგის დედად ასახელებს მხეიძის (ანუ ფხეიძე) ასულს:

„მეფეთ ... გალავანში ... არის ეკლესია კარის ღვთისმშობლისა, მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომელშიაც ვარაყშერეული მშვენიერი კანკელია და ეს კანკელი მეფე ერეკლეს შეუწირავს, თავის პირველი შვილი რომ გარდაცვლილა, მხეიძის ქალთან ნაყოლი“⁵.



მეფე ერეკლე II

ქეთევან მხეიძესთან თანაცხოვრების მეოთხე წელს ერეკლეს ეპოქის მემატთანე პაპუნა ორბელიანი ასე გვაუწყებს დედოფლის გარდაცვალებას:

„მოვიდა კახეთიდან ჩაფარი, მოიტანა ამბავი საზარელი და ყოველთა შესაწუხარი: მეფის ერეკლეს მეუღლე, დედოფალი კახეთისა ქეთევან დამარცხებულიყო ... მაშინვე წამოძანდნენ და წაბძანდნენ კახეთის მეფე და დედოფალი (იგულისხმება თეიმურაზ II და მისი მეუღლე – თამარი. რედ.); თან იახლნენ ქართველთ დარბაისელნი სახლეულითურთ. რა ჩამოხდენ ცხენიდან, ესმათ ხმა საგლოველი... ცხედარი ... ალავერდს მიასვენეს, თითონ ბატონებმა თელავს გლოვა, ტირილი ხშირობით, ვითა წესი იყო, ეგრე გარდაიხადეს“⁶.


როგორც მამისა ბერძენიშვილი განმარტავს, ალავერდის საფლავის ქვის ეპიტაფიაც ეკუთვნის ქეთევან მხეიძეს (და არა ყაფლანიშვილს, როგორც მიიჩნევს ისტორიკოსთა უმრავლესობა); საფლავის მინაწერში იგი მოხსენიებულია, როგორც ერეკლე მეფის თანამეცხედრე.

პირველი ქორწინებიდან ერეკლე მეფეს ჰყოლია სამი შვილი: ვახტანგ კარგი (გარდაიცვალა 18 წლის), რუსუდანი (ადრევე გარდაცვლილა) და ერთიც, ვისი სახელიც მატთანესთვის უცნობია.

1 – ომან ხერხეულიძე. ჭიჭინაძის გამოცემა. 2 – ერეკლესგან უარყოფილი ქეთევან ყაფლანიშვილი მონაზუნად აღიკვეცა და დარდისაგან გარდაიცვალა. 3 – ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება“. ტ. IV. 4 – „მასალები XIX ს.-ის I ნახევარში ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. 5 – ალექსანდრე ორბელიანი. „თელავი“. 1857 წ. „ხელნაწერი“. 6 – პაპუნა ორბელიანი. „ამბავნი ქართლისანი“.



ანა აბაშიძე



მეფე ერეკლეს ხელნაწერი

1745 წელს სამეფო კარზე ახალი საქორწილო რიტუალი შედგა. დედოფლად და თანამეცხედრედ ერეკლემ დაისვა თავად ზაალ აბაშიძის ქალიშვილი – ანა აბაშიძე. პაპუნა ორბელიანი ასე აღწერს ანა აბაშიძის გადედოფლების ამბავს:

„მოზრძანდა კახთ ბატონი ერეკლე სურამს, გაგზავნეს კაცი იმერეთს და აბაშიძის ზაალის ქალი, მშვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალეებითა, გარდმოიყვანეს ქვიშხეთს ანუკა ბატონიშვილი... დაინერა ჯვარი მეფე ერეკლემ და იქმნა ასული აბაშიძისა დედოფალი ანა... ამა ამბავთა შინა კახმა ბატონმა ერეკლემ წამოიყვანა დედოფალი ანა ქვიშხეთით, ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა, სახლსა მამისა თვისისა, ქართველთა მეფისასა. იყო მეორე ქორწილი და განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაენყობოდა“.¹

სამწუხაროდ, ერეკლე მეფისა და ანა დედოფლის თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა; ამ ახალგაზრდა და ერთგულმა თანამეცხედრემაც ნაადრევად დატოვა ეს წუთისოფელი: „1749 წელსა გარდაეცვალა დედოფალი ანა და დასაფლავდა მცხეთას“.²

„დედოფალი კახეთისა ანა დამარცხდა... იქნა გლოვა, მწუხარება ფრიადი, იქნა წმიდა კრება და... ტირილი უჯერო, კერპური გლოვა ყოველდღე დააყენეს“, – წერს პაპუნა ორბელიანი.

ანა დედოფლის საფლავის ეპიტაფია გვაუწყებს:

„...რომელი ოდესმე ვიყავ ანა, ასული აბაშიძისა, ხოლო ჰსძალი ქართველთა მეფის ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი (იგივე ნეკნი. რედ.) ირაკლი კახთა მეფისა. არამედ ჩემთვის დიდება ესე ყოველივე აქ დაშრტა...“

ანასაგან ერეკლეს შეეძინა ორი შვილი – გიორგი და თამარი. გიორგი XII – იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე; თამარი კი ცნობილი სარდლის – დავით ორბელიანის მეუღლე.

ღარეჯან დედოფალი



ღარეჯან დედოფალი

1750 წელს ერეკლე მეფემ მესამედ იქორწინა დადიანის ქალზე, არასრულწლოვან დარეჯანზე; და მასთან ერთად თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა. დარეჯანი იყო სამეგრელოს მთავრის – ოტია დადიანის ძმის – კაციას ასული.

როგორც ამბობენ, დარეჯან დედოფალი გამოირჩეოდა ამბიციურობით, მაგრამ სხვაც უნდა ითქვას: ის ყოველთვის სკეპტიკურად აფასებდა რუსეთის იმპერიასთან დაახლოებას. ერეკლეს ურჩევდა კიდევ, არ დაედო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. მას არაერთხელ ღიად უთქვამს, რომ რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს არანაირ სიკეთესა და სარგებლობას არ მოუტანსო.

აი, როგორ აღწერს მემატინე ერეკლესა და დარეჯანის ქორწილს: „...ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან მეფის ერეკლისათვის... მზა ექმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზ ცხოვებულს და შეიქმნა ქორწილი და სახლსა მტკვრის პირას, შუენური და შემკული ყოვლით კერძო. იყო შვიდის დღეს და ღამეს შვება და განცხრომა უზომო, რომ ერთი ამისთანა სიხარული არ გვენახა... დაადგინა მეფემ ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახელსა მამისა თვისისასა“.³

დადიანის ასულმა თელავის სასახლეც სრულად დაამშვენა. აი, როგორი განცდით იგონებს და რას წერს ერეკლეს შვილიშვილი, მეფის სათაყვანებელი ასულის – თეკლას ვაჟი – ალექსანდრე ორბელიანი დედისაგან მოსმენილს:



„მე მოგიტხოვრებთ მეფის ირაკლის მეორის ამბავს, მხოლოდ თელავისას, რაც შემიტყვია სარწმუნო პირთაგან... ერთ დროს მეფე ირაკლიმ დიას გამოჩენილი ჰურობა გარდინადა თელავს იმ თავის სალხინოში, სადაც გალობა, სიმღერა და ლილინი, მხიარული სინარულით გარდინდებოდა წარჩინებულთ ნადიმზე... დასრულდა ნადიმი და მეფე გამობძანდა უცხოთ მორთული გარეთ... საქართველოს გამოჩენილ ვაჟკაცთ გადახედა დიდის სიამოვნებით, იმ ვაჟკაცთა, რომელთა მტრის დამარცხება არ უჭირდებოდათ... მცირე ხანი აღარ გამოხდა. ოქროთ დახატულის ცხენით დედოფალი დარეჯან მობძანდა სადედოფლოს წითელი ხავერდის წამოსასხამით... ეს დრო იყო გაზაფხული, დღესა მშვენიერი... მეფე ერეკლეს ეს რაზმი რომ ენახა ვისმე დართული, დაკაზმულები, ოქრო-ვერცხლყანებიანი, თვალისთვის უკეთესი სანახავი რაღა უნდა ყოფილიყო?“¹

მათ ერთად თითქმის საუკუნის ნახევარი განვლეს. თანაცხოვრების უმძიმეს წლებში ბევრი დათმეს და გადაიტანეს, ბევრჯერ დაძლიეს და გაიმარჯვეს; თუმცა, განა რაა ამ წუთისოფელში მარადიული? **ძალზე ფასეულია ალექსანდრე ორბელიანის მოგონება და ჩვენც მივყვით ამ ჩანაწერს, რომელიც გვამცნობს დიდი ხელმწიფის დაუძლურების ამბავს:**

„ახლა მეფეს ირაკლის უკანასკნელი ჟამი ვთქვათ. ალა-მაჰმად-ხანის მესამე წელიწადზე მეფე ირაკლიმ განჯის ციხე რომ აიღო, იქ ავად გახდა, იქიდან ავანტყოფი წამოვიდა და დარეჯან დედოფლის სასახლეში დადგა ავლაბარს. ეს იყო ან სექტემბრის გასული ან ოქტომბრის დამდეგი 1797 წელსა. ცფილისში იმისთვის მივიდა... ზარდაცემული იყო მეფე ირაკლი, უბედურად ხადდა თავს... იდგა ამ ჟამს ავლაბარს, დარეჯან დედოფლის გაკეთებულს სახლში, საიდგანაც დედოფალს მისწერა უკანასკნელი წიგნი თელავში“.

უკანასკნელი წერილი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, მაგრამ ახლა უკვე სულიერად გატეხილი მეფისა, უნუგეშოა; რადგან არ ძალუძს უკვე, თავის ხალხს ემსახუროს; მხოლოდ ერთი იმედიღა დარჩენია: თბილისიდან ჩავიდეს მშობლიურ თელავში, მოინახულოს „უსატრფიალესი დედოფალი“ და სანამ სულს მიაბარებს წმინდა მიწას, წვრილად შეატყობინოს ერთგულ თანამეცხედრეს, რაც გულს დარდად შემოსწოლია.

ძნელია, აუღელვებლად წაიკითხო ერეკლე მეფის წერილი, გაგზავნილი დარეჯან დედოფლისადმი (ესეც ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერებიდანაა):



ძველი თბილისის ხედი. ნიკონორ ჩერნეცოვის ნახატი. 1830 წ.

„ოჰ, ჩემო უსაყვარლესო დედოფალ დარეჯან! დილაზე რომ გამოვალ, ქალაქ ცფილისისკენ გადავიხედავ, საშინელი მწუხარება ამიტანს, მაშინვე თავბრუ დამეხვევა, თვალთ დამიბნელდება, ბარბაცით შინ შევალ, ტახტზე დავეცემი და მწარეს ქვითინს ამოუშვებ უბედური. თუმცა სხვადასხვა ბევრს ნუგეშს ვეუბნები ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ ესე არის, მე ველარ გამოგადგები. ახლა ამის მეტი ნუგეში აღარა დამრჩომია რა, ჩემო უსატრფიალესო დედოფალო, რომ ჩქარა მოვალ თელავს შენთან. ღმერთს მივართმევ სულს და ვისგნითაც უბედური ყოფილა ჩუენი ქვეყანა, ანუ ჩუენი ოჯახი, იმასაც წვრილად შევიტყობ.“

შენი ერეკლე.

ერეკლე II, როგორც ხელწიფებოდა დიდ მეფეს, დარეჯან დედოფალთან ერთად განამტკიცებდა ქვეყანას და მის მომავალს; ლხინსა და ჭირში ქართველის ჭირისუფალმა ღირსეულად იღვანა; ისე, რომ არავის შეუშინდა, ღალატი არ იკადრა, მამულს უერთგულა და არასოდეს დაღლა არ შეიმჩნია; ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ უშიშარ მეომარს - მეფე ერეკლე II-ეს ქვეყნის ისტორიაში თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მეფე ერეკლე გარდაიცვალა 1798 წლის იანვრის დასაწყისში, გამთენიისას, თელავის სამეფო სასახლეში, იმავე ოთახში, სადაც 78 წლის წინ დაიბადა.

დარეჯან დედოფალი გარდაიცვალა 1807 წელს, რუსეთში, სადაც იძულებით გადაასახლეს. დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის სახელობის ხარების ეკლესიაში.

ერეკლე მეფეს თავისი შვილების უმრავლესობა (19 შვილი) სწორედ დარეჯან დადიანისგან შეეძინა.

1 – ალექსანდრე ორბელიანი. „თელავი“. 1857 წ. „ხელნაწერი“.



სულსულელის სამეფო

ნუნუ ჯანელიძე



იყო ერთი სახელგანთქმული ქვეყანა, სახელად უვიცია, რომლის ხელმწიფე გახლდათ სიბრძნითა და სიკეთით ქებული, სახელად სულსულელი. როგორც ყველა მეფეს, სულსულელსაც გვერდს უმშვენებდნენ ჭკუისკოლოფი მრჩევლები – ზებრა და ჰოპ-ჰოპი, იგივე ჰოპი, როგორც მას შინაურობაში ეძახდნენ. მართალია, წერა-კითხვა არც ერთმა არ იცოდა, სამაგიეროდ, გამოირჩეოდნენ ხელქვეითებისთვის ეგზომ საჭირო ისეთი თვისებებით, როგორიცაა ენატანობა და პირმოთნეობა.

ზეპრას შეეძლო, მბრძანებლის ბიბილოსთან ზეპირად (ანუ ზებრად) ჩამოეჭიკჭიკებინა დროული და ფრიად საჭირო თავისი ვარაუდები, ხოლო ძვირფასი ჰოპი მეფეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას უადვილებდა ყოჩალი შეძახილით: „ჰოპ!“, რაც ბოლოს გვირგვინდებოდა „ტაშისდამკვრელთა საზოგადოების“ მხურვალე ოვაციებით.

ცხოვრობდა ნეტარი სულსულელი სრულ ჰარმონიაში უვიციელებთან ერთად და ბედით კმაყოფილი ფიქრობდა, სხვა დიდებისთვის კიდევ რა მაკლია, კიდევ რით შეიძლება, ჩემს სამეფოს უფრო შორს გაუფგდო სახელიო.

ზეპრამ და ჰოპიმ ურჩიეს, ხელმწიფეო, გაგვიგია, მეფეები ბედაურებს აჯიბრებენ ერთმანეთს, მოდი, ჩვენც გავმართოთ დოლიო. სულსულელს ჭკუაში ჩაუჯდა კარის ერთგულთა რჩევები და ბრძანა, სასწრაფოდ დაენყოთ დოლისთვის მზადება.

სადღა ჰყავდათ სახედრები უვიციელებს? ამიტომ სახელდახელოდ თეთრად გადალებეს ერთი ჩაქჩაქა სახედარი, ჩლიქები ოქროს ქოშებში გააყოფინეს, თავზე და კუდზე ნამდვილი ცხენით ფაფარი და ძუა დაუმაგრეს და ხელმწიფეს წარუდგინეს.

რადგან სულსულელს წარმოდგენა არ ჰქონდა ნამდვილ ბედაურზე, სახედარი დიდი პატივით მიიღო, აბა, შენ იცი, შენი იმედი მაქვსო. სახედარს დიდად ეამა მბრძანებლის შექება და კინალამ წამოიყროყინა, მაგრამ ზებრამ და ჰოპიმ უმაღ ჩააცხრეს მისი აღტკინება.



დოლისთვის დანიშნულ დღეს ერთი ბედაური მართლა ჩამოვიდა შორეული სოფლიდან, მაგრამ ის რა სათვალავში ჩასაგდები იყო ალისფერი ბაფთებითა და ოქროს ზანზალაკებით დამშვენებულ სახედართან! საბრალო ბედაურს ჩლიქებზე ხეირიანი ნალიც არ ჰქონდა აკრული. ერთ უბრალო რკინის ნალს კი, ალბათ, რომელიმე სოფლელი მჭედლის ნახელავს, გამხმარი ტალახი აკვროდა.

დოლში მონანილენი მაყურებლის წინაშე წარდგნენ. მთელი უვიცია აღფრთოვანებული იყო სახედრის ბედაურობით. „ტაშისდამკვრელთა საზოგადოებას“ ტაშის დაკვრისგან ხელეები გადაყვლეფოდა, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა და განაგრძობდა ოვაციებს.

დოლი! დოლი! – გუგუნებდა უვიცია.

ზეპრამ მეფესა და მთელ უვიციას ხმამაღლა მიმართა:

– თქვენო უდიდებულესობავ, ბრძენო სულსულელო და ძვირფასო უვიციელებო, დღეს გამოჩნდება, ვინაა უვიციელთა შორის ღირსეული.

ზეპრამ ყველას თვალწინ გაშალა მეფის ღერბიანი გრაგნილი და ისე, რომ შიგ არც ჩაუხედავს, ზეპირად გამოაცხადა:

– დოლი ადგილზე ჭენებით!

ჩაჰბერეს საყვირს და დაიწყო დოლი.



ყველას გასაკვირად, ბედაურს ყურიც არ გაუპარტყუნებია ზეპრას სიტყვების, საყვირის ხმისა და გულშემატკივრების ყიჟინზე; იდგა გაუნძრევლად და ხან გულგრილად ფრუტუნებდა, ხანაც კუნთების თამაშითა და კუდის ტყლაშუნით წუნკალ ბუზებს იგერიებდა.

გულშემატკივრებისგან გამხნივებული სახედარი ჯერ ადგილზე ათოხარიკდა, მერე კი ადგილზევე ისე გააჭენა, კინალამ იქაურობას გასცდა. ბოლოს მაინც კეთილგონიერებამ სძლია, ოქროსქოშებიანი ჩლიქები სტარტსა და ფინიშს შუა მყარად დააბჯინა და ოფლში გახვითქულმა პუბლიკას ამაყად გადახედა. კაცმა რომ თქვას, ცოტა ამბავი ხომ არ არის ადგილზე ჭენება!



უვიცია სიხარულისგან ზანზარებდა, ბედნიერების ყიჟინა ცას სწვდებოდა. გამარჯვებულ სახედარს პირველი ბედაურის მედალი, ბაჯალლო ოქროსგან დამზადებული, თვით სახელგანთქმულმა სულსულელმა დაჰკიდა, მართალია, ბედაურისთვის შეუფერებელ, მოკლე, მაგრამ მაინც ამაყად აწეულ ყელზე. სახედარი ცრემლებს ვერ იკავებდა, მგონი, მართლა ბედაური ვარო.


ყველა ბედნიერი იყო; მხოლოდ სოფლიდან ჩამოსული ბედაური იჩივდა მხრებს, ამ გაუგებრობაში როგორ მოვხვდი, სადაა დასაკარგი დრო, სოფელში საქმის მეტი რა მაქვსო.

უვიციაში დიდხანს იყო სალაპარაკო დოლის ამბები, ყველას პირზე ეკერა გამარჯვებულის სახელი (ახლა გაგიმხელთ) – ქვართხუ. მედალოსანი სახედარი დიდ პატივში ჰყავდა მეფესაც: ქერის მაგივრად რჩეული ხორბლის თავთავს აჭმევდა, უბრალო თავლის ნაცვლად მეფის საუკეთესო აპარტამენტებში ისვენებდა და დაბორიანებდა.

ზეპრასა და ჰოპის მრავალჯერადი გაფრთხილების მიუხედავად, ჩვენი ბედაურივით სახედარი ყროყინის სურვილს მაინც ვერ იოკებდა; ამიტომ ზოგჯერ, როცა ყროყინისმაგვარ ბგერებს მოგუდულად მაინც ამოუშვებდა, დაფეთებული აქეთ-იქით იყურებოდა, ვინმე ყურს ხომ არ მიგდებსო. თუმცა ყური რომც დაეგდოთ, აზრად ვის მოუვიდოდა, რომ ასეთი მშვენიერი ბედაური ყოვლად შეუფერებელ ბგერებს შეაფრქვევდა გარემოს.

ერთხელაც სულსულელმა ეტლით გასეირნება მოიგუნება და თან ბედაურის ხლება ბრძანა. ოქროს ქოშებზე ამხედრებული სახედარი აქოშინებული მისდევდა მეფის ამაღას. მალე ყველანი დიდი მდინარის პირას აღმოჩნდნენ. სულსულელმა ბრძანა, მინდა, ეტლიანად მეორე ნაპირზე გადამიყვანოთო. ვერავინ ბედავდა, მდინარეში პირველი შესულიყო.

უცებ, სად იყო და სად არა, საიდანღაც ჩვენი სოფლელი ბედაური გამოჩნდა, მეფეს და მის მხლებლებს გულგრილი მზერა შეავლო, მდინარეში აუღელვებლად შეცურა და სულ მალე მეორე ნაპირზე მშვიდობით გასული კმაყოფილებით აჭიხინდა.





სულსულელმა მოისურვა, ახლა თავის ბედაურსაც გადაეცურა მდინარე. საბრალო სახედარს რა უნდა ექნა, რის ვაი-ვაგლახით შევიდა მდინარეში და შუამდევც კი არ იყო მისული, რომ ადგილზე გაშეშდა. რა ხდებაო, გასძახა მეფემ. სახედარს თავისი გასჭირვებოდა, ქოშები ფსკერზე, ქვიშაში ჩაფლობოდა, მაგრამ მეფეს მაინც ეშმაკურად უპასუხა, აქედან ძალიან ლამაზი სანახაობა იშლება და მისი ცქერით ვტკბებით. არიქა, ჩვენც შევცუროთ, არ ჩამოვრჩეთ მამაც ბედაურსო, ბრძანა მეფემ.

მხლებლებმა ეტლი დაძრეს და, ის იყო, შუა წყალში მდგარ სახედარს გაუსწორდნენ, რომ იგი უცებ რალაც უცნაურად დატრიალდა, ერთი წაიყროყინა და მკვდარი თევზივით გულადმა ამობრუნდა. თურმე საბრალო ქოშებიდან ჩამოვარდნილიყო!

უშველეთ, ჩემს ბედაურს უშველეთ, გადაარჩინეთ, აყვირდა სულსულელი. მსახურები შემოეხვივნენ სახედარს და ამ განევ-გამონევაში, რაც ზედ ესხა, სულ ერთიანად შემოაპუტეს. წყალში მოტივტივე სახედარს საღებავიც გასცლოდა და ვირისფერი

დაბრუნებოდა. სულსულელი გაკვირვებული უყურებდა ბედაურის სახეცვლილებას; ამიტომ მოინადინა, ახლოდან ენახა, რაც მოხდა.

ამასობაში სახედარმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, აქაოდა, ეგებ ნაპირისკენ გავცუროო, ჰყარა ტლინკი და მოულოდნელად ისეთი უთავაზა თავისი ღონიერი უკანა ფეხები მეფის ეტლს, რომ, მტრისას, რაც იქ ამბავი დატრიალდა:

ჩვენი სულსულელი თავის ეტლიან-მსახურებიანად წყალში თავდაყირა ამოტრიალდა! ეტლი, რა თქმა უნდა, იმნამშივე ფსკერისკენ დაეშვა, ხოლო მეფე და მისი ამაღა დინებამ ზღვისკენ ისე წაიღო, როგორც სხვა ჩვეულებრივი მოკვდავნი მიაქვს დროდადრო. მდინარე ხომ თავის წესს არასდროს ღალატობს და გამონაკლისს თვით მეფეებთანაც არ უშვებს.

სახედარმა რის ვაი-ვაგლახით გამოაღწია ნაპირზე და ბედნიერმა იმით, რომ ცოცხალი გადარჩა, ერთი შვებით დაიყროყინა. კაცმა რომ თქვას, უკვე მობეზრებულნი ჰქონდა ძალად ბედაურობა და გულის სიღრმეში თავისი ძველი, სახედრული ყოფა მონატრებოდა კიდევ. ამიტომ იქვე ბუჩქნარს შეერია და ბალახის წინკნა დაიწყო.

დრო იყო, პატრონს დაბრუნებოდა და ისე ეცხოვრა, როგორც მის ჯიშსა და ჯილაგს შეშვენოდა. დროდადრო კი გახედავდა ალმაცერად მეორე ნაპირზე ღალად მონავარდე ბედაურს, მაგრამ თავისი სახედრული ჭკუით ვერ სწვდებოდა, მაინც რით ჯობდა მასავით ოთხფეხზე მდგარი და თითქმის მსგავსი ცხოველი, ან რა ისეთი

ხილი იყო თავისუფლება, რომლის გამო ბედაურმა არაფრად ჩააგდო მეფის მიერ წაყენებული პირობები, უარი თქვა ადგილზე ჭენებასა და იმ პრივილეგიებზე, რასაც მორჩილებითა და პირმოთნეობით მოიპოვებდა.

ჰო, სულსულელი... მასზეც ჩაფიქრდა ერთხანს სახედარი, მაგრამ მისმა ტვინმა ვერ გაუძლო ამ დატვირთვას, ერთი-ორჯერ თავი აქეთ-იქით ჯიუტად გააქნ-გამოიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებდნენ, და სახლისკენ სახედრული, მოკლე ნაბიჯებით წაჩაქჩაქდა.





6 წლის იყო ლიანა მიქაშავიძე, სცენაზე პირველად რომ გაიყვანეს და როლიც ანდეს. პარტნიორებად კი ჰყავდა სოსუმის თეატრის მავნიძელი წამყვანი მსახიობები - უმგონიერისი მარინე თეატრული და მამაისი - ნიკოლოზ მიქაშავიძე.

ესპანელი დრამატურგის გარსია ლორკას "მენალის ჯადოქარი ცოლი" დადგა ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა, ძალაძის კოლორიტმა, ტერენტი გრანელის მხარდახარმა ლეო ჭიჭიამ. ეს იყო უზუსტად 75 წლის წინათ, 1945 წელს. პოეტმა სუბა ბერულავამ მავნი "პატარა ლიკას" მიუძღვნა ლექსი, რომელიც დაიბეჭდა საბავშვო ჟურნალ "დილაში".

საქართველოში და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, თავის თავს უხუცეს მსახიობად რომ მიიჩნევს, დღესაც მომხიბვლელი და თეატრზე უფროდ შეყვარებულია.

და თუ მართლა გიყვარს თეატრი, მით უფრო, სოსუმის, ძალბატონ ლიანასთან საუბარი დაგაბრუნებს იმ წარსულში, რომელმაც მას ამდენი სათქმელი, ლამაზი დღეებად აკინძული ამდენი მოგონება დაუტოვა.

ლიანა მიქაშავიძის პუბლიკაცია სწორედ იმ ჩვენი ქართული ძალაძის, გუშინდელი სოსუმის ფრაგმენტებია. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, ძალბატონი ლიანა ასრულებს მუშაობას საბუღალტრო ნიშნზე, რომელიც მკითხველს უამბოვს სოსუმის ქართული თეატრის თავგადასავალს, გააცნობს ქართველი და აფხაზი მსახიობების ხელშეუხებ ურთიერთობას, მოუყვება გვერდისგან დავიწყებულ, ასე საინტერესო, თეატრალურ ეპიზოდებს.

შეუძლებელია, ეს არ გახსოვდეს

ლიანა მიქაშავიძე

რატომაც დათმო სცენა

შენი წარსული იმით იწონება, რამდენად გადააფასებ წლების სიმძიმეს. აუცილებელია, მოვიხედოთ უკან და ჩვენს გვერდით ისევ დავინახოთ ღირსეული ადამიანები; ამქვეყნიდან წასულები, ხშირად შენს ბიოგრაფიასაც რომ ალამაზებენ, ამდიდრებენ.

მეც გავიხსენებ...

ვინც არ იცის, მისთვის დღეს ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს, რუსეთისა და ნიუ-იორკის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სახელგანთქმული ინფექციონისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ მოძრაობაშიც გამორჩეული და არაორდინალური ქართველი – ვახტანგ ბოჭორიშვილი იყო თეატრის რეჟისორი.

მეტიც: სარეჟისორო კარიერა დაასრულა სოსუმის დრამატულ თეატრში. ეს იყო 1945 წელს.*

იმ დროს სოსუმის ქართული თეატრის დასის წევრი გახდა კინოსა და თეატრის მშვენიერმა, მაშინ ძალიან ახალგაზრდა – მარინე თბილელი (ის თბილისიდან ჩამოიყვანა აფხაზეთის კულტურის სამინისტროს განყოფილების გამგემ – გიორგი გულიამ).

მაშინ 6 წლის ვიყავი, თუმცა ამ ორ ხელოვანთან დაკავშირებული ჩემი მოგონებები მახსოვს და მიყვარს.

ცნობილმა სოსუმელმა მსახიობმა და რეჟისორმა ლეო ჭიჭიამ დადგა გარსია ლორკას – „მენალის ჯადოქარი ცოლი“. მენალეს მამაჩემი – ნიკოლოზ მიქაშავიძე, მის ცოლს – მარინე თბილელი, მათ შვილს კი – მე ვთამაშობდი.

ფაქტობრივად, სცენაზე ჩემი ნათლობა შედგა ამ პატარა როლით, წარმოდგენით, რომელიც დიდხანს სრული ანშლაგით მიდიოდა. რეპეტიციებიც მახსოვს. ისიც, ულამაზესი მარინე თბილელი ხელს რომ ჩამჭიდებდა და ავანსცენაზე გამიყვანდა. სოსუმელი მაცურებლებით გადაჭედული დარბაზის ის პირველი ტაშიც და ემოციაც ხშირად ჩამესმის.

ბატონი ვახტანგიც მახსოვს: მაღალი, თხელი, წარმოსადგეგი და მუდამ მოუსვენარი სახით. ნიჭიერი ადამიანი, ქართულსა და ქართველზე უზომოდ შეყვარებული, უცნაურობითაც გამოირჩეოდა, ანუ იყო უცნაურად პრინციპული, ძალიან მართალი საკუთარ თავთან. თეატრიდან ამიტომაც წავიდა; არადა, ძალიან უყვარდა სცენა, თავისი პროფესია.



მარინე თბილელი, მენალის ცოლის როლში. სოსუმი. 1945 წ.

* – ვახტანგ ბოჭორიშვილი სწავლობდა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე; სოსუმში ჩამოსვლამდე იყო თელავისა და რუსთაველის თეატრების მსახიობი, რეჟისორი.



ვახტანგ ბოჭორიშვილი

ვახტანგ ბოჭორიშვილის უკანასკნელი სარეჟისორო ნამუშევარი იყო „ხევისბერი გოჩა“. მაშინ ბევრ თეატრში იდგმებოდა არა ყაზბეგის, არამედ დრამატურგ სანდრო შანშიაშვილის ამავე ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ხუთმოქმედებიანი დრამა.

ყაზბეგის, უკვე აღიარებული მწერლის ამ ერთ-ერთი უკანასკნელი და გამორჩეული რომანის დადგმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა გადაწყვიტა არა შანშიაშვილისეული ინტერპრეტაციით, არამედ ავტორისეული ქვეტექსტების, ეროვნული განწყობის გამძაფრებით. სხვათა შორის, ძიძიას როლს თამაშობდა მარინე თბილელი.

როდესაც მთავრობის წევრები სპექტაკლის ჩაბარებაზე გამოცხადდნენ (მაშინ ეს პრემიერის წინ სავალდებულო პროცესად ითვლებოდა), დამდგმელი რეჟისორისგან კატეგორიულად მოითხოვეს, შეეცვალა გარკვეული მიზანსცენები.

– **ბაბუას ერთი ასეთი კორექტივაც უნდა შეეტანა სპექტაკლში – ხევისბერი სცენაზე ნითელი დროში უნდა გამოსულიყო,** – თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ვახტანგ ბოჭორიშვილის შვილიშვილმა, ვახტანგ იაშვილმა, – აფხაზეთის მაშინდელი საოლქო კომიტეტის მდივანი გაოგნებულია, როდესაც ახალგაზრდა რეჟისორს მისი არანაირი მითითება არ გაუთვალისწინებია.

„მე შემოქმედი ადამიანი ვარ და სახელისუფლო შეკვეთით სპექტაკლებს ვერ დავდგამ!“ – ბრძანა მაშინ ბატონმა ვახტანგმა, რეჟისორმა, რომელიც სამომავლოდ სრულიად ახალი, „თავისი თეატრის“ შექმნაზე ოცნებობდა. არ დაუთმო პარტიულ ნომენკლატურას, მაგრამ დათმო სცენა, საყვარელი საქმიანობა. ერთ დღეს დატოვა სოხუმიც და თეატრიც.

1946 წელს ვახტანგ ბოჭორიშვილი უკვე ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. მერე გახდა ცნობილი ექიმი და გამოჩენილი პიროვნება, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოსთან ერთად იცხოვრა.

უკანასკნელი როლი თუ?!

სოხუმი – აფხაზეთის ეს უმშვენიერესი ზღვისპირა ქალაქი მუდამ პოეტებისა და მწერლების, და საერთოდ, ხელოვანთა შთაგონების წყარი იყო.

– **სოხუმი ზღვისა და ტალღების გამო მიყვარს; მათი ხმები გამუდმებით მეძახის; ამიტომაც ვარ აქ ხშირად; სანაპიროც მუდამ გულთბილად მმასპინძლობს,** – იტყოდა თურმე გალაკტიონი და მერე დაამატებდა:

– **ზღვა იმდენად ზვიადია, შენც გინდა, მხოლოდ მედიდურად, მხოლოდ ზემოდან დასცქეროდე მას. სახლი ამიტომაც ავიშენე სოხუმის მთაზეო...**



ქსენია დოლიძე

ისინი, სანაპიროს გრძელ ხის სკამზე ჩამომსხდარნი, ბევრჯერ უნახავთ სოხუმელებს: გალაკტიონი და ჩვენი დასის წევრები – ქსენია დოლიძე (რეჟისორ გოგი დოლიძის მამიდა), მამაჩემი ნიკოლოზ მიქაშავიძე და ლეო ქედი (მსახიობი და რეჟისორი).

ერთხელ მათ შორის, იმ გრძელ ძელსკამზე მეც აღმოვჩნდი. მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ ვაცნობიერებდი, რას ნიშნავდა, ასე ახლოს ყოფილიყავი დიდ გალაკტიონთან, ვის სიდიადესაც გალაკტიონზე მეტად ვერავინ ვერასოდეს ჩანვდა. პოეტის ხმა, რომელიც დღემდე ვერავის შევადარე, ახლაც ჩამესმის:

– მე ახლა ზღვას ვეფერები!

ისინი, ჯერ კიდევ ახალგაზრდები, თბილისში სწავლისას დამეგობრებულან. და განა რაზე ისაუბრებდნენ? სიყვარულზე, რომელიც მათთვის თეატრიც იყო, ლიტერატურაც, პოეზიაც, ურთიერთობებიც და სანაპიროს ის უცვლელი ძელსკამიც, რომლისკენაც მარადმოუსვენარი ტალღები მათ მუდამ ერთმანეთთან შესახვედრად უხმობდა.



გავა დიდი დრო და „სული, ვედრებით განაოცები“ ძალიან პოეტურად მოყვება უჩუმრად ნატარები სიყვარულის ამბავს.

სოხუმში, ტრაპეციის მალლობისკენ, ბარათაშვილის ქუჩაზე მდგარი „მსახიობების სახლი“ ყველა სოხუმელმა იცოდა. ქართული და აფხაზური დასების ბევრი წევრი ამ ხუთსართულიანი კორპუსის მობინადრეები იყვნენ.

ქალბატონი ქსენია დოლიძეც ჩვენი მეზობელი იყო.

მარტო ცხოვრობდა. არასდროს გათხოვილა, შვილიც არასდროს ჰყოლია, მაგრამ ახალისებდა ახალგაზრდებს შორის ყოფნა და ლამაზი ამბების გახსენება. **თეატრი იმდენად „ჩემია“, ასე მგონია, ამ სიყვარულის გარეშე არასოდეს მიცხოვრიაო, –** იტყოდა და იქვე, თითქოს სათქმელს რალაც დააკლო, გალაკტიონის ნაცნობ სტრიქონებსაც მოუხმობდა: **მაგრამ გახსოვდეთ, „სიყვარული სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოდის“.**

ვხვდებოდით, ამ ფრაზასთან ერთად იმ ერთი ადამიანის ვინაობასაც გულში ფარულად რომ ინახავდა. ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ ერთხელაც „შემპირდა“, აბა, რას ვიზამ, გეტყვიო...



ლეო ქელაა

ერთ დღეს ნაცნობმა ექიმებმა ის სუფრაზე მიიწვიეს. მანამდე ჩემთან შემოიარა. მე მიკითხა, მაგრამ შინ მარტო დედაჩემი დახვდა. ახლა ძნელია, ივარაუდო, რა უნდოდა: წვეულებაზე უბრალოდ ჩემთან ერთად წასვლა, თუ ეს უფრო იყო ქვეცნობიერი მოუსვენრობა, მის გვერდით ვყოფილიყავი იმ დღეს, როცა სათქმელმა თავისი თავი უკვე ვერ დამალა და ამჯერად ყველას გასაგონად თქვა, რომ „უყვარს“.

...ექიმების წრეში წვეულებაზე მარტო წასულა. ბუნებით ისედაც მშვიდი, სხვებს უფრო უსმენდაო. ილხენდა სუფრა, წარმოთქვამდნენ ლამაზ სადღეგრძელოებს, მღეროდნენ, იგონებდნენ, მხიარულობდნენ... უკვე საკმაოდ გვიანი ყოფილა და მალე უნდა დაშლილიყვნენ. ასეთ ხალისიან წვეულებაზე დრამატულ დასასრულს ვერავინ წარმოიდგენდა...

ქალბატონი ქსენია უსიტყვოდ წამომდგარა, ერთი მიძიმედ ამოუოხრავს და გალაკტიონის „მესაფლავის“ წაკითხვა დაუნწყია. მთვარით განათებულ შუალამის სოხუმში ერთ საოცრად სცენიურ და მომხიბვლელ ქალბატონს, უკვე ასაკოვანს, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის უიღბლო სოყვარულის თავგადასავალი ისეთი განცდით უამბნია, დიდხანს გამხდარა ქალაქში ეს სალაპარაკო და... სხვაც...

„მესაფლავეს“ თითქოს პირველად ვისმენდითო... „ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება“... არაფერი შემლია, არაფერი დავინწყებია, მაგრამ ისედაც აკანკალებული ხმა თითქოს თანდათან იზარებოდა, აკლდებოდა ჟღერადობა, სიმძაფრე... „თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს, მწუხარე ჟამს საოცნებო“ – ლექსის ეს უკანასკნელი სტრიქონი ძალიან ჩუმად, თითქმის უხმოდ წარმოუთქვამს; მერე ხელი ღვინით სავსე ჭიქისკენ წაუღია, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანი ყოფილა.

კი არ დაეცა, ჩაიკეცა ისე ბუნებრივად, მსახიობებს რომ სჩვევიათო. იმდენად მოულოდნელი და აუხსნელი იყო „მესაფლავის“ ფინალი, ეს „გარდასახვა“ მიზანსცენადაც ჩაუთვალეს ქალბატონ ქსენიას. მაგრამ ცოცხალი ხანში სუფრასთან შეკრებილი საზოგადოება უმძიმესი სურათის შემსწრე გახდა: როცა იქ მყოფი ექიმები მიცვივდნენ ქალბატონ ქსენიას და მაჯა გაუსინჯეს, პულსაცია უკვე აღარ ისმოდა.

დიდი ხნის მერე გავიგებთ, რომ ქალბატონ ქსენია დოლიძეს მთელი ცხოვრება მხოლოდ გალაკტიონი ყვარებია. საიდუმლო, დიდმა პოეტმაც რომ არ უწყოდა, მან უკანასკნელ დღეს თავისი „უკანასკნელი როლით“ გათქვა.



ლიანა მიქაშაიძე



სსიპ "კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო" (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო) სსიპ "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ სანიჭრობაციო ცენტრთან" ერთად (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო) ჩაატარა შემოქმედებით-ლიტერატურული კონკურსი "შემოქმედებითი ზაფხული".

მასში მონაწილე აპლიკანტებს, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს, კონკურსის თემატიკის სახელწოდებით "მე ევროპელი" და "მომავლის აფხაზეთი" უნდა წარმოედგინათ პოეტური, პროზაული და ფერწერული ნამუშევრები.

შანრობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული საკონკურსო ნაშრომები გამოირჩევა კალაი მინიშნელოვანი ფაქტორით: მათი ავტორები (6-დან 20-წლამდე ყმაწვილები) ომის შემდეგ არიან დაბრუნებულნი; თუ ბაიციონით ახალგაზრდების ნაწარმოებებს, შეიხებით სულსაც, რომელიც კალაი ფაქიზია; ტკივით და ენატრებათ კუთხე, უფროსების ოდაგადე, სადაც არასოდეს ყოფილან; თითქოს არღვევენ დროის საზღვრებსაც, რომ მათი ოცნების გზავნილებმა ჩააღწიოს აფხაზეთამდე და, შესაძლოა, გვირღვრით მოჩითულ გზოვლების ეზოებამდე.*

„ათასწრად შევლება სოხუმის გზებს...“

ნათია გაღრანი



მინის სურნელი, ცამდე აწვდილი
და დაფენილი კავკასიონზე,
ადგილს მშვენიერს, ულამაზეს და გამორჩეულს,
საქართველოს შვილს, ჩვენს აფხაზეთს, დიდებულ კუთხეს...
მივმართავ მოხუცს, ახალგაზრდას, დიდს თუ პატარას:
– ვდგავარ მინაზე აფხაზეთის და მეჩვენება,
სადღაც სიზმარში, რაღაც ზღაპარში დაგბორიალობ,
რომ ეს სავსება არც მიპოვნია, არც გამიცია...
რაც ჩემი იყო, სამარადჟამოდ ჩვენი იქნება,
სხვასთან ვერ გაძლებს, დაგვიბრუნდება!
ო, მასთან გრძნობა რაც მაკავშირებს
და მონატრების ყოფა ჩვეული –
ძლიერი არის! – მეუბნება ხმა ზეციერი.
რა ხავილია ამქვეყნიურ კაცთა ქაოსში,
ვინლა შობს შვილებს, უცოდველ შვილებს?!
განა ყველანი ნუთისოფელში
უკვდავნი ვრჩებით უსიყვარულოდ?!
მინაც ვერ იტევს გამოფიტულ ძვლებს,
ადამის მოდგმა იზიარებს ცოდვებს, რომელიც
გვსურს, ვუთანაგრძნოთ დაობლებულ შვილებს და კიდევ
ვმარხავთ ჩვენს გმირებს, ურჯულოთ ვშველით...
ნუთუ დაგვარგეთ ან სინანული,
და აღარ გვესმის ჩვენ ერთმანეთის?!
ტყვიის საფანტი ცაში ირევა,
გრძნეული ცდილობს კუდაბზიკობას,
ნუთუ ქართველებს რამე აშინებთ
და უღმერთობა უშთობთ გონებას?!
მეომარს, მხნეს და მრავალგზის ბედკრულს –
ვისლა სურს შვილის დაკარგვა მაშინ,
როცა უცვალეს მინას ზნე-ფერი
და ბრძოლის ველი გახადეს მშვიდი?!
ჰო, უბოროტო, უცოდველი უსახური და
ამ სურვილს ჩემსას „მშვიდობას“ ვარქმევ,
ღმერთი გულს გასცემს და გაგვიძღვება,
მაგრამ არ უნდა მავანს აღდგენა!

* – „იალქანისა“ და „აფქიოს“ შემდეგი ნომრის ყდები გაფორმდება კონკურსის აპლიკანტების – დემეტრე და ანასტასია მოთიაშვილების ფერწერული ნამუშევრებით.



გულს არ გაიტეხს ქართველი, არა,
 თორმეტი შვილი ერთი ქვეყნისა,
 თორმეტი გული ერთი სულისა,
 თორმეტი ფილტვი ერთი სიცოცხლის
 და მაჯისცემა ერთი გოჯის, ლამაზი მიწის!
 ამ სიყვარულით შექმნილ ბუნებას,
 ჩვენ ბოროტებით შევასხით ფრთები
 და დავუკარგეთ სიმშვიდეს ფერი...

მაგრამ ჩემ მიწას, იმედით სავსეს,
 მხოლოდ ოცნების სიო დაჰნათის...
 ვიცი, დღეს, ხვალ, ან წლების შემდეგ,
 ან, შვილო, მწამს, რომ შენ დაბრუნდები...
 და როგორც სევდა, შეპარული ჭალარა თმებში
 ამოვარდნილი ოცნებებით ქარტყილები,
 ვიცი, ამგვარად არასოდეს არ განელდება,
 სხივით მცხუნვარება მოკაშკაშე მზის და ფერების!
 გაციებულ სახლს, სხეულს, სულებს... ო, ღმერთო ჩემო,
 როცა აქ მცირე, სულ მცირედი სიცოცხლე ფეთქავს...
 უზომოდ მიყვარს ეს სამყარო და მერე მათთან,
 სულგაყვითლებულ არსებებთან მე ბორიალი...
 ჰოიიი... ადამიანებიი???

ო, ჩემო აფხაზეთო, ედემის ბალო,
 რჩეულო უფლის და სამოთხევე, შენ დედამიწის,
 დღეს ხომ დროება დაგვიდგა ძნელი...
 რას ვფიქრობთ? რა გვინდა? რას ველით კიდევ?
 მამულო ჩემო, ხომ გესმის ჩვენი,
 ღმერთო ძლიერო, შენ იხსენი გმირი ყოველი
 და ისტორიის ეს ფურცლები, ქარვისფერი ძაფით ნაქარგი!
 ნუთუ ვერ ხედავთ და ვერ ხვდებით,
 არ ხორცდება ეს ჭრილობები,
 მაგრამ ოცნებით კვლავ გპირდები მშვიდობას ძმების!..
 თვალს ცრემლი არ აკლდება, ყველა ვტყუვდებით,
 მე მიყვარს ისტორია – ჩვენი ქართული,
 მე მიყვარს სული, მიწა-წყალი, გული – ქართული!
 რად გვინდა ომი?!
 ბრიყვთა წესია, დაივიწყო ძმობა-სიკეთე
 და სუფრის თავში ბოროტის ჯდომა –
 ზარ-ზეიმია უგუნურების!..
 ნუ წახვალ, ჩემო ანგელოზო, იყავი ჩემთან,
 დაგელოდები ნაპირთან ძველთან...
 გული ააწყობს მომავლის აკორდს
 და იგალობებს სიმღერას უფლის –
 რომ დაგვიბრუნდა ჩვენ აფხაზეთი!

ვხედავთ მომავალს... დავხატავ მზეს,
 ათასფრად შევლებავ სოხუმის გზებს,
 გადავამწვანებ ჩამკვდარ გზა-ველებს,
 ბინას დავუთმობ მტრედებს, თოლიებს,
 შვილებს ვუამბობ წარსულ დღეებზე,
 ტკივილზე, ცრემლზე, ათას ზღაპარზე!
 და ვიღრიალებ საქართველოს მე დიდებაზე...
 ღმერთს დავუჩოქებ, ხოტბას შევასხამ,
 და გეტყვით ამას:
 – აფხაზეთი ჩვენ დავიბრუნეთ!..





აქ გვირილები იყო...

ანი ლეჰინაძე



20 აგვისტო. 2030 წ.

უჩვეულოდ ცხელი ზაფხულია წელს. აგვისტომ სიგრილის ძიებაში ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მიყვარს სითბო და წელიწადის ეს დრო ჩემი კომფორტის ზონაა, მეც კი შეწუხებული დავდივარ. ამას ემატება ტელევიზორის ხმა. ბავშვობიდან არ მიყვარს საინფორმაციო გადაცემები. მთელი ბავშვობა ნეგატივს ვისმენდი ამ ყუთიდან და შესაბამისი დამოკიდებულებაც ჩამომიყალიბდა. როცა დედა აფხაზეთიდან დევნილი გყავს, უნდა შეეგუო, რომ, მინიმუმ, საგარეო პოლიტიკა მუდამ აქტუალური იქნება შენს ოჯახში.

დღეს ყველა საინფორმაციო გადაცემა მოლაპარაკებების თემით იწყება. როგორც კი გადავწვინებ, ოთახს გავცლოდი, სიტყვა „აფხაზეთი“ ჩამესმა და ავტომატურად მივბრუნდი ტელევიზორისკენ. საინფორმაციოს წამყვანი აკანკალებული ხმით გვამცნობდა:

„შეხვედრა საქართველოს, რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებს შორის ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. შედეგები ცნობილია: აფხაზეთსა და საქართველოს შორის

მავთულხლართები აღარ იარსებებს. გილოცავთ! აფხაზეთი საქართველოს უბრუნდება“.

წამით გავშეშდი... დედას გავხედე. მას ახლა სიხარულის ცრემლები სდიოდა და ლაპაღუპით. როცა საკუთარ ხელს ვუჩქმიტე და მივხვდი, რომ სიზმარი არ იყო, მეც ამეტირა.

3 ოქტომბერი. 2030 წ.

დღეს დედას წარსულთან შესახვედრად მივყვები. გარეგნულად არაბუნებრივად მშვიდად გამოიყურება, მაგრამ მისი ეს სიმშვიდე ძალიან მაშინებს. დედა სწორედ იმ ჩანთით ბრუნდება უკან, რომლითაც 38 წლის წინ დატოვა აფხაზეთი. მაშინ ამ ჩანთაში თინეიჯერი გოგონას საყვარელი ნივთები ელაგა. ახლა კი წარმოდგენა არ მაქვს, რითი ბრუნდება.

წამდაუნუმ იხედება საათზე და დროს მაინც ჩვენ გვეკითხება. თითქოს ხმაც შეეცვალა და მისი ხელები განწყობას უჩვეულო მოძრაობებით გამოხატავენ. ხელი ძლიერად ჩავჭიდე. ვაგრძნობინე, რომ მის გვერდით ვარ. მისმა დღევანდელმა ფორიაქმა იმაზე მეტი მითხრა, ვიდრე ოც წელიწადზე დიდხანს მესმოდა მისგან.

თავს ისეთ კითხვებს ვუსვამ, რომელიც არასოდეს დამისვამს... მესმის დედის ჩურჩული: „დაკარგვა საშინელება იყო, მაგრამ არც დაბრუნება ყოფილა მარტივი...“

ორ საათში დედა მშობლიურ ეზოში შეაბიჯებს.

16 აპრილი 2031 წ.

აფხაზეთში ვართ. მთელი ოჯახი ჩართულია ეზოს დაგეგმარებაში. მთავარი ადგილი ჩვენს ეზოში ადრინდელივით ყვავილებს უნდა ეჭიროს. დედას ვაკვირდები და ვხვდები, რომ ცდილობს, ისე ჩარგოს ყვავილები, როგორც მის ბავშვობაში იყო.

მთელი დღე ვიშრომეთ, თუმცა რამდენიმე კუთხე ჯერ კიდევ ცარიელია. დედა გარს უვლის ერთ-ერთ ადგილს და დასჩერება. ნერვიულობისგან ცალი წარბი უტოკავს. ვხვდები, რომ რალაცაზე გამუდმებით ფიქრობს. დროდადრო აფხაზი მეზობლის სახლისკენ იხედება, თითქოს შველას იქიდან ელოდებო. როცა საბოლოოდ დაკარგა იმედი და სულის მოსათქმელად იქვე, სახლის კიბეზე ჩამოჯდა, მეზობლის ეზოდან ხმა გაისმა:

– ნანა, ამ ადგილას გვირილები იყო!

დედა ფეხზე წამოფრინდა და დაინახა, როგორ შემოალო ეზოებს შორის არსებული პატარა, დაჟანგული ჭიშკარი მისი ბავშვობის მეგობარმა. ხელში გვირილის ნერგებით სავსე კალათა ეჭირა და ღიმილით მოაბიჯებდა. მარტო გვირილები კი არა, მზეც მოჰქონდა თან.

გვირილები ერთად დარგეს... არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. როცა მორჩნენ, დედამ თვალებით რალაც ანიშნა მეგობარს, სახლის კიბეს აუყვა და იქიდან იმ ნაცნობი ზურგჩანთით დაბრუნდა, კიბეზე ჩამოჯდა და ამოალაგა: შვიდი ცალი ბრტყელი ქვა, დახვეული, გაცვეთილი რეზინი და ორი ცალი ლახტი – წითელი და მწვანე.



მეგობარს ამ ნივთების დანახვაზე ჯერ თვალები გაუფართოვდა, მერე სახეზე სიხარული მოეფინა, მწვანე ლახტს ხელი დასტაცა და თამაში დაიწყო. მას მიბაძა დედამაც.

ეზო პატარა გოგონების ხმებით გაივსო...

მე დათვლა დავიწყე...

– ერთი, ორი, სამი... ოცდათვრამეტი...

მე ოცდახუთის ვარ...

დედა დღეს ჩემზე ორჯერ ახალგაზრდაა.



ფიროსმანის ნახატები, რომელსაც მხატვარი ლუკმა-პურის შოვნისთვის ქმნიდა, სათანადოდ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაფასდა.*

XX ს.-ის მეორე ნახევარში ის ერთ-ერთ დიდ პრიმიტივისტ მხატვრად (სიმარტივით, უბრალოებით გამორჩეული) თავისი ნაიჭური** სტილის გამო აღიარეს. 1972 წელს განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ფიროსმანის პორტრეტი შექმნა XX ს.-ის ერთ-ერთმა ცნობილმა პიროვნებამ, ესპანელმა მხატვარმა პაბლო პიკასომ.



„ფიროსმანი“. პაბლო პიკასო

ძველი ლეგენდის თანახმად, მიხაკი პირველად ამოვიდა ქრისტეს ჯვარცმის ადგილზე, გოლგოთაზე, იქ, სადაც ღვთისმშობლის ცრემლები დაეპკურა.

„შეიძლება, საქართველოში რუსთაველი დაიბადოს, მაგრამ ილიას საქართველო ვერ გაიმეორებს“, – ბრძანა XX ს.-ის ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ალექსანდრე სიგუამ.

XVII ს.-ის ფრანგი მოგზაური ერეკლე მეფის სასახლის სუფრაზე 120-მდე ღვინის სასმელ ჭურჭელს აღწერს. მისი თქმით, ესენია: ყანწები, ბადიები (ქუსლიანი ჯამი), თასები, ჯამები, ფიალები, აზარფეშები (ტარიანი სასმისი), კოჭობა (არყის სასმისი), ხრიკა (იგივე, ორშიმო, ქვევრიდან ღვინის ამოსაღები), კულა ... (კულა ხის ლამაზი სასმისია, დაღვეისას ხმიანობს, „რაკრაკებს“); თამადა სადღეგრძელოებს კულათი მიირთმევდა.

საფურცლო ნვიმას გურიაში უწოდებენ გაზაფხულის ყუყუნა ნვიმას, რომელიც ფოთლების გაშლას აჩქარებს.

ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი ცნობილი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაასრულა 1745 წლის 20 ოქტომბერს, მოსკოვში. ეს ნაშრომი იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში შეიტანა.

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის უფროსი ძმა – ივანე ფალიაშვილი პირველი ქართველი დირიჟორია. მისი არაერთი სპექტაკლის მონაწილე იყო დიდი თედორე შალიაპინი. ივანე ფალიაშვილის დირიჟორობით თბილისში პირველად აულერდა ბეთჰოვენის უკვდავი IX სიმფონიაც.

„100.000 ხიმტზე მეტად მეშინია გაზეთის“, – ეს ნაპოლეონის ცნობილი გამოხატულებაა.

ზოგიერთ ზვიგენს სიცოცხლის განმავლობაში 30.000-მდე კბილი ეზრდება (სამკუთხედის ფორმის, დაკბილული კიდეებით).

არჩილ I, უკვე ასაკოვანი, გამეფდა 430 წელს (4 წელიწადში გარდაიცვალა); ის იყო ვახტანგ გორგასლის პაპა; სახელოვან ქართველ თეოლოგსა და ფილოსოფოსს – პეტრე იბერს კი ბიძად ეკუთვნოდა. სპარსელების ქვეყნიდან განდევნის შემდეგ ღვთისადმი მადლიერების ნიშნად არჩილ I-მა მცხეთაში ააგო სტეფანწმინდის ტაძარი, რომელიც აქ ერთ-ერთი უძველესია. ეკლესიის ხუროთმოძღვარი ყოფილა ბერძენი ავერლიოს აქოლიორი, რომლის სახელი ტაძრის ზღურბლთან დატანებულმა წარწერამ შემოგვინახა.

ამერიკელმა ეთნომუსიკოლოგმა ალან ლომაქსმა საქართველოს „მსოფლიოს მრავალხმიანობის გული“ უწოდა.

იაპონიის ქალაქ მაცუმოტოს ულამაზესი ციხე-კოშკი, გაშენებული ტბის ნაპირას, ქვეყნის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ძეგლია. XVI ს.-ის ეს ნაგებობა პრაქტიკულად ერთადერთია, რომელიც დღემდეა შენარჩუნებული პირვანდელი სახით. შავი კედლებისა და ფრინველის ფრთების გამოსახულების მქონე 5-სართულიანი სახურავის გამო მას „შავი ყვავის ციხესაც“ უწოდებენ. როგორც იაპონიის ყველა პარკში, აქაც ხარობს საკურა, ირგვლივ კი გაშენებულია ქრიზანთემების ბაღი. ქრიზანთემა ხომ იაპონიის ეროვნული ყვავილია, რომელიც გამოსახულია ქვეყნის გერბზეც და ნაციონალურ იარაღზეც.



მაცუმოტოს ციხე-კოშკი

* – ფიროსმანი გარდაიცვალა 1918 წელს.
** – თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედება.



ტაილანდი - «ათასი ღიმილის ქვეყანა»



ასეთი ლამაზი ადგილები ქვეყანაში მრავლადაა

ტაილანდი - ესაა არა მარტო ეზოზოტიკური ადგილი, სადაც მხოლოდ შოპინგები, პლაჟები და ტურიზმი იზიდავს მის სანახავად ჩასულ მოგზაურს, არამედ ესაა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით გათქმული ძველანა ულამაზესი ლანდშაფტით, მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის მენტალიტეტი გაცილებით ღრმად, ვიდრე, ერთი შეხედვით, შეიძლება, მოგეჩვენოს.

ტაილანდელებისთვის ყველაზე წმინდაა მონარქის ოჯახი და ბუდიზმი (ძვ.წ.-ით VI ს.- ში წარმოშობილი რელიგია). ხელშეუხებელია მთავრობაც. სწორედ ხალხი ერთმანეთისაგან ვერ

არჩევს სახელმწიფო და რელიგიურ კანონებს; ამიტომ ორივეს იცავს უმაკაცრესად. ტაილანდში დაუშვებელია უმნიშვნელო შეურაცხყოფილი სიტყვის წარმოთქმა, თუნდაც, სურვილით, მეფის, ბუდისა და ხელისუფლების მიმართ. ამისთვის 15-წლიანი ციხეა.

ტაილანდში გაბეჭდილია საკუთარი ძველის კულტი. რამდენად სცემენ თავიანთ საგმობლოს, იმითაც ჩანს, რომ კინოთეატრებშიც კი ფილმის დაწყებამდე ჰქვია ტაილანდის სახელმწიფო ჰიმნი.

ერთი საინტერესო ფაქტის შესახებაც: ტაილანდში ძალი და მამაკაცი არიან თანასწორნი. ტაილანდელების საზოგადოებაში მათგან მდგომარეობას არ აქვს მნიშვნელობა; უპირატესობა ენიჭება მხოლოდ ადამიანის სტატუსსა და რელიგიურ მრწამსს.

სიამიდან ტაიმდე

სამხრეთ აზიის ცენტრში მდებარე ტაილანდის სამეფო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. მას ესაზღვრება ლაოსი, ბირმა, კამბოჯა და მალაიზია. ქვეყანამ სახელწოდება „ტაილანდი“ მიიღო 1939 წელს. ეს სიტყვა მომდინარეობს ტაის ეთნოსისგან; თავის მხრივ კი, „ტაი“ ნიშნავს „თავისუფალს“.

ქვეყნის ისტორია სათავეს იღებს 1238 წლიდან, როცა სახელმწიფო სუკოტაი დაარსდა. შუა საუკუნეებიდან 1939 წლამდე ქვეყანას ერქვა სიამი, რაც სანსკრიტზე „შეგვრემანს“, „მუქკანიანს“ ნიშნავს (ტაილანდს „სიამი“ ერქვა XX ს.-ის შუა წლებამდე). ქვეყნის დედაქალაქია ბანგკოკი.

ტაილანდის მოსახლეობა, რომელიც შეადგენს 64,5 მლნ. ადამიანს, გამოირჩევა ეთნიკური სიჭრელით. ქვეყანაში 53% არის ტაილანდელი, ხოლო დანარჩენები – ლაოსელები, ჩინელები, მალაიზიელები, ვიეტნამელები, კამბოჯელები და ინდოელები.

ამ ხალხთა კერძების ნაზავია ტაილანდური მრავალფეროვანი სამზარეულო. კერძის შეფასებისას მთავარი კრიტერიუმია სიცხარე. ქვეყანაში ასეთი გამოთქმაც კი არსებობს: „არაა ცხარე – არაა გემრიელი.“ ტაილანდელები საჭმელს უამრავ ნინაკას უმატებენ და მშვიდად იწყებენ ტრაპეზს.

სახელმწიფო ენაა ტაილანდური (თუმცა ელიტა ინგლისურად საუბრობს). უცხოელმა რომ შეისწავლოს ტაილანდური ენა-პრაქტიკულად გამორიცხულია. კოლონიზაციის თავიდან ასაცილებლად ქვეყნის ხელისუფლებამ გაატარა რეფორმა: მაქსიმალურად გაართულა მშობლიური ენა. ამიტომ თანამედროვე სალაპარაკო მეტყველება დაშიფრულია და თუ მოსაუბრემ არ იცის სასაუბრო თემა, იქიდან ის შინაარსს ვერც გამოიტანს.



ინდოეთის ოკეანის სანაპირო

ტაილანდის ძირითადი რელიგიაა ბუდიზმი, შეცვლილი ვერსიით. მისი მთავარი მცნებებია: „არ გშურდეს“, „არ განიკითხო“, „არ შერცხვე“, „არ იძუნო“.

სამედიცინო ტერმინი „სიამის ტყუპები“ სწორედ ამ ქვეყანას უკავშირდება. მეცნიერთათვის ცნობილი პირველი სიამის ტყუპები იყვნენ ტაილანდელები – ჩანგი და ენგი. ისინი ერთმანეთთან მკერდით იყვნენ შეზრდილები.



თავაზიანობა - კულტურის ნაწილი

ჩინეთისა და ინდოეთის გავლენის მიუხედავად, ტაილანდის კულტურა და ისტორია, რომელიც ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე, ძალიან თვითმყოფადი და ინდივიდუალურია.

დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ტაილანდში მიუღებელია მისაღმებისას ხელის ჩამორთმევა. ტაილანდელები ერთმანეთს ესალმებიან მიტყუპებული ხელებით, რომელიც ისე უჭირავთ, თითქოს ლოცულობენო. ამ პოზას ჰქვია „ვაი“. არის მისაღმების 2 სახეობა: ჩვეულებრივი და მაღალი. ჩვეულებრივი მისაღმების დროს ხელები მკერდის გასწვრივ უჭირავთ და შუბლს არათითით სწვებიან, მაღალი მისაღმებისას კი ხელებს მაქსიმალურად სწევნ მალდა. ეს პოზა უმაღლესი მოწინების გამომხატველია.

ტაილანდელებისთვის წმინდაა ადამიანის თავი (მამაკაცი, სისუფთავის მიზნით, უნდა იყოს თავგადაპარსული). არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ვინმე უცხო სუბსტანციას თავზე. ეს ითვლება ტაბუდ, რადგან მიაჩნიათ, რომ თავზე ცხოვრობს სული, რომელიც შეხებით, შეიძლება, მოკვდეს.

ტაილანდელები არიან მშვიდები, განონასწორებულები, სტუმართმოყვარენი და მეგობრულები. ქვეყანაში იშვიათად ნახავთ სევდიან, მონყენილ სახეებს; ამიტომ ტაილანდს უცხოელები უწოდებენ „ათასი ღიმილის ქვეყანას“. ადგილობრივები ერთმანეთს ესაუბრებიან წყნარად, ღიმილიანი სახეებით. დაუშვებელია თანამოსაუბრესთან ხმის ამაღლება. თუ კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, მოსაუბრე ისეთ გამომეტყველებას იღებს, თითქოს არ ესმის, რაზე ესაუბრებიან, იღიმის და მიდის.

გარშემომყოფთა მიმართ თბილი, მეგობრული დამოკიდებულება ტაილანდური კულტურის საფუძველია და არა ტურისტული ბიზნესის ნაწილი. ამ ქვეყანაში მოგზაურობისას ყველამ, ვისაც სურს, ნებისმიერ სიტუაციაში თავი იგრძნოს კომფორტულად, უნდა გაიღიმოს და იყოს თავაზიანი.



მრავალხელიანი ბუდა

მრავალხელიანი ბუდა

ტაილანდის მოსახლეობის 95% ბუდიზმის მიმდევარია; თუმცა არიან ისლამის, ქრისტიანობისა და ინდუიზმის (ინდური რელიგია) მიმდევრებიც. ტაილანდელი ხალხის ცხოვრებაში რელიგია თამაშობს მთავარ როლს. ჩვილობიდან გარდაცვალებამდე ბუდისტური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები თან სდევს ტაილანდელთა ცხოვრებას.

ყოველი მამაკაცი (განსხვავებით ქალებისგან, რომელთაც აქვთ არჩევნის უფლება) ვალდებულია, გახდეს ბუდისტი, 20-30 წლის ასაკში თავი მიუძღვნას ბუდას და განისწავლოს ბუდის უძველესი ცოდნით. მონასტრებში, სადაც საუკუნეების მანძილზე თავს იყრიდა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა, ბავშვობიდან ასწავლიან წერა-კითხვასა და (ლიტერატურა, ძირითადად, მოიცავს რელიგიურ თემატიკას. ამ ნაწარმოებებში აღწერილია ისტორიები ბუდას ცხოვრებიდან) სხვადასხვა სახის ხელობას. აღსანიშნავია, რომ ტაილანდელები იქ არა მხოლოდ ლოცულობენ, არამედ ტაძარი მათთვის, ამავე დროს, არის საავადმყოფო, სკოლა და მოსასვენებელი სავანე.

ტაილანდის არქიტექტურა არის უნიკალური, მასში იკითხება ბუდისტური თემატიკა. სამონასტრო ნაგებობათა შესანიშნავ რელიგიურ წყობას ჰარმონიულად ერწყმის ბუდას ქანდაკებებიც. გამორჩეულია ლაჟვარდოვანი და მწვანე ბუდას ტაძრები, რომელთა არქიტექტურაში გამოყენებულია ხეზე ამოტვიფრის ტექნიკა.

მომლოცველი თუ ტურისტი ტაძარში შესვლისას იხდის ფეხსაცმელს და თავს ხრის თავყანისცემის ნიშნად. დაუშვებელია, პლაჟის სამოსით ტაძარში ყოფნა; ასევე, აკრძალულია, ვინმე ხელით შეეხოს მრავალხელიანი ბუდას ქანდაკებას ან მასზე აძვრეს სურათის გადაღებად.



სულების სახლი

ტაილანდელები რელიგიურობასთან ერთად არიან ძალიან ცრუმორწმუნენი. მათ დღემდე სჯერათ კეთილი და ბოროტი სულების. ავ სულებს კვალი რომ აურიონ, პატარებს საპირისპირო მეტსახელებს არქმევენ; მაგალითად, მსუქანს ეძახიან გამხდარს, შავგვრემანს – ფიფქიას. ასევე, იქცევიან მღვიმეების, ჩანჩქერებისა და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების დასახელებისას. ადგილობრივებს, აგრეთვე, **მიაჩნიათ, რომ კეთილი სული მათ იცავს უბედურებისგან. ამიტომ ტაილანდში ყველგან, ნებისმიერ ქუჩაზე, სოფელსა თუ პლაჟზე ნახავთ ყვავილების გვირგვინებითა და ფერადი ლენტებით მორთულ სულების მინიატურულ სახლებს. სულებისთვის დილით, შესანიშნავის სახით, მიაქვთ პროდუქტები, სალამოს კი, ასუფთავებენ რა იქაურობას, საჭმელს დაუნანებლად ყრიან სანაგვეზე. ჭამა კატეგორიულად მიუღებელია: ხომ შეიძლება, სული ცუდ ხასიათზე იყოს, ეს კი აისახება იმ ადამიანის განწყობაზე, ვინც “სულს დაენვევა“.**

სამაგიეროდ, ბუდა არასდროს არის ცუდ გუნებაზე; ამიტომ მას შემდეგ, რაც ბუდა „დანაყრდება“, მსურველს შეუძლია, მიირთვას მისი ტაბლიდან. ითვლება, რომ ბუდას უყვარს ქათმის კვერცხი. ყველაზე საუკეთესო ძღვნად ითვლება 99 კვერცხი. იგი ტაძარში მიაქვთ მნიშვნელოვანი გარიგებისა ან გამოცდების წინ.



ნაციონალური სამოსი – „ჩუტ-ტაიში“

სულების გარდა, ტაილანდელებს სჯერათ ანგელოზების. მიაჩნიათ, რომ კვირის ყოველ დღეს მფარველობს განსაზღვრული ფერის ანგელოზი. მაგალითად, ორშაბათს – ყვითელი, სამშაბათს – მწვანე და ასე შემდეგ. იმისთვის, რომ ანგელოზმა ისინი შეამჩნიოს და წარმატება მოუტანოს, ადგილობრივები ცდილობენ, ჩაიცვან დღის შესაბამისად. ამიტომ, ტაილანდის ქუჩები ორშაბათს, ყვითელი ანგელოზის პატივსაცემად, ყვითელპერანგიანი ხალხით ივსება. ეს ფერი განსაკუთრებულ პატივშია, რადგან, ამავე დროს, იგი ითვლება მეფის ფერად.

სამეფო აკრძალვების მსხვერპლი

ტაილანდში სამეფო დინასტია ხელშეუხებელია. კონსტიტუციური მონარქიის პირობებში, მართალია, მეფე პრაქტიკულად არ ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ აქვს უფლება, ქვეყნის უსაფრთხოების დარღვევისას დაუყოვნებლივ ჩაერიოს ნებისმიერ საქმეში. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მონარქები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განათლების უმაღლესი დონით. მაგალითად, ერთ-ერთმა მეფემ, რამა მეორემ სიამის ენაზე ათარგმნინა ინდური თხზულება „რამაიანა“.

აკრძალულია, ვინმე ხელით შეეხოს სამეფო ოჯახის წარმომადგენელს. ამ ტრადიციას უკავშირდება ერთი სევდიანი ამბავი: ტაილანდის ახალგაზრდა დედოფალი სუნანდჰა, ტაილანდის მეფე მონგკუტის ასული და მეფე ჩულალონგკორნის 4 ცოლიდან ერთ-ერთი თავის პატარა ქალიშვილთან ერთად საზაფხულო სასახლისკენ მიცურავდა, როცა უეცრად ხომალდი ამობრუნდა.

სამწუხაროდ, დედოფალმა ცურვა არ იცოდა, ის ყვიროდა, დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ვერავინ ბედავდა, მას მიშველებოდა. კანონის თანახმად, დაუშვებელი იყო, მეფის ოჯახის წევრს ვინმე ხელით შეხებოდა. დედოფალი, შვილთან ერთად, ყველას თვალწინ დაიღუპა.

მაშინ გულმოკლულმა მეფე ჩულალონგკორნმა გამოსცა კანონი, რომელიც აუქმებდა მსგავს აკრძალვებს.



ო, ეს ტრადიციები!..

ტაილანდელის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახლს, რომლის კარები ყოველთვის უყურებს აღმოსავლეთს; ძილის დროსაც კი თავი ისე უნდა ედოს, პირდაპირ ჩანდეს აღმოსავლეთი, საიდანაც ამოდის მზე.

ტაილანდელის ოჯახში უფროსად ითვლება ყველა ზრდასრული. ოჯახური ტრადიციები მათ ეხმარება, ერთმანეთთან შეაკავშირონ ოჯახის წევრები. უდიდეს პატივს სცემენ მშობლებს.


ტაილანდი პლანეტაზე ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გოგოს დაბადება უფრო უხარიათ, ვიდრე ბიჭის. საქმე ისაა, რომ ტაილანდელი მამაკაცები, უმეტესწილად, ზარმაცები, ხოლო გოგონები ფუტკრებივით შრომისმოყვარენი არიან.

ქორწინებისას სიძე გოგოს მშობლებს უხდის გარკვეულ თანხას (ურვადს) იმის მიხედვით, როგორია საპატარძლო. ლამაზი ქალიშვილი კარგი განათლებით ძვირად ფასობს. მშობლებს მიაჩნიათ, რომ ასეთ გოგონებთან არაფერი ესაქმებათ ღარიბ სასიძოებს.

ტაილანდში, რატომღაც, მამაკაცებს აფასებენ ღიპებით (მსუქნებს სასაცილო სახელით, „პამპუით“ მოიხსენიებენ); ღიპიანები, ვითომდა დიდ პატივში მყოფნი, უთქმელად ითვლებიან საშურ სასიძოებად.

სამეფოში ჯერ კიდევ შემორჩენილია მრავალცოლიანობა. მას შემდეგ, რაც გამოიმუშავეს სამი ცოლის შესაძენ თანხას, მამაკაცი ნყვეტს მუშაობას და ოჯახის მთელ სიმძიმეს აკისრებს ქალებს.

ნებისმიერ ტაილანდელს აქვს 2 სახელი: გრძელი, ოფიციალური და მოკლე, საშინაო, მეგობრებისა და ახლობლებისთვის. მას შეუძლია, ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალოს სახელი; ბიუროკრატიული თვალსაზრისით ეს მარტივი პროცედურაა. თუ ვინმე უკმაყოფილოა თავისი ცხოვრებით და სურს, ყველაფერი დაიწყოს სუფთა ფურცლიდან, ამ ადამიანის გადაწყვეტილებას ყველა პატივს სცემს.



ჩაი-ვატანარამის ტაძარი

აღმოსავლეთის ვენეცია

ტაილანდის დედაქალაქი ბანგკოკი დღეს ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქია მსოფლიოში. იგი დაარსდა 1782 წელს, უძველეს ქალაქ აიუტაის ნანგრევებზე (აიუტაი - ყოფილი დედაქალაქი, დაანგრეს პირმალაქა). ბანგკოკი - ესაა იდეალური ადგილი ტაილანდის არქიტექტურის განაცნობად. ქალაქი მთლიანად გაშენებულია სიქვალზე და, ამავე დროს, გადასხებულია თანამედროვე მოედრებით. ამ წარმატებით ერწყმის ერთმანეთს უძველესი ტრადიციები და ტექნიკური პროგრესი - თანამედროვე ცენტრები და ოფისები ორიგინალურად გააერთიანება ბუდისტური ტაძრებისა და ისტორიული ძეგლების გვერდით.

ბანგკოკის ისტორიული სახელწოდება შედგება 37 სიტყვისგან - შესულია გინესის რეკორდების წიგნში. ტაილანდელ ბავშვებს დაწყებით კლასებში აუპირებინებენ დედაქალაქის სრულ სახელს, თუმცა სკოლის დამთავრებამდე ყველას ავიწყდება იგი.

ბანგკოკი იწყება ქვეყნის ყველაზე დიდი მდინარის - ჩაო-პრასის შესართავიდან და ფართოდ იშლება მდინარეებითა და ნაპირული დარბაზით დაბოლოება; ამიტომ მას სიყვარულით უწოდებენ "აღმოსავლეთის ვენეციას".

ბანგკოკი მიზიდვლია მოგზაურებისთვის. ცნობილ ტაილანდურ სამოსში "ჩუტ-ტაიში" (სიტყვა-სიტყვით "ტაილანდური მორთულობა") გამოდგომილი ადგილობრივი (მას ატარებს უკლებლივ ყველა) ერთგვარი ეგზოტიკა ტურისტებისთვის. ბანგკოკში მნახველს ხიზავს პიკნატი-რიტუალური, არაჩვეულებრივად ლამაზი დრამების ცეკვა, ლოი კრატანგას მშვენიერი დღესასწაულიც, რომლის დროს მდინარეში უშვებენ ათეულობით სათელავით მოციმციმი პატარა ნავებს, ხოლო ტუკ-ტუკით, კრავიანი რიქით გასაძირება ერთი სიამოვნებაა ნებისმიერი უცხოელისთვის.

ტაილანდის კულტურაზე კლიერი გავლენა იქონია ჩინეთმა და ინდოეთმა. იგი სახსრით-აღმოსავლეთ აზიის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც არ ყოფილა კოლონიზებული. ამის მიზეზი იყო იმპერიების სურვილი, ტაილანდი დარჩენილიყო ბუფერად* დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ოპონირებულ ტერიტორიებს შორის.



ტაილანდის დედაქალაქი - ბანგკოკი

* - პატარა სახელმწიფო, მოქცეული ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ორ სახელმწიფოს შორის.



ქაზოღუჭი ქუჩის ცხოვრუჭიდან

1781 წელს სტამბულიდან ერეკლე II-ემ მოაყვანინა ორი სომეხი მესტამბე, გვარად – ტერ-ოჰანეზოვები. 1782 წელს მეფემ განაახლა ქართული სტამბა, რაც მას დაუჯდა 30.000 მანეთი. „ამ სტამბაში გამოსცეს პირველად 1788 წელს ქართულ ენაზედ გაზეთის მსგავსი ფურცელი: შიგ მოთხრობილია ერეკლე მეფის ქება. ასე და ამგვარად, ქართული გაზეთის გამოცემის პირველ ფურცლად ეს გამოცემა უნდა ჩაითვალოს და არა 1817 წელს გამოცემული“, – წერს ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი, გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე.

მეფე ერეკლეს მეომრები ლაშქარში თურმე უცოლშვილოდ უბერდებოდნენ. მშვიდობიანობისას მებრძოლნი მარტო გამირობაზე ოცნებობდნენ. ერეკლეს ბევრი უფიქრია და ბოლოს, 25 ჯველი სოფელ-სოფელ გადაუნანილება გოგონების მოსატაცებლად; ალგეთის ხეობამდეც გასულან და თუ სადმე ყოფილან 14-15 წლის ყმანვილი გოგონები, ერეკლეს მოლაშქრეთათვის ჩამოულაღნია*.



თბილისის აღება ალა მაჰმად ხანის მიერ. სპარსული მინიატურა. ბრიტანული მუზეუმი

ფშავ-ხევსურული გადმოცემა გვაუწყებს ხევსური ვაჟკაცის, ძალლიკა ხიმიკაურის საგმირო ეპიზოდებს ბრძოლის ველზე და, განსაკუთრებით, ასპინძის ომში; და იმასაც, როგორ ჩამოართვა ერეკლემ ხმალი, რომელიც მეტად მოსწონებია. დიდი ვაჟას მიერ ჩანერილ ტექსტში ვკითხულობთ:

– „ერეკლე ომის დროს რას ეტყოდა, მაგრამ ომის მერე დაუბარებია ძალლიკა თავისთან და უთხოვია, შენი ხმალი დამითმე; ფარი კი, რამდენიც გინდა, მიიღეო.

– ბარევალ, ე, ხელნ მომჭერ, ერეკლე! – უპასუხნია ძალლიკას.

– აი, ჩემ ხმალს მოგცემ! – უთქვამს ერეკლეს, – სართი** კი სხვა იქნება!

– ვაი, დედასა მტრისას, ერეკლე ბატონიშვილო, ეგ ხომ ჩემ მოკვლა იქნების?!. მომკალ კიდეც, რაკი ხმალ გამამართომ!

საქმე იქამდე მივიდა, რომ ძალლიკამ დაუთმო მეფეს და მის ნაცვლად მიიღო სხვა ხმალი და ერთი თოფიც, ოქროსზარნიშიანი.“

ერთხელაც, მორიგი ბრძოლის წინ, ერეკლე მეფეს ხიმიკაური უკითხავს. თან, ჩვეულებისამებრ, მოლაშქრეთათვის იარაღი გაუსინჯავს. მეომრებს ამოუნევიათ ქარქაშიდან სატევრები. ყველა გაუოცებია ძალლიკას საქციელს: ომში კი წამოსულა, მაგრამ ხის ხმლით.

ერეკლე ძალზე გამხიარულებულა და უბრძანებია, ხევსურისთვის მისი ხმალი დაებრუნებინათ.

ამბობენ, ამის შემდეგ, როცა ერეკლე ომის დროს ლაშქარს დაიბარებდა მთიდან, პირველად ხიმიკაურს მოიკითხავდა, მაგრამ ის ავადმყოფობას იმიზეზებდა და არ მოდიოდაო.

მეფე ერეკლეს თავისი ამალით ჩამოუვლია. დაუნახავს, ერთი ბერიკაცი ზის და ტირის.

– რა გატირებს, მოხუცო? – უკითხავს ერეკლეს.

– რალა რა მატირებს, მეფეო, აი, იმ ხის ძირას წავუძინე და ცხენი მომპარეს!

– მერე, შე, კაი კაცო, სადა თქმულა კარგი ცხენის პატრონის ღრმა ძილი?! – გაბრაზებულა მეფე.

– მე მეგონა, მეფეო, შენ იყავი ფხიზლად და გულის ძილით იმიტომაც დავიძინე! – არ დაბნეულა ბერიკაცი.

ერეკლეს გასცინებია და გონივრული პასუხისთვის გლეხი კარგი ბედაურითაც დაუსაჩუქრებია.

* – ჩამოლაღვა – ანუ ჩამორეკვა; ე.ი. ჩამოყვანიათ.

** – დასამატებელი, გასაცვლელი.



ერთ მოხუცებულ თუმს, გვარად ბობლიაშვილს, თავისი თორმეტივე ძე ერეკლეს ლაშქარში გაუგზავნია. 11 ძმა ომში დაღუპულა; ნაბოლარალა გადარჩენილა. შინ რომ დაბრუნებულა, მამას უბრძანებია, უკანვე წადი და ძმებივით შენც თავი ისახელო. ის მართლაც, წასულა და ბრძოლაში დაღუპულა. უშვილძიროდ დარჩენილ ბობლიაშვილს უთქვამს, ერთხელაც უნდა ვიქორწინო, იქნებ, სამშობლოს კიდევ შევმატო გმირებო. წადილი აუსრულებია და ორი ვაჟკაციც გაუზრდია ქვეყნისთვის.



„ბატონის ციხე“. ძველი თელავი

თავადი გიორგი გურამიშვილი,

მეტსახელად, ქუმელა ერეკლე II-ის ნათლული და მეზარბაზნეთა მეთაური იყო.

„ღმერთო, ოლონდ მეფე მშვიდობიანად გაიყვანე ამ ჯოჯოხეთიდან და მე, თუნდაც, მამულის ჭირის სანაცვლოდ ვიყო!“ – ეს სიტყვები წარმოუთქვამს გიორგი გურამიშვილს ბრძოლის დაწყებამდე. ის მართლაც გმირულად დაცემულა 1795 წელს, კრწანისის ველზე.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ სომეხმა კათალიკოსმა ლუკამ საქართველოს ასაოხრებლად და სამხედრო ხარჯების დასაფარავად ალა-მაჰმად-ხანს 100.000 მანეთი გადაუხადა. ამბობენ, სპარსელებს საქართველოში მეგზურად იაკობ ბებუთოვი მიუძღოდაო.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ოსმალეთის ელჩი ეწვია მეფეს. საკმაოდ დაუძღურებული ერეკლე ლოგინიდან ამდგარა, საუკეთესო ტანსაცმლით შემოსილა და უბრძანებია:

– ჩვეულებისამებრ, ჩემის დიდებით უნდა მივიღო ოსმალოს ელჩი; ჩემი დასწეულება თუ შეიტყვეს, მტერი გაგვიძლიერდება და ალა-მაჰმად-ხანმა რაც გვიყო, იმაზე უარესი მოუვა საქართველოს. თუ ეს შესაძლებელი იქნება, ჩემს სიკვდილს კარგა ხანი ნუ გამოაცხადებთ, ვიდრე საქართველოს საქმეს, როგორც მე ანდერძი მითქვამს, ისე არ დააწყობთ!“

მეფე ერეკლეს ოსმალეთის ელჩი, მართლაც, დიდი პატივით მიუღია და კარგა ხანს უსაუბრიათ კიდევ.

1797 წლის ბოლოს ერეკლე მეფის

ჯანმრთელობა გაუარესდა – დაუნწყულდა ძველი ჭრილობები და გულის უკმარისობის გამო შეუშუპდა ფეხები. ექიმმა ურჩია, ქათმის ნახარში უნდა მიირთვათო.

ჯერ გაოცებულა, მერე გაბრაზებულა კიდევ:

– შე, ვერანავ, ახლა მარხვაა და მე რომ ქათამი ვჭამო, ჩემს ლაშქარს, ჩემს ქვეყანას რა მაგალითს ვუჩვენებ!

1798 წლის იანვარში, გამთენიისას, თელავის სამეფო სასახლეში, ერეკლე მეფე იმავე ოთახში გარდაიცვალა, სადაც 78 წლის წინათ დაიბადა.



ოთახი, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე მეფე

მეფე ერეკლეს თოფი, რომელიც კახეთის თავადაზნაურებს უყიდიათ 2.000 მანეთად შამილზე გამარჯვების ნიშნად, უჩუქნიათ ალექსანდრე ბარიატინსკისთვის. მოგვიანებით რუს გენერალსა და მეფისნაცვალს კავკასიაში (1856-1862 წ.წ.), ის საქართველოში დაუბრუნებია, – წერს გაზეთი „დროება“ 1884 წელს.



წურნალის ამ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ თანამედროვე ახალგაზრდა ამერიკელი ავტორის (ძვეყნდება ფსევდონიმით)* ნოველას "სტვენა ორი თითით" (მოთხრობა "მილიონიანი ნაბავის" ერთ-ერთი თავი). იგი ექსკლუზიურად "იალქანისთვის" თარგმნა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და მწერალმა, ამაჟამად ამერიკაში მცხოვრებმა და იმ მოღვაწე ნინო დარბაისელმა.

ნოველაში აღწერილია პირველი თაობის ემიგრანტის, ოლივიას ამერიკული ყოფა, ამერიკელი ახალგაზრდების ცხოვრება. ისინი, მართალია, სწორედ სწავლით,** თუმცა გულწრფელად საუბრობენ; თანაც, ეს ბასაგაბია მხოლოდ ამერიკელთათვის (ისე, ნოველაში არაფერია უხამსი).

ნაწარმოებში ოსტატურად ერწყმის ერთმანეთს ედგარ პოსა და ოსკარ უაილდის მისტიკურ-ფანტასტიკური პლანი და ოქტავიუს მიულერის მოულოდნელობის ეფექტი (ამერიკულ "ჰეფი" თუ "ანჰეფი" ენდს "იალქანს" მკითხველი იხილავს მომდევნო ნომერში - №47).

აღსანიშნავია ნინო დარბაისელის პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით შესრულებული თარგმანი, რითაც ყოველთვის გამოირჩევა ეს შემოქმედი.

სტვენა ორი თითით

ნინო სტრონი

ინგლისურიდან თარგმნა ნინო დარბაისელმა

წუხელ მთელი ღამე არ მძინებია. არა იმიტომ, რომ ჩემი სანოლის გარეშე ვერ ვიძინებ.

საკუთარ სანოლში, აი, რასაც საკუთარი ჰქვია, თითქმის სამი წელი არ ვწოლილვარ და ის სანოლიც, რაღა დაგიმალოთ და, ჩემს ქვეყანაში როცა ვიზრდებოდი, ამერიკულად, ჩემს ოთახში კი არა, ჩვენებურად, – დედ-მამის საძინებლის კუთხეში მედგა და ბოლოს ისე დამიპატარავდა, რომ ვიძინებდი, ნიკელისგისოსებიანი ბოლოდან ტერფები უკვე გარეთ მქონდა გამოყოფილი. მას შემდეგაც, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავი, მუდამ ვგრძნობდი, რომ შინ ვიყავი, რადგან ვიცოდი, დედაჩემი ან ფეხებში იყო შემონოლილი და თვლემდა, ან იქვე ედგა ცალკე სანოლი და დავიძახებდი თუ არა „დე!“ – იმწუთას გამაგონებდა, „აქა ვარ!“.

რომ მივედით, უკვე ნაჭამები ვიყავით; ცოტა ხანს ვუყურეთ ტელევიზორს და მერე ცალკე სტუმრის ოთახში შემიყვანეს, შიგ ძვირფასი დარიჩინ-ვაშლიანი სურნელოვანი სანთლისა და ოდნავი, სულ ოდნავი სიძველისა და შმორის სუნი იდგა. ყნოსვა მუდამ გამძაფრებული მაქვს, ჩემი ყოფილი, იქნებ მუდმივი ავადმყოფობის გამო და ალერგიული ცემინება დამეწყო.

ირგვლივ ყველაფერი დედოფლის აპარტამენტივითაა: აბაზანაში – ქათქათა პირსახოცები ოქროსფერი გერბებით, გაუხსნელი ღამის პიჟამოები – სამი ფერისა, ყველა ზომაზე რომ მიდის, (ნაცრისფერი ავირჩიე, ვარდისფერი ყვავილებით), ათასნაირი გაუხსნელი შამპუნი და კონდიციონერი.

ხელსაბანთან, გაუხსნელი ჯაგრისებიდან ერთი, ტარმოლუნული გავხსენი. მერე კბილის პასტებს სათითაოდ, თითით გემოებიც გავუსინჯე და ამოვირჩიე ვარდისფერი, კენკრის გემოთი. კბილების ხეხვა დავინყე თუ არა, ცოტა მეუცნაურა, რომ მორჩილად არ სრიალებდა ზედაპირზე. რაღაც წამებში, ერთმანეთს რომ დავაჭირე ყბები, დამეწება და ველარც პირი გავხსენი; შემეშინდა, მერე დავწყნარდი და მგონი, მთელი საათი მოვანდომე ნაწილ-ნაწილ, თანდათანობით ძლივს მოვიშორე!

მერე წავიკითხე ტუბზე, რომ პროტეზის დასაწებებელი პასტა ყოფილა.

რა საშიში და ცარიელია ყველაფერი, მთელი სამყარო, სასახლეშიც რომ სუფევდეს, თუ დაიძახებ „დე!“-ს და ვერ გაიგონებ პასუხს „აქა ვარ!“.



* – საავტორო უფლება დაცულია.

** – არასტანდარტული, არაფორმალური მეტყველება.



ეს – ჩემი პირველი თავისუფალი დღეებია... ანუ დრო, როცა არა მხოლოდ მისგან შორს ვარ, არამედ პრობლემების წინაშეც მარტო აღმოვჩნდი და მივიღე პირველი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგზეც თვითონ უნდა ვაგო პასუხი. თოთხმეტი წლის ვარ და ჩემმა ფსიქოლოგმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ მე სოციალიზაციის სირთულის წინაშე ვდგავარ და უკვე მეორედ ურჩია დედაჩემს, რომ მეტი თავისუფლება მოეცა.

* * *

– შენს ბოიფრენდს რა ჰქვია!

ეს არის პირველი კითხვა, რასაც „ჰაი“-ს მერე გეკითხებიან ჩემი ტოლები და ემა-კეიტი რა გამონაკლისი იქნებოდა?!

– არაფერი, უკვე დავშორდი... – ეს თავდაცვითი ტყუილი საიდან მომაფიქრდა უცებ, აზრზე არა ვარ. ვიგრძენი, როგორ წამომახურა.

– ძალიან კარგი, ჩვენს „ჰაისქულში“ კარგი ბიჭები არიან! – გამიცინა და სხვა რალაც დავიჭირე მის გამომხედვაში; საამისოდ როგორ უცებ ამწონა.

ემა ჩემზე რამდენიმე თვით დიდია. მე და დედა საცხოვრებლად გადავედით მის ეზოში მდგარ... პატარაო, თვითონ უწოდებენ, თორემ ორსართულიანი სახლია, შიგ – მეორე სართულზე ორი საძინებლით, ერთი აბაზანით, პირველზე – ოფისით, კიდევ აბაზანით და დიდი სამზარეულო-სასადილოთი. თვითონ იმხელა სახლში ცხოვრობენ, კვირაში ერთხელ მტვერსასრუტით შემოვლასა და მტვერების გადანმენდას სრული ხუთი საათი სჭირდება.

ემას გრძელი, ჭრელი თმა აქვს, გარედან ქერაა, შიგნიდან – მუქი, სულ შიგნიდან – შავი. ამას „ჰაილაითი“ ჰქვია და ძვირია. თმას ყოველ დილით ისწორებს ცხელი უთო-ფენით, თორემ ხვეული აქვს. აქ ყველა ასე იქცევა. მე მეუბნება, – რა კარგი თმა გაქვს, ბუნებრივად მთლად შავი, სწორი და პრიალაო. გახსნილი ადამიანია, ჯერ რალაცას იტყვის, მერე ფიქრობს და დარდობს. სულაც არ არის ძნელი მასთან ურთიერთობა, მაგრამ მუდამ პრობლემები ექმნება.

ამას წინათ ერთ ჩვენს კლასელ მეგობარზე მეუბნება, რა უცნაური ადამიანია, ამ ერთი თვის წინათ ბოიფრენდმა პირადადაც კი არ უთხრა, ტექსტად მისწერა, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდაო. ყველანი როგორ განვიცდიდით, ვართობდით, რომ ადვილად გადაეტანაო; პირადად მე „ბასკინ რობინშიც“ კი წავიყვანე ნაყინზე და გუშინ, უკვე ერთი თვის მერე ამბობს, მორჩა, ეგ ბიჭი აღარ მაინტერესებსო! გამიხარდა, რა კარგია, ესე იგი, უკვე თავისუფალია და შემიძლია, ჩემი ბოიფრენდი იყოს-მეთქი, ვუთხარი და გახარების ნაცვლად ეწყინა და გამებუტა.

ისე, მე საიდან უნდა მყოლოდა ბოიფრენდი აქამდე!

ჩემი თანდაყოლილი ციანოზური გულის მანკის გამო, თავიდანვე ვერც დავრბოდი ამხანაგებთან ერთად, ოდნავ მძიმე ნივთის ტარებაც მეკრძალებოდა. სკოლაში ჩემი ჩანთა დედაჩემს მიჰქონდა. მერე ამერიკელების საქველმოქმედო სამედიცინო პროექტში მოვხვდი; თითქმის თორმეტი წლის ვიყავი, ჯექსონში, „ბრედლი ქაუნთ ჰოსპიტალში“ უფასო ოპერაციისთვის რომ ჩამომიყვანეს.

ორი ოპერაცია დამჭირდა, სარქველის პროტეზირება და მერე გულის კუნთის კორექცია, მერე რეაბილიტაცია. ორი წელი დედასთან ერთად ჰოსპიტლიდან კლინიკაში და, პირიქით, ვმოგზაურობდი. გასართობი რა მქონდა? ლეგოები, ფაზლები და წიგნები, წიგნები, წიგნები... ძირითადად, მედპერსონალს მოჰქონდა საჩუქრად. მათემატიკასა და ფიზიკის ამოცანების კრებულები – ბევრი მქონდა და მიყვარდა. იგივე ფაზლები იყო ჩემთვის, და კიდევ უკეთესიც, რადგან ფაზლსა და ლეგოს – გაშლილი ადგილი და დიდხანს ერთ მდგომარეობაში ჯდომა სჭირდება, იმ წიგნებს კი რვეულებიანად და ლეპტოპიანად საწოლშიც დაიტევ. ხანდახან ჩემი საწოლი ისე ივსებოდა ამ ყველაფრით, რომ წვეთოვანის დაყენებისას ისინი ძირს ცვიოდა და ექთნები ცდილობდნენ, წამოეკრიფათ და ისევ ისე დაეწყოთ, როგორც მქონდა.





კლასები გავიარე, ტესტები კარგად ჩავაბარე და „ჰაისკულში“ მოვხვდი. ემასთან ერთად ვარ და ის იქ ბულინგისგან მიფარავს, ჩემს ჩაცმულობასა და იერზეც პირველი დღიდანვე ძალიან ზრუნავს; თუმცა თვითონ რაღაც მესაკუთრულ დამოკიდებულებას ვამჩნევ ჩემდამი. ყველაფერი არ მომწონს, რა ტანსაცმელსაც მჩუქნის; მაგალითად, ეს ახალი სტილის, დაგლეჯილი ჭიპსაშორებული ჯინსები, „მომზ სთაილი“ რომ ჰქვია, მაგრამ რომ გავახარო, ვიცვამ. ისე, იმას ნამდვილად მიორჩევნია, აქამდე ჭიპსქვემოთა სტილი რომ იყო და გახვრეტილ ჭიპზე ათასნაირი „ბელი რინგები“ რომ უნდა გკეთებოდა.

ახლა ფრანკლინის უზარმაზარ, ხალხით გადაჭედილ მოლში ვიმყოფებით. დილით შინ ყველამ უცებ ჩვენ-ჩვენი მოსაწონი რძიანი სასმელი მოვიმზადეთ; უფროსებმა აპარატიდან ყავა ჩამოისხეს, ვისაც როგორი უნდოდა და მოლში წამოვედით საშობაო შოპინგზე. უფროსებმა გადანყვიტეს, მოლის კაფეტერიაში ერთად ვჭამოთ ლანჩი და მერე დავბრუნდეთ ჯექსონში მის დებორა და მე.

მის დებორა ემას დედაა. თითქმის წელიწადია, ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ აქამდე მასთან დაახლოებული არ ვყოფილვარ. რაღაცნაირი, ცივი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ისიც კი მეჩვენებოდა, რომ რობოტივით ლაპარაკობდა. იურისტია, უფრო სწორად, ასისტენტი და დედაჩემთან ერთად მუშაობს. ეს მისი სახლია, სადაც ახლა, მისი შემოთავაზების წყალობით, ვცხოვრობთ; კარგად გვექცევა, მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, ძნელი სათქმელია.

მადლიერების დღისთვის სიეტლიდან მისი დედა და ჩამოვიდნენ, ერიკთან – თითქმის ორი წლის ბიჭთან ერთად. აეროპორტშივე მანქანა დაიქირავეს. მას მერე კვირამდე დარჩნენ, გუშინ კი დაგვემეს, რომ ნეშვილის აეროპორტში გამგზავრებამდე ჯერ ფრანკლინის ბრძოლის ადგილებს, კარნ ტონის პლანტაციებსა და სასაფლაოს, ლოტზისა და კარტერის სახლებს დაათვალიერებდნენ.

რატომ ვართ მარტო მე და მის დებორა?! სად არიან ემა ან დედაჩემი?!

ო, ეს მთელი ისტორიაა!

ამ გაზაფხულზე, როცა შეტყობინება მიიღო მის დებორამ, რომ სიეტლში მამამისი გარდაიცვალა და ნასვლა გადანყვიტა, ემამ გაყოლაზე თავიდანვე მტკიცე უარი თქვა: იქ რა მინდა, ვინ არიან ის ადამიანები ჩემთვის, ვინც არასოდეს მინახავს! არც ჩემი დაბადება გახარებიათ, თოთხმეტ წლამდე არც დაბადების დღე მოულოცავთ ოდესმე, არც უუკითხივართ და უცებ ჩავიდეო? მაგათ ისევ ჩვენი მეზობელი მის რებეკა მიორჩევნია, რომელსაც ჩემთვის დღესასწაულის მოლოცვა და რაიმე საჩუქრის ბარათი მაინც არ ავიწყდება არასდროსო.

მოკლედ, მის დებორა მარტო წავიდა და რომ დაბრუნდა, იმ საღამოს თავისი აიპედი გახსნა და სურათები დაგვათვალიერებინა: დედასთან, დასთან და თვითონ – ხელში სარძევეკბილებიან, გაცინებულ პატარა დისშვილთან ერთად; ყველანი ერთად – ბელვიუს ბოტანიკური ბაღის მოხუც თანამშრომლებთან, რომელთან ერთადაც მამამისმა მთელი ცხოვრება იმუშავა მთავარ ბოტანიკოს-მებალედ; დაკრძალვის მომენტიც, როცა საფლავის წინ დადგმულ სკამებზე ერთად სხედან ახლო ნათესავები და სიტყვით გამომსვლელებს უსმენენ. თან გვითხრა, შემპირდნენ, მადლიერების დღისთვის ჩამოვალთო.





როგორც თქვა, მამამისმა მთელი ცხოვრება ვერ აპატია, რომ არავის არაფერი ჰკითხა, არავინ არაფრად ჩათვალა. როცა სამართლის სკოლის წარმატებული სტუდენტი, ყველას მისაბაძი, რაღაც უაზრო ფართიზე, ალკოჰოლური თრობის დროს, ახალგაგნობილი ახალგაზრდა სამხედროსგან დაფეხმძიმდა, სწავლა მიატოვა და სადღაც, გადაკარგულ ნეშვილში გამოემგზავრა, თანაც სად? სადაც ბავშვის მამაც კი არ ელოდებოდა. ის გვიან, ორი კვირით ჩამოსულა სამხედრო შვებულებით, ხელი უთხოვია, რაღაც, პატარათვლიანი ბეჭედი უჩუქნია, წასულა და აღარც დაბრუნებულა ცოცხალი; ხოლო მის დებორა ამის მერეც არ დაკავშირებია თავისიანებს, რომ ბოდიში მოეხადა და დახმარება ეთხოვა. დედამისს მამის პანაშვიდისას უთქვამს, ჩვენ კი აგვიკრძალა თქვენი ხსენება, მაგრამ სინამდვილეში შენზე დარდს ვერ გაუძლოო. ვიდრე საშიშად მიიჩნევდნენ ბავშვების ფოტოების თავისუფლად დადებას ფეისბუქზე და ამის გამო გვერდს პრივატულად* დახურავდი, ერთხელ მამაშენს ლეპტოპი ღია დარჩა და ვნახე, თქვენს სურათებს რომ ათვალეებოდაო. მის დებორას დას რაც შეეხება, სიბერეში გაჩენილი, თორმეტი წლით პატარა ყოფილა და ეს ყველაფერი იმ ასაკში დაემთხვა, როცა დაწყებით სკოლაში სწავლობდა, ანუ ჯერ უფროსების თვალთ უყურებდა ყველაფერს. რომ გაიზარდა, მერე მაინც რატომ არ სცადა საკუთარ დასთან კომუნიკაცია, მაგდენი აღარ ვიცი.

უნდა ითქვას, რომ ემა ცუდად არ ექცეოდა სტუმრებს, აღზრდა არ აძლევდა ნებას. მათი ჩამოტანილი საჩუქრებიდან კი არაფერი მოერგო არც ზომით, არც სტილით. პირდაპირ პარკში ჩააწყო და მე მომცა, თუმცა ვერც მე შევარჩიე ვერაფერი, ერთი ჟაკეტის გარდა და საშობაოდ ნათესავებისთვის გასაგზავნად შევიწახე. მათ დიდი არჩევანი არა აქვთ და ყველანაირი საჩუქარი უხარიათ.



წამოსვლისას ემამ, მე არ გამოგყვებით გასაცილებლად, ჩემი გეგმები მაქვსო, თავაზიანად, ჰაგით, ანუ სამხრეთული ჩახუტებით დაემშვიდობა ყველას. დედებმა გადანყვიტეს (როგორც ფსიქოლოგმა გვიჩაია), სკოლის გარდაც დედის გარეშე წავსულიყავი სადმე და სოციალიზაციაც მეცადა; ეს სწორედაც კარგი შანსი იყო ჩემთვის. თანაც დედაჩემი სამუშაოზე იყო წასასვლელი.

ორი მანქანით გამოვემგზავრეთ. იმათი – უამრავი ბარგით იყო სავსე, რადგან პატარა ბავშვით მოგზაურობას არა მხოლოდ ქარსითი – სამანქანო, უსაფრთხო, დასაბმელი სკამი, არამედ სხვადასხვანაირი სტროლერი** და მონყობილობაც სჭირდება.

მე მუზეუმებში პრაქტიკულად, ვერც შევედი, გარეთ პატარა ერიკს ვასეირნებდი და ვართობდი. კი მაინტერესებდა, მაგრამ თავი დავიმშვიდე, რომ უზარმაზარი ბესტსელერი, რობერტ ჰიკსის ნოველა „სამხრეთის ქვრივი“ კარგად წაკითხული მქონდა და წარმოსახვაში ისე ჩამებეჭდა ყოველი მომენტი, მთელი ბატალიებითა და ინტერიერ-ექსტერიერებით, როცა მომინდებოდა, შემეძლო, მეხსიერების ეკრანზე ფილმივით ახლიდან დამეტრიალებინა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში. „იალქანი“ №47)

* – კერძო (საკუთარი სურვილით).

** – საბავშვო ეტლი.



“ყველას ერთი ქერაზი მაინც ჰყავს ცხოვრებაში. ამ სტრიქონების ავტორის ქერაზი იყო, არის და მუდამ იქნება ბრიგორ ფილიმონის ქა ნაჩეთელი.

როგელი ეპითეთი ვიხაროთ მის მიხაროთ?

ღმერთს ეპითეთი არ აქვს”, – ამოვიპიეთხეთ აქაპი განაჩილიას ნიგნში “ჩანაწერაპი”.

საზოგადოებაგაც კარგად იცის და ამ ნიგნის წინასწიყვაროგაპიციასა მითითებუღი, რომ მწერალგა და ჟიგმარითად ევროპუღი რანგის მცნიერგა აქაპი განაჩილიამ ცხოვრეპის რთუღი გზა ზოლომდე დიდი სიგარეთლით განვლო.

ამითომაც, ავტორითატუღი ზემოქმედის ასეთგა თაგაგმა ზეფასეგაგა გადგგგგგგგგგგგგ, “უეპითეთო” პიროვნეპის ზიოგრაფიას “იალქნის” მკითხველიც გაცნოგოდა. ივანე ჯავახიშვიღი ამ სხელოვნან, საგჟოთა რეპრესიეპს ზენიღულ აღამიანს უნივერსითების მგვენეგას უწოდებდა და მასვე მიუბღვნა ყველა ქართველისთვის ასე საწუკვარი “ქართვეღი ერის ისტორიის” 12-ტომეუღიდან მეოთხე.

მით უფრო, რომ ბრიგოღ ნაჩეთლის დაგადგვიდან 150 წელი ზისწულდა.

პუბლიკაციე მოგვანოდა თსუ-ს ფილოლოგიის დოქტორგა – თეა დულარიქე.*

გრიგოღ წერეთელი

თეა დულარიქე

ბლალოჩინი ბრიგოღი და მისი ზთამოგავლეპი

რაჭის საეკლესიო არქივებში სშირად გვხვდება ბლალოჩინი გრიგოღის სახელი, რომელიც დიდი მეცნიერის, გრიგოღ წერეთლის ბაბუა იყო. ბლალოჩინი გრიგოღი, რომელიც თავადის წოდებით მოიხსენიება თავისი ავტორითეტის გამო, მეუღლესთან, თამარ ჩიქოვანთან ერთად წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩში დასახლდა.



გრიგოღ წერეთელი

მათ შეეძინათ შვიდი შვიღი. გრიგოღის სამივე ვაყმა სასულიერო განათლება მიიღო. თომა მშობლიური ზნაკვის ღვთისმშობლის უძველეს ტაძარში მღვდელი იყო. სპირიდონი თბილისში ჯერ მედავითნე გახლდათ, ხოლო მოგვიანებით მღვდლად ეკურთხა. ფილიმონმა კი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ სწავლა სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში განაგრძო.

მან ცოლად შეირთო ტვერის გუბერნიის გავლენიანი მემამულის, თავად ლუჩაკის ქალიშვიღი ანა. ფილიმონსა და ანას შეეძინათ ხუთი შვიღი: ელენე, გრიგოღი, პეტრე, ივანე და ზინობი.

თავად გრიგოღ წერეთელი დაიბადა პეტერბურგში, 1870 წლის 12 მარტს. ბავშვობის წლები გაატარა თბილისსა და ვარშავაში, ხოლო შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში და რუსი ინტელექტუალების გარემოცვაში იზრდებოდა. დედა — ანა ლუჩაკი — ცნობიღი ფილოლოგი იყო, ხოლო მისი და ზინაიდა ლუჩაკი — პეტერბურგის უნივერსითეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, ბიზანტინოლოგი. მას დიდი წვლიღი მიუძღვის გრიგოღ წერეთლის აღზრდაში. პროფესორი წერეთელი „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში“ წერდა: „პირველ ხანებში მე ვსწავლობდი ჩემი მამის, დედისა და დეიდის ხელმძღვანელობით“.

გრიგოღის ძმებს სამხედრო აკადემია ჰქონდათ დამთავრებული. პეტრე, ივანე და ზინობ წერეთლები სამეფო გვარდიის მაღალი რანგის ოფიცრები და წმინდა გიორგის ჯვრის ორდენის კავალრები იყვნენ.

გრიგოღ წერეთლის და ელენე იყო პეტერბურგის უნივერსითეტის პროფესორი (რუსეთის ისტორიის განხრით). იგი ცოლად გაჰყვა

მსოფლიოში სახელგანთქმულ ეგვიპტოლოგს, აკადემიკოს ბორის ტურაევს.

ივანე ჯავახიშვიღის გზავნიღი

გრიგოღ წერეთელმა საშუალო განათლება ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გიმნაზიაში მიიღო. მისი ხელმძღვანელობით კლასმა გამოსცა ჟურნალი „კლასიკოსი“, სადაც იბეჭდებოდა ლექსები, თარგმანები და წერილები. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გრიგოღმა სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსითეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იგი საბოლოოდ გადავიდა კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვიქტორ იერნშტედტი გახდა. მის შესახებ გრიგოღ წერეთელი იხსენებდა: „დიდებული ფილოლოგი იყო, ამავე დროს საუკეთესო მცოდნე ბერძნული პალეოგრაფიის, რომელსაც მან მაზიარა დიდი უნართა და ხელოვნებით“.

სტუდენტ გრიგოღ წერეთლის მიერ გამოქვეყნებული პირვეღი სამეცნიერო ნაშრომი პეტერბურგის უნივერსითეტის ოქროს მეღლით დააჯიღდოვეს.



სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ იგი ორი წლით მივლინებით გაგზავნეს ბერლინის უნივერსიტეტში; ასევე, გაეცნო ევროპის წამყვანი ქალაქების მუზეუმებსა და ათონის მონასტრების წიგნსაცავებში დაცულ ბერძნულ ხელნაწერებსა და პაპირუსებს.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გრიგოლ წერეთელზე იტალიამ. „რომში... ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები ანტიკურ სამყაროს, რომელიც ასე მიყვარს“, – წერდა მეცნიერი.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, 1914 წელს, პროფესორი გრიგოლ წერეთელი აირჩიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც 1920 წლამდე იმუშავა. იმ დროს, როდესაც მან რუსეთის სამეცნიერო წრეებში დიდი აღიარება მოიპოვა, აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და არაერთ ევროპულ უნივერსიტეტთანაც დაამყარა კავშირები, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი აღმავლობის პერიოდში იგი პეტერბურგის უნივერსიტეტს დატოვებდა.

მოვლენები კი სხვაგვარად განვითარდა: 1919 წლის 18 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მოწვევა ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. ქართულ და რუსულ ენებზე დანერჩილ მოსაწვევ ბარათს ხელს აწერდა ივანე ჯავახიშვილი:

„პროფესორ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, თანახმად სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის არჩევნებისა, ერთხმად დაგამტკიცათ თქვენ ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. ახალგაზრდა ქართული უნივერსიტეტის პროფესორები დარწმუნებულნი არიან, რომ თქვენ იმათ წრეში შემოხვალთ, ხელს შეუწყობთ საქართველოში უმაღლესი საუნივერსიტეტო მეცნიერების დანერგვა-განმტკიცებას და აყვავებას. ამიტომ, თუ ეს წინადადება თქვენთვის მისაღები იქნება, გთხოვთ, ისარგებლოთ შემთხვევით და გამოემგზავროთ სამშობლოსაკენ.“

პროფესორი წერეთელი მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას.

„ვამჯობინებ, ვიყო პროფესორი თბილისში, ვიდრე...“

„გარეგნულად გრიგოლ წერეთელი ყოველთვის ევროპული სტილისა იყო. დადიოდა ქოლგა-ხელჯოხითა და პორტფელით. პიჯაკს გადახსნიდა და ამოიღებდა ჯიბის საათს, რომლის ვერცხლის ჯაჭვზე ჩამოკიდებული იყო ვერცხლისავე ჯვარი. წარმოიდგინეთ, ჯვარი სასტიკი და მასობრივი ათეიზმის დღეებში! გაბედვითაც კი ვერა ვბედავდით, გვეკითხა ამ ჯვარის წარმოშობა“, – იგონებდა მეცნიერი სოლომონ ხუციშვილი.

გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისა, გრიგოლ წერეთელს დიდი ამაგი მიუძღვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაკომპლექტებაში. მან საოჯახო ბიბლიოთეკიდან 100-ზე მეტი წიგნი საჩუქრად გადასცა უნივერსიტეტს.

ბიბლიოთეკა, რომლის პირველი დირექტორიც გრიგოლ წერეთელი იყო, დღეს მის სახელს ატარებს.

გრიგოლ წერეთლის მეუღლე სოფიო მაქსიმოვა-წერეთელი განსწავლული პიროვნება და ევროპული ენების უბადლო მცოდნე იყო. შალვა ნუცუბიძის მიწვევით ის ფილოსოფიის კურსს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში. ერთხელ შალვა ნუცუბიძემ ხუმრობით ჰკითხა: „ქალი ფილოსოფოსი?!“ ქალბატონმა სოფიომ კი მყისვე უპასუხა: „ფილოსოფოსი და ასეთი გაკვირვება?!“

ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების მიუხედავად დიდ მეცნიერს არც უფიქრია, დაეტოვებინა თბილისის უნივერსიტეტი და სამუშაოდ რომელიმე ევროპულ უნივერსიტეტში გადასულიყო. თავის მეუღლეს, სოფიას 1923 წლის 12 აგვისტოს სწერს: „ვამჯობინებ ვიყო პროფესორი თბილისში, ვიდრე აკადემიკოსი პიტერში...“

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ წერეთელი არ ეკუთვნოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, იგი XX ს.-ის 30-იანი წლების დასაწყისიდანვე შევიწროვებას განიცდიდა საქართველოს უშიშროების სამსახურის მხრიდან.

ლაგრენტი ბერიამ საჯარო გამოსვლებში სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად პროფესორი წერეთელიც რამდენჯერმე „ქვეყნის მოღალატედ“ გამოაცხადა. მეცნიერისათვის მეგობრებს ურჩევიათ, რომ ბერიასთვის თბილი წარწერითა და ავტოგრაფით წიგნი ერუქებინა და, იქნებ, ამის შემდეგ მაინც შეწყვეტილიყო მისი დევნა; თუმცა გრიგოლს სასტიკი უარი უთქვამს.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



„ცნობილ პატიმრებთან“ ერთად

ამ პერიოდში უნივერსიტეტიდან დაითხოვეს დიდი ივანე ჯავახიშვილი და სამუშაო კუთხედ მიუჩინეს საქართველოს მუზეუმის სარდაფის ბნელი ოთახი, რომლის ფანჯარაც ასფალტზე გამოდიოდა. მალე მასთან „ჩაასახლეს“ პროფესორი გრიგოლ წერეთელიც. იგი აქედანაც გამოაძევეს, თუმცა მსხნელად მოევიწყა მხატვარი, მეტეხის მუზეუმის დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე, რომელმაც გრიგოლს ბინაც და სამსახურიც მეტეხის მუზეუმში შესთავაზა. მალე ორივე – გრიგოლ წერეთელიც და დიმიტრი შევარდნაძეც დააპატიმრეს.

მაშინ შინსახკომი ახლანდელ ინგოროყვას ქუჩაზე მდებარეობდა და ნაცნობები ხშირად ხედავდნენ პატიმრისათვის საჭმლის გადასაცემად რიგში ჩამდგარ გრიგოლ წერეთელს მეუღლეს. ბინიდან გამოძევებული და უმუშევარი მეტეხის მუზეუმმა შეიფარა. იგი ბავშვებს ამზადებდა გერმანულ ენაში და ამით ირჩენდა თავს.

სოფიო წერეთელმა სტალინის სახელზე გაგზავნა წერილი, რომელშიც ქართული მეცნიერების წინაშე გრიგოლ წერეთლის დამსახურების შესახებ წერდა და სთხოვდა, გაეთავისუფლებინათ მისი მეუღლე.

6 თვეში გრიგოლ წერეთელი მართლაც გაათავისუფლეს, მაგრამ დადგა 1938 წელი და იგი კვლავ დააპატიმრეს. 1939 წლის 31 მარტს სამხედრო ტრიბუნალმა 70 წლის პროფესორს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამ პერიოდში სიმონ ყაუხჩიშვილიც* დააპატიმრეს. გრიგოლ წერეთელს უთქვამს: „როცა შემოიყვანეს, ფეხის ხმაზე ვიცანი, სიმონი რომ იყო“. დავით გორგაძე,** რომელმაც მცირე ხანი დაჰყო ორთაჭალის ციხეში პროფესორ წერეთელთან ერთად, იხსენებს: „შვიდი ათეული წლის მიუხედავად, გაუძლო 1937-38 წლების კომმარს და მაინც შეინარჩუნა სულის სიფაქიზე და გონების სიმახვილე. სწორედ საკანში წამოიწყო მან ლექციები, ჰომეროსის უკვდავი ქმნილების მოყოლა... ეს იყო სინათლე ჯურღმულში“.

სასამართლოზე გრიგოლ წერეთელს ორი ბრალდება წაუყენეს: ჯაშუშობა და სამშობლოს ღალატი; თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ მას გარკვეული დამსახურებაც ჰქონდა საბჭოთა ქვეყნის წინაშე. მაშინ დიდმა ელინოლოგმა განაცხადა: „საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მე არავითარი დამსახურება არ მაქვს!“

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და ქალბატონ სოფიოს მეუღლის საქორწინო ბეჭედი მიუტანეს და აცნობეს, რომ პროფესორი წერეთელი ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. თუმცა ე.წ. „სტალინური სიების“ მიხედვით, მეცნიერი თბილისის ციხეში 1939 წლის 20 სექტემბერს გარდაიცვალა. არსებობს ვერსია, რომ ცნობილი ელინოლოგი დახვრიტეს.

ალექსანდრე მახარაძის მოგონებაში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით დამალონა მეცნიერის ცრემლმორეულმა სიტყვებმა, რომ ის მალე დაამთავრებს თავის სიცოცხლეს ამ კედლებში“.

„ვიღრე იარსებავს ქართული მეცნიერება“

გრიგოლ წერეთლის საფლავი არ არსებობს. მისი პიუსტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში დგას. კიბლის ავტორია დიდი ელინოლოგის ახლო ნათესავი - ლევან სალუშვაძე.

როგორც აკადემიკოსი რისგამ გორდუზიანი აღნიშნავს, "გავა წლები, მებრამ გრიგოლ წერეთლის სახელი ყოველთვის პატივისცემით იძნება შიმონილი, ვიღრე იარსებავს თბილისის უნივერსიტეტი და ქართული მეცნიერება".

2014 წლის 29 დეკემბერს მთავრობის მხარდასა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებულთა სიმბოლური საფლავი-მემორიალი აღიმართა, რომელზეც საფუძვლად აღიბაჰდა მსოფლიოში აღიარებული ელინოლოგის, პაპიროლოგის*** ერთ-ერთი ფუძემდებლის, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლისა და თსუ-ს გიგლიოთეის დამაარსებლის გრიგოლ წერეთლის სახელიც.



შუაში: აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და გიორგი ახვლედიანი სტუდენტებთან ერთად

* – მეცნიერ-ბიზანტილოგი, საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკადემიკოსი.
** – ნაშრომის „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“ ავტორი. *** – პაპიროლოგი – ისტორიის დამხმარე მეცნიერება, რომელიც სწავლობს პაპირუსებს (მცენარის ლეროსაგან დამზადებული სანერი მასალა, უძველეს დროში მას გამოიყენებდნენ ეგვიპტელები, ჩინელები, ქართველები...).



საძიებელი

საჩინო თახილი

სოხუმის ბოტანიკური ბაღი 180 წლისაა 3

ჯიქაღე მუჟის დაბადების 300 წლისთავი

„ერეკლეს ლოცვა“ 4

მინიატურული ზიოზა

ნიკოლო მინიშვილი

მთის მდინარე 6

უდაბნოს საიდუმლო 7

აკვარელით ნახატები 8

ჯიქაღე ელინოს

მრავალძალის წმინდა გიორგის
დარბაზული ეკლესია 9

ზღვისპირა იაქიანი 12

ჩემთანას საუბრისთვის ვეძებ

ჰიატე სოტომე

მიყვარს საქართველო 14

ჰოზია

ქეთევან დოლიძე

ლექსები 17

ო, ანა ჩემო 18

უსმობი ხაჯისით

გურამ პეტრიაშვილი

„მკითხეთ, რაც გინდათ...“ 20

აბ ჯიტი შაქითხვით

ნანა ჭანტურია

„ღმერთო, დაიფარე საქართველო
და მზე-აფხაზეთი!“ 23

ჰიოზა

ირმა კეკელიძე

ცისარტყელას ქვეშ 26

წაჩილი მუჟი

ფეოდორ დოსტოვესკის წერილი
მარია პოლივანოვასადმი 30

ჯიქაღე მუჟის დაბადების 300 წლისთავი

ლიანა თანდილაშვილი

მეფე ერეკლეს თანამეცხედრენი 32

ზღაპრული ელემენტების

ნუნუ ჯანელიძე

სულსულელის სამეფო 36

ჩემი შუა

ლიანა მიქაშვიდი

შეუძლებელია, ეს არ გახსოვდეს 39

ლაქონი

ნათია გადრანი

„ათასფრად შევღებავ სოხუმის გზებს...“ 42

ანი ლექვიანიძე

აქ გვირილები იყო... 44

ჩემი ნახშირი 45

ქვეყნები და სხვისი

ტაილანდი – „ათასი ლიმის ქვეყანა“ 46

ჯიქაღე მუჟის დაბადების 300 წლისთავი

ეპიზოდები მეფის ცხოვრებიდან 50

თახბანი

ნინო სტრონი

სტვენა ორი თითით 52

ჩემი ბა

თეა დულარიძე

გრიგოლ წერეთელი 56

ჩვენი მისამართი:

თბილისი, უზნაძის ქ. # 68.

ტელ.: (+995) 598 93 92 84;

(+995) 599 12 66 80;

ელ-ფოსტა:

jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი # 2 (46). 2020 წ.

უფრო # 2 (19). 2020 წ.

ბიძე: 300 ს.

ფასი სახელმწიფო



„ღამის ქალაქი“. ღიზი ბურიაშვილი. 9 წლის. სოხუმი